ცხოვრება სიციცხლავ, სიციცხლის მავიწყობელი ადამიანის ნამოქმედად იკი იზრდება. უნდა იზრდებოდეს მხატვრულად აღმშენების დამოკიდებულებას. იგი უფრო ხალისიანი იქნება, როცა ცხოვრება სიციცხლს ადვილებს და უფრო სველიანი, როგორც კი ართულებს. სიციცხლე თვით არის სართლად და აბა მასში კაცი ერთნაირი განწყობილებით როგორ დარჩება. ფანდუკის ლარვი კი ამინდის მისედიით იცვლება იტობში და დღეებში: ღრუბლიანსა და ნესტბანში იბრუნება, მოწყმენილ და მზიან დარში ზარდით ფლრს. აბა ადამიანიც — მხატვარი იქნება იგი თუ მუსიკოსი, მწერალი თუ აქტორი. და რატომ არ უნდა იყოს ასევე ქირურგიც, რომლის გული იმიტომ კი არაა შეუბრალებული, რომ სხვისი ტკივილები არ შეიბრალოს, არამედ იმიტომ, რომ შეიწყვიტოს და ხელი გაუშვაროს. მაკრინის თვალები მარტო ავადმყოფის გულში კი არ იხედებიან, არამედ მთელი საზოგადოების სულშიც. მისი ხელები მარტო სამოხარბოთი მაგადავს კი არ თრთიან, არამედ ხალხის აზრის წინაშეც კანკალებენ. მისი სიკეთიანობა მარტო წაყვედუას და დავიძლიძობს, ხედავს და დარწმუნებს კი არ აყენებს ფეხზე, არამედ გზაზე მაგრად მდგარ ჯანსაღსა და ბედნიერსაც, საკუთარი კეთილდღეობაში დარწმუნებულ, სულიერი მოუხრებლობაში და წაუჭვრეტლობაში ზვიადად თავდაუხრებულ თანამედროვე თანამემამულესაც. ასეთ თვისებებს გაყრდნობს ქორუარი უხერხოდ ბიეთას რითი თაობიერევა და უღარდელი მხატვარიც ელამ მუშაბას როგორ გამოიყვება. როცა უყრებთ მოქანდაკის ნაქანდაკარს, გოლახბდობი კიბება-პასუხისათვის უნდა ემხათეობდნენ ავტორი და მნახვილიც; როგორ და რისთვის გამოტყრას მისი ირისა, რა ჭინდა საჩქმელი ნატურას და რა დაუმოდა მოქანდაკამ საზოგადოებას?

თანამშრომელ ჩამოსხმული იენატე ფიფიას პორტრეტი სწორედ ამას პასუხობს, რაჟამს მისი ავტორი ჯერ თვით ჩაწლდა თავისი ნატურის სულიერი სამყაროს და მეორე სხვასაც გაწლდო იგი. იმსუხ მოთხრობობს, რაც მასში ჰქოვა, როგორც თვითონ დაინახა და რა ძალითაც აღიქვა.

კარგია, როცა მოქანდაკე არსებულს ნახულობს: მაშინ სულიერადა მოვლავარე, მიყვარია და აზრის აღმძარული გაწლდის. მაგრამ იუდობა, როცა იმას ვერ ამჩნის, რაც ადამიანში დოხს. — საზოგადოებრივი მოქონებისასდა და მოკიდებულობას, პირაირი მოღვაწეობის ხალხის ინტერესისისასდა და მორჩილებას. მისი სასიათისა და სურვილობის სხვათა მიზანს — მისწავთაბასთან გათავადარებას, ერთის კიაკობისა და სხიობის წმინდა მამოიწმინდობის ერთმანეთთან დაძმობილობის. ეს კარგია. მაგრამ როცა ასეა, მაშინ მხატვრის მიერ დაწერილი. ან ამმოთხრობული პორტრეტი პოეტიკურად აღაღებულ ფოტოსურათს ემგანება, რომელშიც ადამიანი თავ-

ვითფებამდე გაწმინდებულია, მაგრამ, მაინც უჩინარია: მის ტანშიმეგლა ანაბეტდმი ყველაფერია, მაგრამ არ არის უმოთავრესი, — სული, — რითაც იგი ცოცხლობს და გული, — რითაც იგი ფსოსის, რითაც იგი უკვდავია.

ენბატე ფიფიას პორტრეტის, საბუნებრივად, ასეთივე უკვდავია, რადგან მასში არის მოავარი, — ადამიანის მშვენიერება, კაცის სიციცხლის აზრინობა, მოვალეობისა და მესამედლობის შემზახება, პირადლისა და საზოგადოებრივი ერთობლიობა. ასეთი მდალი მოთხრობით უკვდავ ბერძენი მხატვარი და მოქანდაკე თანამედროვეთა მისისა და ნამოქმედების აღბეჭდვას და ეს დიდად გასახარო მისწავდება, რადგან არ ასრულებს დღეს უფრო საიმედო ბალხაში კარგი და საინტერესო ადამიანების სიციცხლის გასახარებლობილად, ვიდრე მათი ცხოვრების აღბეჭდვა მწიქლობასა და ხელოვნებაში, ვიდრე მხატვრული შემოქმედება.

საკვირველო კი მდინარეა კეთილი, ჭკვიანი და გამრევე ადამიანებით ანდა, ცოტაა ისეთი, რომ ამ კარგი სახელის დროსი არ იყოს. მაგრამ ვერ დაგვამალავთ, — მცირე თქმული იმთხე, ვინც სიკეთესა და მშვენიერებას თესას და თავის თავსა და ხალხს კაცთმოყვარეობისა და კეთილშობილების უფს მოსავლას უქვის. გაეიხსენით, რადენიმე დროსული ადამიანი წვიდა ჩვენგან, მაგრამ განა დაგვრას მათი ფიქრწრული, ან კულტურული იერსახეები? ჩვენი ერის წარსულშიც იყვნენ ჩვეს თანამედროვეებზე უფრო დიდები, მაგრამ გამოწაკობის ხელად, ვერც მათი უკადგანსამყოფი მხატვრული ტილოები შეუქმნიათ წინა თაობებს. იქნებ უფრო მეტი არ უნდა გუასყვედურთ თანამედროვეებმა ერთმანეთს, ვიდრე წასულებსა თავიანი თავს, მაგრამ საყიდური მაინც გავარგებს: განა მხოლოდ ხელოვნებამ უნდა აღბეჭდოს ადამიანის სახე და სული? გამოიჩინო მოღვაწის, — მუწარლი იქნება იგი, თუ მშენებელი, პოლიტიკოსი თუ აგრონომი, — ფრთით თუ საჭრთლით დახატული პორტრეტის მიაგრობას ავცილდეს სასწევს მათივე პირადი აზრების შემთხვევას. მათ გრძნობების დღეებშივე მოქვას, კოლ-მეგობრებთან, ნაწიბ-ახლობლებთან უკებთ და მინახუებთან თავიანთი აზრებისა და შეხედულებების გაზიარებას.

და მეტი ვის, ან რას შოდილია ამის ასრულება? ეპისტოლურ ლიტერატურას, ერთი-მეორეში პირიანი მიმოწერის გამოლას, რასაც საკუთო საზოგადოებრივი სუნთქვავ უნდა ახლდეს, სასწავლად, ეს კი დღეს-დღეობით არა გავაქან, ან ძალხე მცირე ზომით გავგანძინა, თუმაჟ არც უწინ აქწინა სახარბიელი მრგობრებობა, რადგან ჩენიბუნების საამისოდ დრო აღარ რჩებოდათ. — ერთი ხელი სხლის ტარზე ედოთ, მეორე კი ბარზე, — სამსალათოდ უღიარ იყოლიდნენ.

მასლაათი და მიმოწერა კი გართობს არა: რა აზრი აქვს იმაზე წერას, რაც არ აღიუფებს?! ადვილობს აი ის, რაც თავისი და თავისიანის ხიბობია. თითონ რომ სწავას და სხვაას რომ აღუწეროს. მაგრამ არა იმის ღელას თათოს რაც ძიობიერ ასარბებს და აბრბობს. რათგან ნიკარგებამ ძიობიერ მოპარებია იყოს. საბარბოთა უზრებობილწე წერა და მსჯელობა ღონიერება და ღონიერება წყურბობითა და სურბობის ანბიერი კალკობოი უნოა მივართ. თორემ მარტო ძიობისოდ სხვა-მასიცი. ცრემუხმდინი მსჯელობათ. ასისპობიო სიკაფობიხელობითა და ნაყისმისწომოლოი დროის მოკოლით არც საკუთარი ინბოლოტიკის წარბოს გაწრდობი და ვერც საზოგადოების თიით აზრის თინბიბი არბს აპაჭირთ.

ამას სხვა ხალხები მოუხედნენ და თავის დროზე ბევრის მიმოწერა დაბეჭდის. რომლებსაც თითქმის ერთიანი სულიერა არ გაანდიათ, მაგრამ თვითიული ცალ-ცალკე და ყილთა ერთად ერის სულიერი, მაკრიანილური და ფიციკური მთხრობის გადმომარბის მინიშნოლოვან ფურკოლად იქვას. თაობები სწავლებიბენ და იზრდებიბდნენ არა მარტო ამბიბიბიბიბი მწერლების, პოეტების, ხელოვნება და სახელმწიფო მოთავრეთა ესტეტიკურ, კეონომიურ, პოლიტიკურ თუ ფილისოფიურ



ტრატატებზე, არამედ იწრთობოდნენ და შორსმჭვრეტელურად იცვოდნენ საზოგადოებრივი სუნთქვისა და მოქმედების ეპისტოლურ ლიტერატურაზეც. ეს სარეო საუფე იყო და ამიტომ ამ ეპარის თავმოყრა და გამოცემა ხალხსავე მფარველობით ხდებოდა. ტოლსტიმ სიციცხლის ნახევარი პირად მიმოწერას შეაღია და ამით რა დააკო თავის ერს? ვინ იტყვის, რომ მისი წერილების ტომები — გართობაა მისი პირადი წერილები ერის ზრდას ემხარებოდა, ზოგჯერ გზას უნათებდა, ზოგჯერ კი კვალსაც უქვეყნდა, მაგრამ მშობლიურ ხალხს სულის საკვებს მაინც უტრფებდა და აზრის წყაროს უღრმავებდა. ყველას შეეძლო შიგ ჩახედვა, და ვისაც რა სწავდა, იმის ამოწოვა.

და, განა მარტო ტოლსტიმი, მისი ტოლი და მასთან მიუტოლებელი მწერალი და პოეტი იყო ეპისტოლური ლიტერატურის მფარველი. ბევრი, ისეთიც, ვინც თავისი პროფესიით კალამს ძვირად თუ იღებდა და მიუღო სიციცხლს მუსიკალურ ბეჭეფებთან და ფერმეტყველ ფერებთან მეგობრობაში ატარებდა. დღესაც ბევრი სიკეთის მომცემია ათი თუ ასი წლის წინ ერთმანეთთან მიწერილი წერილები, რომლის ხელმოწერილი ხან რეპინი იყო და ხან შალაპინი, ხან რუბინშტეინი და ხან ჩაიკოვსკი, ძალიან ბეჭეფურ სტასოვი და უფრო მეტჯერ კრამსკოი. ცოტა არც გორკის დაუტოვებია და მცირე არც ჩეხოვის დარჩენია. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დატოვა ორივეს შთამომავალმა მიაკოვსკიმ, და თითქმის არაფერი არ დაგვიტოვა გალაკტიონ ტაბიძემ. ამა, ვის უნდა დავაბრალო, რომ ახლა მკადღეარია საძებარია ფილასოფილისა და არაფილოზოფის მიმოწერები, თოიძისა და კაკაბაძის წერილები, საფოსტო ქაღალდზე დაწერილი თამარ აბაკელიას თუ ნატო ჯანაძის ნაზრები, ნამდვილი ჟურნალისტის ხეღვით დაწერილი მარჯანიშვილისა და ახმეტელის პირადი წერილები და დღიურები.

აქ მარტო „საქმიებით გადატვირთვას“ ვერ დავაბრალებთ, მოალოკობას ვიძიწვებით, რადგან ვიცით, — მეზობრისადმი მიწერილი წერილი იშინესავე დროს მიითხოვს, როგორც სა-აზოთი სტატია. საბჭედ სტატიაებს გჯიხთვიან და გახაზოსე-ბინ. პირაოლი წერილების შეთხზვას კი არა არავინ გაახსენებს თა არც არავინ გააჭიზებს. პირად მიმოწერას ადამიანების ბედში თიკრი და წუხილი სჭირდება და უდროობის გარ-ლა ითი შრომსასაკ ითხოვს. მაგრამ საბოლოოდ, ნიჭირი და მარწმობიარე კაცის ხელში, ეპისტოლური ლიტერატურა მხატვრულ ჯანრად იქცევა, თუმცა გასამრჯილოს განაოღებას მაინც არა ჰპირდება. ასეთი სასარგებლო შრომის ამანაწარუ-რებობა ითმავალი თაობა, და რატომ უნდა გვეგონოს, რომ იგი მის არ დაფასებს.

დაბ, წარსულში გვიჭირდა ამ ეპარის დადნერგა-გახსვლა,

ნაგრამ ახლა რალა გვიშლის? გარეშე მტერი კარს ამ გვიკა-კუნებს და შინაურს რალა ვაჩინს. მამ რატომ არ აწრთობ ერთ-მანეთს წერილებს, რატომ არ ვუზიარებთ ჩვენს აზრებს ცხოვ-რების მოვლენებზე? რატომ ვცხოვრობთ მჭერმეტყველობისა და აზრთა გაცნლა-გამოცვლის წყურვილით მბოლოდ წვეულებ-მებსა და შეხვედრებზე, და რატომ ვამძიმებთ საერთო კრებებს გაწელოლი-გაჭიანურებული რეკლამენტებით, რომლებშიც სმირად ცოტა მაგვიო აზრი და უმოქმედო მისაქმედარი. რატომ არ ვუტევათ შთამომავლობას ჩვენს უნართან და ჩვენს ინტელექტუალურ შესაძლებლობებთან შეფარდებულ ისეთივე გულახდილობითა და სიკეთის წყურვილით დაწერილ წერი-ლებსა და აზრებს, როგორც ცოტა არ ქონდათ ილიასა და აკაკის, გამორჩეულ. ან გამოურჩევე შემოქმედთ, დიდსა და აატარა მოქალაქეს, რომლებსაც მხატვრულ შემოქმედებაზე დიდი პრეტენზია არ გააჩნდათ, მაგრამ საზოგადოებრივი კაი-კაცობაზე კი — ძალაზე დიდი უპირანი.

ჩვენი დროის მწვალი თაობის ნამოღვაწარი გამოუმუშ-რებელი რჩება არა მარტო საზოგადოების წინაშე, — პირადი მეგობრებისა და ახლობლების წრეშიც კი. არ ვიცი, რატომ და რის გამო, მაგრამ სახლი გადაეწევა ერთმანეთთან მიმოწერ-ისა. დასანანია მაგრამ საზარლო იქნება თუ ეს ხელავც გაგ-რძელო. უნდა გამოწვიწვიროთ და მაშინ ხელოვანთა მიმარ-თაც შემცირდება სასაყვედრო, ვინც თანამედროვეთა პორტ-რეტებს მართლაც ცოტაც გუტრებენ. მაშინ ზოგის მიმოწერა და ზოგთა დღიურები ნაწილობრივ მაინც გააცოცხლებენ იმათ სახელებს, რომელთა დაივიწყება ქართულ საზოგადოებრივ აზრს მტკრიან სკივრში ჩაკეატება.

აი, ამიტომ, კმაყოფილებით უნდა ვხვდებოდეთ ჩვენს თა-ნამედროვეთა მხატვრულ იერსახეებს, რომლებიც ერთშივე ქუერენ და ქვაშიც მეტყველებენ. ამის ერთ-ერთ მოსურ-ნედ კოტე მერაბიშვილიც უნდა ვიულოთ, რადგან მისი ნაწე-ლი თხას ისეთივე თბილი გამოდგა, როგორც მასში ჩადებულ დასტატატის გულია. ვინაქც ფიფას პორტრეტში ისაა, რაც თვით ამ მოღვაწეშია, — კაცურკაცობა, გამრჯეობა, მეგობ-რობა, ერთგულება, დაუზარებლობა, სამშობლოსათვის თავდა-ღება და ხალხისათვის მზადყოფნა. და ვინც იყნობს ეგნატეს და კოტეს, იგი ადვილად გაავლებს მიზნობრივ ხაზს მოქანდა-კისა და დასტატატის სულიერ ერთობლობაში. ავტორი ჩაწ-ვდა ნატურის არსს და პლასტიკური მოდელირებთ კონკ-რეტული პიროვნების მხატვრულად განზოგადებული იერსახე შექმნა, რომელშიც ერთი კარგი ადამიანის გამოსხვდევ არის და მრავალი კარგი თანამემამულის შუჭყაც ჩანს.

და თუ ეს ასეა, ხელოვნებას მართალი სიტყვა უთქვამს. სიმართლე კი ფერშიც და ნატურშიც ადვილად დასახანი და მკაფიოდ დასახსნივებელია.



ქართველ მხატვართა „საშემოდგომო გამოფენა“



ელგუჯა ამაშუკელი

ილია



ანგარში თბილისის სურათების გალერეაში ექსპონირებული იყო ვრცელი გამოფენა. წარმოდგენილი იყო ნაწარმოებები, რომლებიც საკართველოს მხატვრებმა ბოლო თვეებში შეასრულეს. ამიტომაც ექსპოზიციას „საშემოდგომო გამოფენა“ ეწოდა. გამოფენის განხილვაზე ცალკეული დარგების ირგვლივ მოხსენებებით გა-

მოვიდნენ ხელოვნებისმცოდნეები: გიორგი მასხარაშვილი, მერიკარბელაშვილი, კიტი მახაჩელი. „საშემოდგომო გამოფენა“ — თქვა თავის მოხსენებაში გიორგი მასხარაშვილმა, — როგორც სხვა ტრადიციული გამოფენები, ჩვენი საზოგადოებრიობის გარკვეულ ინტერესს იწვევს. როგორც ვიცით, მომზადდა დიდი

თემატიკური გამოფენა „მშვიდობის სადარაჯოზე“, რომელიც გაიხსნება ამ გამოფენის შემდეგ. თავისთავად ორი ასეთი დიდი გამოფენის მოწყობა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს მხატვრულ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მხატვარი არ მონაწილეობს აქ, გამოფენა მაინც საკმაოდ ვრცელია. ფერწერა წარმოდგენილია პეიზაჟებით, პორტრეტებით, ჯანრული ხასიათის ტილოებით და ნატურმორტებით. სიმრავლითა და მრავალფეროვნებით პეიზაჟს წამყვანი ადგილი უჭირავს. ქალაქის ხედებიდან აღსანიშნავია ელენე ანგელიანიის სურათები. ოთარ სულავას „საბურთალო“, ლეოპოლდ ძაძაშიძის ისტორიის ქალაქების პეიზაჟები, თინა ფიცხელაურის, ვლადიმერ კანდელაკის ტილოები და სხვა. ტილოებში ჩანს მხატვართა ჩამოყალიბებული სხვი, ხელწერა. მათი ფერწერული ძიებანი ყოველთვის საინტერესოა. გამოფენაზე წარმოდგენილი პორტ-

რეგები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხატვრული მიდგომით, შემოქმედლის დამოკიდებულებით თავისი მოდელისადმი. მხატვრისათვის დამახასიათებელი ოსტატობითაა შესრულებული ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტები. ყურადღებას იქცევს ნინო თამაშვილის ორი პორტრეტი და ორი ნატურმორტი. მხატვრული გადაწყვეტით საინტერესოა ჩანი მეძმარიაშვილის, გიორგი თოთიბაძის, რობერტ სტურუას, ელენე როდკვიჩის, ვლადიმერ ზარდის პორტრეტები. ძიებაშია მხატვარი ალბერტ დილბარიანი. დია, ცოცხალ ფერებში შესრულებული ტილოს — „დღესასწაულისთვის მზადებას“ — შემდეგ, მხატვარმა გამოფინა პორტრეტები დაწერილი მუქ გამაში. ფერთა გამოთრეული ფორმები ნათელი, მკაფიო და მეტყველია.

თითქოს რაღაც საერთო აქვს ლეი ბაიასჩივისა და ავიანდილ ვარაზის პორტრეტულ სურათებს—მუქი ლურჯი ტონები, ნაღლიანი განწყობილება, მაგრამ ამავე დროს მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ქალების პორტრეტებში ბაიასჩვი უკრიბებული წაგრძელებული კისრებით უსამართლო შთაბეჭდილებას ტოვებს. სადათა მის მიერ შექმნილი ფიროსმანის სახეც, ავთანდილ ვარაზი პორტრეტებში მთავარ ყურადღებას აქცევს ადამიანთა შინაგანი ბუნების გადმოცემას, აქცევს სახის გამოხატულებოზაზე, მოდელირებაზეა გადატანილი, ამავე დროს სხეულის გაომოცემისას ნახატი მოისუსტებს. იური მეჭაბიშვილის ქალის პორტრეტში ხაზაასწილი პირობითობა ვერ აღწვის მხატვრულ გამოხატულობას და არც ესთეტიკურ სიამოვნებას გვრის მაცურებელს. მამაკაცის პორტრეტი, შიდარებით, ფსიქოლოგიურად უფრო მეტყველია.

მინდა შეაჩერდე ახალგაზრდა მხატვრებზე. რომლებიც ახლახან გამოიდნენ სახმკარო ასპარეზზე. მათ შემოქმედლებაში ჩანს ძიება, ახლისადმი სწრაფობა, მაგრამ ზოგჯერ ისტორიული მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლის ზედმეტი რეჟივიან ამა თუ იმ მხატვარს გააღვიწის ჭეშ. ამავარი გაავლინის მაგალითს წარმოადგინს ახალგაზრდა მხატვრის თემურ გოცაძის „მედილია“. მხატვარი შეიკავა აარკავალი ფსიქოლოგიური ასე შეიქმნა, მაგრამ აქ გამოყენებული მხატვრული ხერხები არ ამარტომებს მუხანს. შუა თიასში უწინრიგობა მიმომანკრული ნივთების არეშოშიაში წარმოდგენილია ახალგაზრდა ზალი. მიტაბი ხისტი კუთხიდან თორმობი. ხაზის ზედმეტი ტენილობა აქ არქნის რესურსილობას ცახათა. იმის თმა რქით გაინდა, თითქოს ტენილი ხაზით არ შეიძლება ფორმის გად-



ელენე ახვლედიანი

ზამთარი

მოცემა, კომპოზიციის აგება გაფანტული ნივთებით, მაგრამ ეს თვითმზანს კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ მიმართული უნდა იყოს დამშული ამოცანის გადასაწყვეტად. ამავე დროს, ესთეტიკურადაც სასიამოვნო უნდა იყოს. ფერებიც — ნაცრისფერი, ყვითლი, იისფერი, სიჭრელის შთაბეჭდილებას სტოვებს. განსხვავებულ მიდგომას ვხედავთ ამავე ავტორის მიერ ნაწარმოებში — „იმერეთის პეიზაჟი“. მკვეთრი ფერების ქაოტურად გაბნეული მხატვრის სურს გადმოსცეს შემოდგომის განწყობილება, რომ შთაბეჭდილება აქ ვერ იქნება. ეს განსხვავებული მანერა ნაწარმად მხატვრის ნამუშევრებში მისი ინდივიდუალობიდან კი არ გამომდინარობს, არამედ ისევ სხვადასხვა გავლენებითა. თემურ გოცაძე უდაოდ ნიჭიერი, და აჯვარა იგი იმთვის თავის თავს, სწორ გზას.

პეიზაჟის ემოციური მხარის გასაძლიერებლად მხატვრები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ხშირად ფერს

ზედმეტი სიმკვეთრით, სიჭრელით გადმოცემას ცდილობენ, რაც ხელს უშლის გარემოს სიმართლით ასახვას, დამაჯერებლობას. იმისათვის რომ მიაღწიონ ფერთა ლაკონურობას, კონტრასტებს, მხატვრები გაურბიან ტონებისა და ნახევარტონების ნიუანსებს, სამხრეთის მზის სიკაშკაშით შექმნილი რეფლექსების გრადაციებს. მხატვრული ხერხების მრავალფეროვნება, პასტოზობა, თავისუფალი, ფართო მოხაზვები ზოგჯერ თვითმზანდა არის ქვეული, გარვეული ეფექტის მისაღწევად. ამიტომაც ამოცანა გადაუჭრელი რჩება. ასეთია ახალგაზრდა მხატვრის ლოკისა თავაძის პეიზაჟები. მისი სამივე სურათი ერთფეროვანია. არავინ არ უარყოფს სუფთა, ლოკალურ ტონებს ფერთა ინტენსივობის გადმოცემაში, მაგრამ ამას კომპოზიციური — ემოციური გამართლება უნდა ჰქონდეს. მაგალითად, ვახტანგ აფაძის ადრეულ პეიზაჟებში ეს ინტენსიური წითელი-ალისფერი, მოწითალო ყვითელი გამართლებულია, იგი



ანთიმოზ გორგაძე

პარალა

გადმოსცემს აფრიკის უდაბნოს ფერადოვნებას, უხვ მზეს. ლევან ხოჯელანის სვანეთის პეიზაჟში კი გამკაშა ყვითელი ნაკლებ დამაჯერებელია, იგი უცხო

სვანეთის ბუნებისათვის. მხატვრის შემორე სურათში „მწვანე მთები“ იგრძნობა მთების სიღიადე, ბალახის მუქი მწვანე ფერი.

კოლორისტული ამოცანა კარგად გადაწყვეტილი რეზო კაკაბაძის ნამუშევრებში. აქ ფერების ინტენსიურობა ცოცხალია და შეტყვევლი. ფერში და კომპოზიციურად განსაკუთრებით საინტერესოაა გადაწყვეტილი „სასიმიინდე“, რომელზეც დასავლეთ საქართველოს სოფლისათვის დამახასიათებელი ინტიმური კუთხვა წარმოდგინილი.

ცოცხალი, მღვრი ფერებით აქვს შესრულებული ქალაქის სახურავის მოტივები ვლადიმერ კანდელაკს. თუ ერთ სურათზე სახურავების ერთფეროვანება გაცოცხლებულია ეკლესიის გუმბათების მწვანე ფერით, მეორეზე ღია ფერებს ცხოველბატულობა შეაქვს მოტივში.

მხატვარმა ედუარდ ამბოკაძემ გამოფინაზე წარმოვიდგინა მხატვრული გადაწყვეტით სულ სხვადასხვა ორი ტილი. ერთი — ნატურმორტი „თევზები“ — და „ფიროსმანი“ სურათში „ფიროსმანი“ ნათელია მხატვრის მიერ დასმული ამოცანა. ედუარდ ამბოკაძე დიდი სითბოთი და სიყვარულით ხატავს ფიროსმანს, ფიროსმანისავე გმირების გარემოცვაში. თვით ფიროსმანის მეოცნებე სახეს ერთგვარი რომანტიკულობა შეაქვს სურათში. სასიამოვნოა ეს ნაწარმოები ფერადოვანი გამის მხრივაც. ნაწარმოებში იმდენად ზუსტადაა განმეორებული ფიროსმანის სახეები, რომ ძალაუნებურად წარმოვიდგებათ ამ შესანიშნავი მხატვრის ქმნილებები. იქვე ვხვდავთ სულ სხვა მიდგომით დაწერილ მისივე ნატურმორტს „თევზებს“, რომელიც საინტერესო კომპოზიციური და კოლორისტული გადაწყვეტით გვიზიდავს. ოსტატურადაა გადმოცემული თევზის მშზინავი, სველი ზედაპირი, ისინი კარგადაა განაწილებული სიბრტყეზე. საერთო ტონშია გადმოცემული გაყვითლებული ფოთლოი, რომელიც კომპოზიციურადაც ავსებს სურათს.

ნურადინ შავგულიძე

ისინდი




რადიმ თორდიას ორი ნატურმორტი, მიუხედავად ნახატის პირობითობისა, კომპოზიციურად სანატურესოდ და აგებული, ფერშიაც სასიამოვნოა. ასევე მიმზიდველია მეორე ნატურმორტი ჩაიდანით.

სანატურესოდა გადაწყვეტილი ზურბამ წერეთლის ნატურმორტები, აქაც ფერით გადმოცემული ფორმები დამაჯერებელია. ზაურ პებრიშვილის ნატურმორტში „ქუჩა“ დარღვეულია მასშტაბურობა. ფერადოვანი გამაც არ არის მოქმედილი.

მოსხენებით გამოფენაზე ექსპონირე-

ბანი მემარიანავილი

ტრაქტორისტი



ბული გრაფიკის შესახებ გამოვიდა მეორე კარბელაშვილი.

გრაფიკა ამ გამოფენაზე შედარებით მცირედ არის წარმოდგენილი, — თქვა მან — და, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს დღეს ამ დარგის საერთო მდგომარეობას. თუმცა არის აქ მასალაში შესრულებული ნამუშევრებიც, მაინც რჩება შიამბედილობა, რომ მხატვრები ნაკლებად ცდილობენ გრაფიკის მრავალფეროვანი დარგების დახერგვას ჩვენი. ამ რამდენიმე ხნის წინათ მამვე დარბაზში მოწყობილი იყო ესტონელი გრაფიკისების გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო სულ სხვადასხვა ტექნიკით განხორციელებული

ბული ნამუშევრები (გრაფიკა ხეზე, ლითონზე, აკვატინტა, მითალი ნებში და მრავალი სავა). ჩვენიან ძირითადად ლინოგრაფიკა და ლითოგრაფია დამკვიდრდა. ბათალია, გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკა მითხოვს სპეციფიკურ პირობებს, მაგრამ რეზულტატი, რომელსაც მათი გამოყენება გვაძლევს, ღირს, რომ დახსარჯოს ეს შრომა.

პლაკატი ამ გამოფენაზე მეტად ღარიბადა წარმოდგენილი, (ყუამალა იმის გამო, რომ იგი შედგომ, თბაქალ თუმატურ გამოფენაზე იქნება უფრო სრულად). რაც აქ არის, თავის ხარისხითაც არ ასახავს ქართული პლაკატის დღევანდელ დონეს. პლაკატის დარგში ჩვენი უკვე გარკვეული ტრადიციის შექმნილი, მას ეროვული ხასიათიც აქვს. აქ წარმოდგენილი პლაკატები კი, რომელთაც თითქოს აქვთ პლაკატისთვის სპეციფიკური გამომხატველობა, ამავე დროს საკმაოდ სქემური და უსაიურია.

როგორც სწორად აღინიშნა, დღეს ჩვენი მხატვრებისთვის დამახასიათებელია ძიებით ფერის სფეროში, ფერთი სიღწერების ეფექტების მიმართულებით. საინტერესოა, რომ ეს ტენდენცია გრაფიკაშიც ვლინდება. დღევანდელ გამოფენაზე, გრაფიკულ ნამუშევრებშიც ფერის ემოციური შეგავლების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს შეიძლება ითქვას აქ წარმოდგენილი ილუტრაციებისა და გრაფიკების სერიების შესახებაც. ფერისადმი ეს ინტერესი აერთიანებს სულ სხვადასხვა ხასიათის ნამუშევრებს. ასეთია მაგალითად, ისებო ჯინჯინაშვილის ნამუშევრები — „ბინდი თბილისში“, „მედი თბილისის კუთხე“ (აქ ხაზგასმულია ძველი თბილისის არქიტექტურის ცხოველსატელობა), „ტყვარჩელი“ მთლიანად მოწითალო ტონების ურთიერთ დაპირისპირებაზე და შესამეზაზე აგებული.

ფერადი ფაქტით და პასტელით შესრულებულ ნამუშევრებში მხატვარი ნოდარ მალაზონია მიზნად ისახავს დიდი სივრცეების და სიმბრტყეების ზოგად გადმოცემას. ერთ-ერთ პეიზაჟში სულ რამდენიმე ხაზით მონიშნულია ბორცვები, წინა პლანი — მინდორი ნარინჯისფერი ზეინებით კონტრასტს ქნის ცისფერ შორეულ პლანთან.

ალსანიშნავია სერგო კაშვიანის ლინოგრაფიკურების სერია „მედი თბილისი“, რომელშიც ძირითადი ნახატი შავითაა შესრულებული. ამ ნამუშევარს სპეციფიკური გრაფიკული ხასიათი აქვს, მაგრამ აქაც განწყობილების შექმნაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფერს — ალბულია უმთავრესად ორი ფერი — ყვითელი და ისფერი, ლურჯი და მოწითალო (გარდა შავისა და თეთრისა).

სევა შესრულებული „ძველი თბილისის ქუჩა“, „მტკვრის სანაპირო“, „ხიდი“, „მეტეხი“. გრაფიურების ამ სერიამი მხატვარი ხედვის საინტერესო წერტილებს არჩევს.

ოსტატურად იყენებს ფერს ალ. გორაკაძე ნახატების სერიაში, რომლებიც მოგზაურობის დროსაა შესრულებული, თუმცა მისი ნახატის ტექნიკა ეყრდნობა შავით შესრულებულ ნახატს, ფერადოვანი აქცენტებით ამ ნამუშევრებში სრულიად გარკვეულ ხასიათს ალექს მთ. მასალაში შესრულებული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ერთი ანდრონიკაშვილის პეიზაჟები „კახეთი“ და „შემოდგომა თბილისში“ საინტერესოა, რომ მხატვარი, რომელსაც გარკვეული ხელწერა აქვს, ბოლო წლების მხრულეულ ნამუშევრებში მკაფიოდ ავლენ ტენდენციას, თუ შეიძლება ასე ითქვას, კომპოზიციის კომპაქტურობისაკენ. აქ წარმოდგენილ ნამუშევარშიც არის ნახატის სიმკრივე და კომპოზიციის შინაგანი გააზრება, რომელიც განაპირობებს კარგმოს ხასიათის გადმოცემას და განწყობილებიანი პეიზაჟების შექმნას.

დიმიტრი ერისთავის „ვახაფხულის დღეს“ (ლინოგრაფიურა) ახასიათებს ნახატის სიმტკიცე და პროფესიული შესრულების მაღალი დონე, ლაკონური ხერხებით, თეთრი და შავი ლაქების დაპირისპირებით, გადმოცემულია ხალხმრავალი ქუჩის განწყობილება და თითქოს ჭალაქის მაჯისცემა, რიტმი.

ზინდა გამოცუო აგრეთვე ფანქრით შესრულებული ერთი ნახატი კლარა კუქისა, რომელიც ხასიათდება ფორმის ხასიათის ზოგადი გადმოცემის ტენდენციით (სხვათაშორის, იგივე ტენდენცია ჩანდა ამ მხატვრის ფერწერულ ნამუშევრებში). ეს ნაწარმოები ნახატის სიუსტოთ გამოირჩევა. ანგი ტყეშელაშვილის ლინოგრაფიურების სერიაში „როფელი“, „მარანი“, „სოფლის გზა“ დასმულია საინტერესო ამოცანები. ეს არის დიდი ფურცლები, თმხატვრად საინტერესო მომენტებია აღებული, მაგრამ ბოლომდე არაა დაძლეული კომპოზიციის ორგანიზაცია, კოტურია პლანები ლაქების განლაგება გამომხატველობას არ აძლიერებს. ეს განსაკუთრებით ჩანს ფურცელზე „სოფლის გზა“.

წიგნის ილუსტრაციის დარგში წარმოდგენილი რამდენიმე მხატვარი. აღსანიშნავია, რომ სულ სხვადასხვა ხასიათის ილუსტრაციები შექმნეს მხატვრებმა: ზურაბ კაპანაძემ, ჯემალ ლოლუამ, ნიალოზ ივანკოვამ, ბელა ბერძენიშვილმა, ზურაბ კაპანაძის ილუსტრაციები („რას გადაურჩა თბილისი“) გვაძლავს მონუმენტურ ფორმებში ილუსტრაციის შექმნის ცდას. ეს ტენდენცია წინა თაობის მხატვრებსაც ქონ-

რობერტ სტურუ-ლილო ბოლშევიკი პორტრეტი



დათ (გავიხსენოთ თამარ აბაკელია და განსაკუთრებით სერფო ქობულაძე).

რიმე ეპიური ან ისტორიული სიუჟეტის დასურათებისას ილუსტრაციის ამგვარი გაგება სავსებით ეფარდება ნაწარმოების შინაარსს გამართლებული ერთგვარი სტილიზაცია, მონუმენტური ფორმები, რაც ამაღლებულ განწყობილებას ქმნის. მაგრამ იქნებამ საშიშროება ერთგვარი სქემატიზაციის ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ გასავალისწინებელია, რომ ილუსტრაციის საბოლოო დანიშნულება წიგნის ფურცლებზე მოთავსებაა. ამგვარი ილუსტრაციები დაბეჭდვის და ზომის შეცდომებისას ძალიან აგებს (გავიხსენოთ თუნდაც ქობულაძის აღრინდელი ილუსტრაცი-

ები, რომლებიც ორიგინალში გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე დაბეჭდილი).

გამოიყენაზე წარმოდგენილია ბელა ბერძენიშვილის ნახატების სერია, რომელიც ქართული ხალხური ლექსების ილუსტრაციები წარმოადგენს. არსებითად ეს არის სადაზგო სურათები, რომლებიც სერიად ერთიანდება სიუჟეტების საშუალებით და, რა თქმა უნდა, შესრულების მანერის ერთგვარობებით. აქვს უნდა შევინიშნოთ, რომ გამოცემისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი ადგილი წიგნში და შეიძლება რაოდენობაც, რომ ამ სურათებმა არ წააგონ.

ნახატების ეს სერია ახლოსაა ბელა



რუსუდან გაჩეჩილაძე



გუგა მიქაძე

ნინო

ბერძენიშვილის ნატურმორტებთან, ავლუნს ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი საგნების სიყვარულს, კომპოზიციის გრძნობას და შესრულების ოსტატობას.

საინტერესოა ნიკოლოზ ივანატოვის აქ წარმოდგენილი ილუსტრაციები. ლორკას რჩეული ნაწარმოებების გაფორმებას ილუსტრაციების პრეტენზია არა აქვს. ეს არის ფურცლები, რომლებიც ერთდროულად შეიქმნა ციკლის დიანაზ ფონზე შავითაა მოცემული საგნები ან ფრაგმენტები, რომელნიც მხოლოდ მანიშნებელია ამ ციკლის საერთო განწყობილებასა და შინაარსზე. ეს ნახატები ახლოს დგას მხატვრის თეატრალური დეკორაციების ესკიზებთან.

ჯემალ ლოლუას ილუსტრაციები „სულდი და ბულდი“ მსუბუქად, კალმით არის შესრულებული. მხატვარი იძლევა ლაკონურ, ხსარტ ნახატებს და ძალიან მკაფიო ხასიათებს არა მარტო პერსონაჟებისა, არამედ ცხოვრებისაც. ამ პატარა ნახატებში, რომლებიც გრო-

ტესკის ზღვარზე დგანან, მშვენივრად არის გადმოცემული ნაწარმოების ხასიათი. მხატვარი ავლენს მახვილ ხედვას, იუმორის გრძნობას და გემოვნებას.

მიუხედავად წარმოდგენილი მასალის სიმცირისა და შემოხვევითი ხასიათისა, ეს გამოფენა მაინც საინტერესო მასალას გვაძლევს იმ ტენდენციების წარმოსადგენად, რომელიც დღეს ჩვენს გრაფიკაში ვლინდება.

მოსუნებით „მცირე (დეკორატიული) ხელოვნების ნაწარმოებები საშემოდგომო გამოფენაზე“ გამოვიდა კი ტ ი შ ა ჩ ა ბ ე ლ ი.

ჩვენ თვითონ ვართ მოწმენი იმისა — თუკა მან — თუ გამოფენიდან გამოფენამდე როგორ იზრდება რიცხვობრივად და ხარისხობრივადაც ისეთი დარგების ნაწარმოებები, როგორიცაა კერამიკა, ლითონის მხატვრული დამუშავება.

განსაკუთრებით მინდა შეგვიჩვენე სწორედ ლითონის ნაწარმოებებზე, რო-

მელიც დღითი დღე სრულყოფას განიცდის, ჩვენ თვალწინ მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება და მკვიდრად მოიკიდა ფეხი სამხატვრო გამოფენაზე. სასიხარულოა ბოლო წლების მანძილზე ამ უძველესი ქართული, მაგრამ აქამდე მივიწყებული ხელოვნების აღორძინება ახალგაზრდა ქართველ მოქანდაკეთა მიერ. აქ ძირითადად წარმოდგენილია ლითონზე პლასტიკის ნაწარმოებები. ეს არის უმთავრესად კედლის დეკორატიული ფირფიტები და რამდენიმე ჭურჭელი. თითქოს შეიზღუდა ამ გამოფენაზე ლითონის ნაკეთობათა რეპერტუარი. მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით ამ მოვლენას, ამას თავისი გამართლება და თავისი დადებითი მხარე აქვს: დეკორატიული ანაბეჭები, რელიეფური ფირფიტების შექმნით მხატვრებმა ერთგვარად ფოკუსში მოაქციეს ერთი მთავარი ამოცანა — ლითონის პლასტიკურ თვისებათა უფრო სრულყოფილი გამოვლენა, მასალის სრული დაუფლება. ანლა მთავარი გახდა ლითონის ყველა შე-

საძლებლობის გამოყენება. მაგრამ ზიანს ხოც არ მოუტანს ასეთი ცალმხრივი დინტირესისა და ნაწარმოებისა დეკორატიულობის? სწორედ ამ ამოცანას გადაწყვეტაში გვესახება განსხვავებული ტექნიკის სხვადასხვა მხატვრებთან, განსხვავებული მიდგომა.

ერთის მხრივ ეს არის მისწრაფება სწორედ დეკორატიული მხარის წინ წაწევისაკენ. აქ მხარად უგულებელყოფილია წინადა მხატვრული ამოცანები, ხშირად გამოსახულება ფონზე ოდნავ ამოყვანილი რელიეფითაა შესრულებული. ამ მიმართულების ნაწარმოებებს მიეკუთვნება გუგრაძე გამაშვილის ნამუშევრები. იგი ყოველთვის მარტივი და ლაკონურია. გამოფენაზე წარმოდგენილი მისი ორი ნაწარმოები ლითონის დამუშავების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა. მაშინ კარგად არის გაგებული დეკორატიული ამოცანები.

განსხვავებული ტენდენცია აისახა ილია ოჩიაურის ლითონის რელიეფში. ი. ოჩიაური ლითონის პლასტიკაშიც აზროვნებს განზოგადებული, პლასტიკური მოცულობებით, სწორედ ამგვარი ხასიათისაა (ე. ო. ლითონის პლასტიკური თვისებების ხაზგასმით) უმეტესობა აქ გამოყენილი ნამუშევრებისა.

მიუხედავად ლევან ცომაია ლითონში მუშაობისა წმინდა სკულპტურულ ამოცანებს სვამს. სახეებით გასაკვირა და გამართლებული სერიული მუშაობა — ეს საშუალებას აძლევს მოქანდაკეს ერთ ხასიათისა და ერთი მიზანდასახულების ნაწარმოებთა რიგში ექმნოს გამოსახვის უკეთესი ხერხები, უფრო თვალათლივი გახადოს მიღწევები და შეცდომები.

თითოერთი ცომაიამ კარგ შედეგებსაც მიაღწია, მაგრამ, ჩემი აზრით, ცოტა საკამათოა მოქანდაკის გატაცება გაბრიალებული ოქროსფერი ზედაპირებით, რაც გამოსახულებას ერთგვარ სიმშრალეს ანიჭებს. ჭალთა ლირიკულ პორტრეტებში ეს ლაპლაპი უკარგავს მათ სითმოს და ინდივიდუალურ ხასიათს. ტონირებულში — „მინდა გააოცო“ მოქანდაკე გაკილებით უკეთეს შედეგს აღწევს ფერწერულობის თვალსაზრისით. ჩემი აზრით, ტონირების ხერხი უკეთეს ეფექტს იძლევა, მეტად ავლენს ლითონის მასალის შესაძლებლობებს.

თავისებურად მუშაობს ლითონში ზურაბ ფონიძე. ეტყობა, რომ მხატვარი ცდილობს მასალის შესაფერი ტექნიკური ხერხები იხმაროს და აღწევს კიდევაც შესაბამის ეფექტს. მაგალითისათვის ავიღოთ კომპოზიცია „ნადიმი“. ფიგურები მთლიანად ავსებენ ფონს, არც ერთი ფორმა არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი, რელიეფი არც ისეთი მაღალია, მაგრამ რბილი გადასვლები, განზოგადებული ფორმები დეტალების უგულვ-

ბელყოფა, ლითონის ზედაპირის თავისებური დამუშავება ამ ნაწარმოებს რაღაც რომანტიკულ ელფების აძლევს. (რაც შეეხება დანარჩენ ხამ პატარა ფიგურებს, ისინი საკმაოდ ესკიზური არიან).

განსხვავებულად უდგება ამოცანას ნურადინ მხედველიც. მისი დეკორატიული პანი მხედვერებით ხასიათდება ექსპრესიულობით, მძლავრი რიტმით. მაგრამ ახალგაზრდა მოქანდაკეს უნდა გუსაყვედუროთ საგრძობი შეცოდებები ნახატის სისწორის მიმართ. დინამიკა და ემოციურობა სრულიადც არ გამოიყვანს ნახატს, როგორც კომპოზიციის მთავარ დასაყრდენს.

კ. მარაბული ჩერდება სხვა ავტორთა ნამუშევრებზეც, აღნიშნავს მათ ღირვანა-ნაკულთვანებებს.

იხილე მაქვს — თქვა მომხსენებელმა, ჭედური რელიეფების გამოყენება არ შემოიფარგლება იმით, რაც დღემდეა გაკეთებული. პირველ წარმატებით ცდებოდა აუცილებლად შემდგომი ცდები უნდა მომყვებს, გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგმა წამდელი გამოყენება უნდა ჰქოვოს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

— კერამიკული ნაწარმოებები ამ გამოფენაზე მრავალფეროვნებით გამო-

ირჩვიან — განაგრძო მომხსენებელმა, უპირატესობა მიიწე ქურჭელს აქვს (სერვიზები ღვინისა და კრემისისათვის, დესერტის, ლულის, თევზების, ლიქორის ქურჭელი და სხვ.).

ფორმები ძირითადად მარტივი და ლაკონურია. აქვეა საბალო დეკორატიული კერამიკა — დიდი ზომის დეკორატიული ლარნაკები, კერამიკული პანოები, მცირე კერამიკული ქანდაკება. მრავალფეროვნა მასალაც.


ისევე როგორც უკანასკნელ გამოფენებზე, ჩანს კერამიკოსთა ცდები შვათავსონ ტრადიცია და თანამედროვეობა. იქ, სადაც ამ ცდას ოსტატობასთან ერთად გემოვნება და შემხარტი მხატვრული ალღო ახლავს, საუკეთესო შედეგებია მიღწეული.

მომხსენებელმა დეტალური ანალიზი გაუკეთა ქართულ კერამიკოსთა ცალკეულ ნაწარმოებს, ილაპარაკა შემოქმედებით ტენდენციებსა და ნამუშევრებში დასმულ მხატვრულ ამოცანებზე.

სახესებით გამართლებულია ის, რომ კერამიკოსები დიდი რაოდენობით ქმნიან სერვიზებს. ამ შემთხვევაში ისინი პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამოიძინა. მაგრამ, რატომღაც, აქ უპირატესობა ღვინის ქურჭელს აქვს. არ არის, მაგალითად, ყავის სერვიზები, რაზეც დოკი-

ლევ მაიაჩვიე

ნიკო ფროსმანი





სათვის დიდი მოთხოვნები. (მაგრამ შეიძლება აქ რესპუბლიკის თავისებურებაც არის გათვალისწინებული). ამ საღვინე ჭურჭლიდან ყურადღებას იქცევს ომარ რჩელიშვილის, გივი ყანდარელის, შოთა ნარიშანიშვილის, ემა ქშუტაშვილის, აპოლონ ხარებავას ნაწარმოებები. ამათგან უმეტესობა მარტივი ფორმებით, სადა, გემოვნებით გამოყენებული ორნამენტებით გამოირჩევა. მხატვრებს ყურადღების გარეშე არ რჩებათ ამ ნაკეთობათა პრაქტიკული დანიშნულება და იფარისწინებენ, რომ ეს ჭურჭელი დეკორატიულ ნივთებს არ წარმოადგენს. დეკორატიული სერვიზი ხომ თავისთავად უაზრობაა.

ბევრი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია მისწრაფება მონუმენტულობისაკენ. აქ ვგულისხმობ არა მარტო დიდი ზომის დეკორატიულ ლარნაკებს, ეს ეხება ზომით პატარა, მაგრამ მონუმენტური პროპორციებით გადაწყვეტილ ზოგირთ ნამუშევარს. მაგალითად, ალდე კაკაბაძის ნამუშევრები მკაცრი

პლასტიკურობით განირჩევა და რაღაც განსაკუთრებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხალხური სიხალასით და უბრალოებით ხასიათდება.

ამავე თვისებებით ხასიათდება ნანა კიკნაძის ნაკეთობანი. მისი ხელადის მკაცრი, ძალზე პლასტიკური მოცულობა გაცოცხლებულა სტილიზებული ხევეური გოგონას თავით, რომელიც ორნამენტად არის გამოყენებული, გაშლილი თმები კი, კანელურებივით რომ დაუყვება ჭურჭელს, ფორმის მოცულობის გამაძლიერებელ ხაზოვან რიტმს კმნის შეიძლება ეს ხერხი ახალი არ არის, მაგრამ აქ ორგანულია.

საინტერესო გადაწყვეტით, მკაფიო თავისებურებით გამოირჩევა ირინე გაჩეჩილაძის, თენგიზ გობეჯიშვილისა და ირინე ქობალიას ჭურჭელი.

მონუმენტულობა და სისადავეა შერწყმული დიდი ზომის დეკორატიულ ლარნაკებში, ისეთებში, როგორცაა ეს-ემა გულაშვილი-მირცხულავას, მურთაზ აბაშიძის, რეზო მერტყეველის ლარნაკე-

ბი. ეს ჭურჭელი უთუოდ თავის ადგილს იპოვის თანამედროვე ინტერიერში, ნაკეთობათა ტექტონიკური მკაფიობა კარგად შეესატყვისება მათ დანიშნულებას. ყველა მათგანისთვის დამახასიათებელია თავმჯკავებული კოლორისტული გამა, ორნამენტის ძუნწი, ზომიერი გამოყენება. ეს თქმის, მაგალითად, მერტყეველის შავი დიდი ლარნაკის შესახებ რომელიც ძირითადად თავისი ფორმითა გამომსახველი. მხოლოდ ყელთან აქვს მოყრილი მარტივი, ხევეურულის მსგავსი გეომეტრული ორნამენტის ვიწრო ზოლი, ან მ. აბაშიძის ყავისფერი ლარნაკი, რომელიც აგრეთვე უმთავრესად თავისი პლასტიკური ფორმით მეტყველებს, და მხოლოდ ზედა ნაწილში პატარა რელიეფური სიბრტყეების წყებას შეავსებს ცხოველხატული აქცენტი ამ სადა, მეტყველ ჭურჭელში.

ამ უპრეტენზიო ლარნაკების გარედასრულებით ცოტა გაუმართლებელია ფორმის ისეთი „აღმოჩენა“, როგორც ეს გუგური წერეთლის დეკორატიულ ლარნაკე-

ზურაბ წერეთელი
ნ.მთარო



შია. ორი — ერთმანეთზე დასმული ცი-
ლინდრული მოცულობა არ ერთიანდება
ორგანულ მთლიანობად. ასეთი ფორმა
არც რაიმე სიახლეს წარმოადგენს, და,
მითუმეტეს, არ არის დამახასიათებელი
არც კერამიკისათვის, როგორც მასალი-
სათვის, ასევე უცხოა ქართული კერამი-
კისათვისაც.

გამოყენაზე დეკორატიული ლანგარე-
ბიცაა წარმოდგენილი, მაგრამ ვერ ვიტ-
ყვით, რომ აქ რაიმე ახალი ან განსა-
კუთრებული იყოს. მათი მეტი ნაწილი
ვერაფერ ფერადოვან-საინტერესოს ვერ
გვაძლევს. ამ ნაწარმოებებიდან უნდა
აღვნიშნოთ რომა ცუნიშვილის — „კალო-
ობა“, ომარ რჩეულიშვილის, ირაკლი
გაბაშვილის, ლეონა ნაკაშიძის დეკო-
რატიული ლანგარები.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია გამოყენაზე კერამიკუ-
ლი პანოები.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს
მ. აბაშიძის პანო „წითლარამილეუბი“.
ეს ნაწარმოები საინტერესოა როგორც
კომპოზიციით, ასევე მასალის ტექნიკუ-
რი გამოყენების მხრივ და თავისი ფერ-
ადონებითაც. ლირიკული განწყობი-
ლებითაა სასვე მიხეილ ბერიაშვილის
კომპოზიცია „დე ყოველთვის იყოს
მზე“, ანეტა ბასიშვილის პატარა კერამი-
კული პანო ბავშვების სახეებით.

არ შეიძლება არ ვახსენოთ კერამი-
კული სკულპტურა. ძირითადად აქ ცხო-
ველთა ფიგურებია, მაგრამ ყოველი



ლეოპოლდ ძაძამიძე
ქუჩა ტალისში



მათგანი იმდენად თავისებური და მეტყველია, რომ გინდა ყველა ახსენო, პირველ რიგში კი სულხანა სულხანიშვილის ნაწარმოებები. ორიგინალური და დასამახსოვრებელია მისი მინიატურული ცხოველების ფიგურები, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ხარისა და ტახის გამოსახულებანი. მთლიანი, დაუნაწევრებელი მასით გადმოცემული ეს ფიგურები ძალიან მონუმენტურნი არიან პატარა ზომის მიუხედავად. კარგად არის გადაწყვეტილი ცუხიშვილის და ვოხეჯიშვილის ცხოველთა კერამიკული სკულპტურები. ამასთან ერთად, საინტერესოა რამდენიმე პატარა კერამიკული ფიგურა, რომელშიც შეთავსებულია დეკორატიულ-პლასტიკური და ჟანრული (თუ შეიძლება ასე ითქვას) მომენტები. ასეთებია ქუქუა ფორჩხიძის „ხეცური გოგონა“ და „ხეცური გოგონა“—ბაბიშვილისა. ეს პატარა ფიგურე-

ბი თითქოს ხალხურ სათამაშოებს მგავაგონებენ, მაგრამ თანამედროვე მხატვრის ნამდვილი პროფესიონალიზმითაა შესრულებული.

ჩვენი გამოფენის ექსპონატები მოწმობენ იმას, რომ კერამიკული სკულპტურა საკმაოდ პოპულარულია და კარგი შედეგებიც გვაქვს. აქ არც ისე ბევრია ამ ჟანრის ნამუშევრები, მაგრამ მაინც კარგად ჩანს ცალკეულ მხატვართა თავისებური მიდგომა, ორიგინალური გადაწყვეტა. ჭარველ კერამიკოსებს იმის კარგი შესაძლებლობები და სათანადო ტრადიციებიც გააჩნიათ, რომ მეტი ყურადღება მიექცეს კერამიკული სკულპტურის ცხოვრებაში დანერგვას.

ცნობილია, თუ რა სიძნელეები აღსავსე თან ახალი მოდელების დანერგვას სერულულ წარმოებაში. — თქვა ბოლოს მან. ამ მიზნითულებით ბევრი რამ არის გაკეთებული, ალბათ ბევრი რამ კიდევ

გაკეთდება. საჭიროა თვით მხატვარმა-კერამიკოსებმა მეტი მონდომება და ენერჯია გამოიჩინონ ამ საქმეში. დადგა ღრთ. ჩამოყენებითი ხელოვნების ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი მთელი თავისი შესაძლებლობებით შევიდეს სამჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში. არა შეცვლილი, გაუბრალოებული სახით, არამედ ისე, როგორც მათ ვხედავთ საგამოფენო სტენდებზე.

შეგო რა ქანდაკებას, კ. მარაბულმა თქვა: ქანდაკება ამჯერად საკმაოდ ხუსტადაა წარმოდგენილი. იგი ჟანრის მხრივაც ძალზე შეზღუდულია, უმთავრესად პორტრეტული ჟანრია და სულ რამდენიმე ფიგურული კომპოზიცია, არ არის ანცერტი რელიეფი.

ბიძინა ლოლობერიძის მიერ მარმარილოდან გამოკეთილია დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახე. პორტრეტი საბჭოთა რეალისტური ქანდაკების მოწინავე

ტრადიციებს ემყარება. ამით ავტორი განაგრძობს იმ სახელოვან გზას, რაც დიასახა ჩვენს ქანდაკებაში ანდრეევის „ლენინიანის“ შემდეგ.

ჩვენ წინაშე პროფესიულად შესრულებული პორტრეტების მთელი წყებაა (თითქმის ორი ათეული პორტრეტი), მაგრამ მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძობა ჩნდება. ეს მით უფრო საწყენია, რომ ავტორთა უმეტესობა მსაყრბლის სამხატვროსზე წარმოუდგარა ხოლმე გაცილებით უფრო უკეთესი ნამუშევრებით.


ანთიმოზ გორგაძის ნამუშევარი — სპორტის ოსტატის ა. გუნიას პორტრეტი მალალი პროფესიონალიზმით არის შესრულებული, მაგრამ იგი თითქოს მოკლებულია იმ სიღრმეს შინაგანი ბუნების გადმოცემაში, რაც საერთოდ დანახასიათებელია ამ მოქანდაკის ნაწარმოებებისთვის.

უშუალოდ და გულწრფელობითაა შესრულებული გუგა მიქაძის „ნინოს პორტრეტი“. ეს ნაწარმოები მოქანდაკის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. კომპოზიციური გადაწყვეტაც ხელს უწყობს გოგონას ხასიათის გამოვლენას.

ამ გამოფენაზე ვეცნობით აგრეთვე მოქანდაკების: ვალერიან მიზანდარის, თენგივ ლვინიაშვილის, ეთერ კაკაბაძის, მერი სარაულის და სხვების ახალ პორტრეტულ ნამუშევრებს.

ელგუჯა ამაშუკელმა მისთვის ჩვეული გაბედულებით შექმნა თავისებურად ჩაფიქრებული დიდი დეკორატიული ქანდაკება, ფორმების გარკვეული პირობითი საზღვარით. მოქანდაკე აქაც გარკვეული იდეის განსახიერების ამოცანას ისახავს. ქანდაკების ენაც შესაბამისია — მოზუმენტური, განსოვადებული. აქ, ისევე როგორც ყველა თავის ნაწარმოებში, ე. ამაშუკელი გამოიღის, როგორც მაძიებელი შემოქმედი: მის ნამუშევრებში ყოველთვის ჩანს საკუთარი, მღელვარე დაზოვიდებულება საგნისადმი, მოვლენისადმი.

სანატრესოდება გადაჭრილი პლასტიკის სპეციფიკური ამოცანები მერაბ ბერიანიშვილის მიერ შესრულებულ ქალის ტრისში. ძალზე მეტყველი მოკულობითი ფორმები, საკმაოდ დამძიმებულ კიდურებით მალალი ოსტატობითაა გადმოცემული. იგრძნობა, რა თავისებურად ძერწავს მოქანდაკე ფორმას, რა გაბედულად ათავსებს სხეულს სივრცეში.



თეიმურაზ გოცაძე

მელიქონი

ზოგჯერ ქანდაკებისათვის თითქოსდა „თანამედროვე“ ხასიათის მისაცემად მოქანდაკეები განზრახ აზვადებენ ფორმებს, მიმართავენ ფორმების გაუსქემების პრიმიტიულ ხერხს. მაგალითად, ავთანდილ მჭედლიშვილის „მონანვე ქალის“ ფიგურაში, რომელიც საერთოდ კარგი პლასტიკურობით ხასიათდება, უსიამოვნოდაა გასქელებული და დამძიმებული ფესები. საჭიროა მეტი სიფრთხილით მოვეყვითეთ ამგვარ ხერხებს, რადგან მათი ხელფენურად დანერგვა ძალზე სასიფათოა.

განსაკუთრებული კომპაქტურობით, სიმარტებით და ამავე დროს შესანიშნავი

ვი პლასტიკური თვისებებით ხასიათდება გულდა კალაძის მცირე ზომის „ქალი ყურწინით“. ისევე როგორც თავის ყველა ნამუშევარში, აქაც მოქანდაკე გვევლინება, როგორც მკაცრი, დახვეწილი ოსტატი. იგი აღწევს პლასტიკური მასტების შესანიშნავ მოლიანობას და გამოსახველობას, ამოცანა ყოველთვის გადაწყვეტილია მარტო, შვერულ კომპოზიციაში.

დასასრულს მომხსენებელმა იმედი გამოსთქვა, რომ შემდეგ გამოფენაზე მოქანდაკეები წარსდებიან უფრო მრავალფეროვანი და მათი შესაძლებლობების შესაფერისი ნაწარმოებებით.

პიკველი ქართული ინჟინერ- პოლიტკაუზისტი

თა ნახელავი წიგნები სხვა არაფერზე მეტყველებენ თუ არა ქართული წიგნის მაღალ კულტურაზე, დიდ ხელოვნებამდე აყვანილ ტრადიციაზე. ფაქიზი გემოვნებით, შესრულების ფილოზოფიური ტექნიკითა და ვირტუოზულობით მოხატულ-მოჩუქურთმებული ძვირფასი ყდები, ტიტულები-შეუცტიტულები თავსართ-ბოლოსართები, ასომთავრულები თუ მინიატურები ფუფუნებით გულმოკრებულნი არისტოკრატიისთვის გამიზნული გასართობი საშუალებები კი არ იყო, არამედ მათში ვლინდებოდა სიბრძნისადმი დაუთრგუნველი ღტოლვა, ცოდნის წყურვილი, წიგნისადმი უდიდესი სიყვარული და მოწიწება, ოდითგან სულში გამჭადარი პატივისცემა, მისი ღირსების შენახვის, როგორც „ხეობხელ საგოგამანები“ ნივთის მოვლის კულტურა, ჩვევა, ადათი...

წიგნის კეთება, მისი ბეჭდვა და გაფორმება დიდი ხანია ხელოვნებამდე ამაღლდა და ერის სულიერი თუ მატერიალური კულტურის გამოსატყულების ერთ-ერთ უტყუარ არგუმენტად მოგვევლინა. ამიტომაც იყო, რომ ერის თავკაცები სხვა საშვილიშვილო საქმეებთან ერთად ამასაც ყოველთვის დიდი გულსყურით ეკვიდობდნენ. შორს რომ არ წაივადეთ სამაგალითოდ და საამაყოდ გვეყოფოდა ვახტანგის, საბას, არჩილის, ილიას ღვაწლიც.

თანამედროვე ეპოქაში, უდიდესმა სოციალურ-ეკონომიურმა ძვრებმა, ცხოვრებისეული მოვლენების ქარიშხლისებურმა განვითარებამ, როცა ადამიანის სულის სამყარო წარმოუდგენელი მასშტაბებით გაიხსნა და გაფართოვდა, შესაბამისად შეიცვალა წიგნისადმი მოთხოვნილება და დამოკიდებულება. წიგნი მუდამ ვერ იქნებოდა და არც უნდა ყოფილიყო მხოლოდ რჩეულთა, ბიბლიომათა პრივილეგია.

ცხადია, წიგნის ღირსება არასოდეს განისაზღვრება მათი ევშემპლარების რაოდენობით, მაგრამ ძველად იგი ვერ აოკებდა ხალხის წყურვილს — ყოველ ოჯახში ყოფილიყო წიგნი — ცოდნის დაუმრეტელი წყარო. ამიტომაც ვამბობთ ჩვენს ინტელექტურ წინაპრებზე — წიგნი იყო მათი დიდი სისარული და გულსტივილიც.

დრო მუდამ თავისას ითხოვს. და როცა გუტუნებურის გენიალური გამოგონებით ახდა ადამიანთა საუკუნოვანი ოცნება, არც ის დაეწყებიათ, რომ მისობრიობასთან ერთად უნდა დახვეწილიყო, ამაღლებულიყო წიგნის კეთების კულტურაც.

ჩვენმა ხალხმა რევოლუციამდელი საქართველოდან, მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, მემკვიდრეობად მიიღო ძლიერ ჩამორჩენილი პოლიგრაფიული მრეწველობა. იგი ვერ პასუხობდა ვერც ისტორიულად ჩამოყალიბებულ მაღალ ტრადიციებს და კულტურას და, მითუმეტეს, ვერ აკმაყოფილებდა განთავისუფლებული ხალხის დაუოკებელ ღტოლვას ცოდნისადმი, უდიდეს მოთხოვნილებას წიგნისადმი. არ იყო ბაზა, თანამედროვე ტექნიკა, არ გვაყავდნენ პოლიგრაფიის დაუფლებული პროფესიონალები. ევროპისა და რუსეთის პოლიგრაფიულ წარმოებაში კი მრავალი ტექნიკური სიახლე ინერგებოდა, მაღლებოდა ბეჭდვის, გამოცემის კულტურა.

დრო, ხალხის აზვირთებული ენერგია, მეცნიერების, ტექნიკის გიგანტური განვითარება ითხოვდა ძვირებს ცხოვრების ყოველ სფეროში. დღის წესრიგში დადგა ქართული პოლიგრაფიის განვითარების ამოცანაც, წარმატებით გადასაჭრელად კი



წიგნი — სათუთად და გემოვნებით მოკაზმული, ისევე როგორც საომარი, ნაკურთხი ხმალი, დღემდე ამოუცნობელი საიდუმლოებით ნაწრთობი, ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოთქვილ-მოვარაყებელი, ძველთაგანვე ქართველი კაცის სათაყვანო საუნჯე, საამაყო მშვენიერა, საყვარელი სამკაული იყო. სწორუპოვარი კალიგრაფიული ხელოვნების ნიმუშად ქცეული უძველესი ქართული ხელნაწერები, თავმდაბალ დიდიხატატა მიერ მოხატული ეტრატები, ქართული ბიბლიის თარგმანები, ოთხთავები, ფსალმუნები, ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი ან შემდეგი დროის ოსტატ-



გიორგი ვოვნიაკოვ

პირველ რიგში, საჭირო იყო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება. ამ საქმის ერთგული, ამ პროფესიაზე შეყვარებული ადამიანების აღზრდა.

პირველი, ვინც, სახელმწიფოს ხარჯზე, საქართველოდან მოსკოვს გაიგზავნა სპეციალური განათლების მისაღებად, იყო სტამბის მიმჭდავი მუშა — ერასტი წიფვივაძე. მას თან მიჰქონდა ერთგული წიგნის ტრადიციების სიყვარული, პატივისცემა, ცოდნის დაუფლები, ღრთის მოთხოვნებთან გატოვების უდიდესი სურვილი, მისწრაფება.

სასტამბო ხელოვნებისადმი, პოლიგრაფიისადმი სიყვარული და სისხლხორცეულად დაკავშირება ერასტი წიფვივაძისათვის არც შემთხვევითი იყო და არც ლოგიკურ ძირებს მოკლებული. ჯერ კიდევ მამამისს — ლეონტი წიფვივაძეს პროკლამაციების საბეჭდოდ სახლში პატარა სტამბა ჰქონდა გამართული, ერ. წიფვივაძის ბიძის პროფესიონალ რევოლუციონერ რაჭდენ (ლადიკო) ჩანუაშვილის დაგალებით. შემდეგაც, როცა პოლიციისაგან დევნილი ლეონტი საქართველოდან გაიქცა და „ოხრანის“ ჩაშლის ტყვეამ პავლოვრადმი უწია, ერასტი დედამ, რომელიც დღეღამე კრავით, გაჭირვებით აპურებდა დაობლებულ სამ შვილს, კვლავ გადაარჩინა ეს საბეჭდო მოწყობილობა, თუმცა პოლიციელებს რამდენიმეჯერ გაუჩხრეკიათ მათი სახლი.

ახლა, როცა წარსულს ვუფიქრებდით, რევოლუციონერი მამის კვილი ხსოვნასთან ერთად ეს პატარა ეპიზოდი თითქოს სიმბოლურ მოვლენად იქცა თვით ერასტი წიფვივაძის ცხოვრებისთვისაც. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ფაქტი მაინც ის არის, რომ ამ პატარა სტამბით გაღვივებულმა სიყვარულმა ლეონტი წიფვივაძის ოჯახის წევრების სიცოცხლის ასამოყდარებას წელი პოლიგრაფიას მიუხადავრა. ძმები — შალვა და ერასტი 1914 წლიდან მოყოლებული დღემდე, თითქმის ნახევარი საუკუნეა პოლიგრაფიის სამსახურში დგანან. ერასტი წიფვივაძე თორმეტი წლისაც არ იყო, როცა ფეხი შედგა საქართველოში კარგად ცნობილ ივანე კილაძის ქუთაისის სტამბაში, იქ შეისხა ფრთები, იქ მოიღია ყრობა, სიჭაბუკე. დაკვირვებული და ცოცხალი გონების ხელმძრავვე შევირდმა შალვე მიიქცია უფროს ოსტატთა ყურადღება და სრულყოფილად დაეუფლა მიმჭდავის პროფესიას.

ასე დაიწყო მისი გზა პოლიგრაფიაში, რომელიც დღემდე არ გაწყვეტილა. შემდეგ — მუშაობა პირველ საბჭოთა სტამბაში. კოპეკშირი, თბილისის მუშაკი — დღისით სწავლა, ღამით კი ისევ სტამბა — მუშის დაძაბული ცხოვრება, ფიქრი, სასტამბო ხელოვნების საიდუმლოებათა წვდომა... შემდეგ მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტი, კვლავ შრომა, სიყვარულ საქმეში დაოსტატება, სიხსნეთა დაუცხრომელი ძიება... და ისევ თბილისი, ერთგული პოლიგრაფიის განახლების, ზრდის, განვითარებისათვის ზრუნვა, ბრძოლა მისი ახალი სიმალეების დაპრობისათვის.

ეოასტი წიფვივაძე პოლიგრაფიაში პირველი ქართველი ინჟინერია, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ერთგული ბეჭდვითი ხელოვნების ზრდას, თავისი წვლილი შეიტანა სასტამბო ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარებაში. ყველა, ვინც კი მას იცნობს, გეტყვით, რომ ერასტი თავის საქმის დიდოსტატია. ზედმიწევნით იცნობს პოლიგრაფიული წარმოების

ყოველ დეტალს, ღრმა, მაღალი თუ ბრტყელი ბეჭდვის პროცესებს. შეუძლია ერთნაირი წარმატებით იმუშაოს თანამედროვე პოლიგრაფიული მრეწველობის ურთულესი მანქანების დამონტაჟებაზე, ახალი შრიტის დამუშავებაზე, წიგნის კინძვასა თუ მოკაზმვაზე. ასევე წარმატებით ასწავლის, გაუსწოროს შეცდომა თუ უზუსტობა სტამბის რიგით მუშას — დამკაბადონებებს, სტერეოტიპისტს, მატრიცის ამოღებებს თუ მიმჭდავს, მკინძავს, ლინტოპისტს...

იგი დიდი გულსყურით ეკიდება თანამედროვე მაღალმხატვრული ბეჭდვის ფოტომექანიკური პროცესების ურთულეს ტექნოლოგიას. საქართველოში მისი ხელმძღვანელობით პირველად განხორციელდა ოფსეტური ბეჭდვა ოთხ ფერში; ჩვენმა ნორჩმა თაობამ პირველად მიიღო ფერებით დასურათხატებული „დედა ენა“, რომელმაც საბჭოთა ხალხების „დედა ენების“ საკავშირო დათვალიერებაზე პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო პარიზის გამოფენაზე კი „ღლი პრიზი“ მოიპოვა. ამ კვილიშობილ საქმეს წინ უძღოდა ლითონ-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის საკამოდ რთული რეკონსტრუქცია.

ბევრი სიახლის დანერგვა, მათ შორის ქვაზე ფორმების დამზადების შექცევა ფოტო-მექანიკური პროცესებით.

ცოტა დავაწლი რადიო მიუძღვის ერასტი წიფვიძაძეს იმაშიც, რომ გამომცემლობებისა და რედაქციების ირგვლივ შემოიკრიბა ნიჭიერი ქართველი მხატვრები, რომლებიც შემდგომ წიგნის გაფორმების საუკეთესო ოსტატები გახდნენ. ახლა მათ თან მიაკეთ გარკვეული სიახლე, კულტურა, შესრულების ახლებური მანერა, მაღალი გემოვნება.

მუდამ შემოქმედებითი ძიება და ყოველი სიახლის თათსინობა მისი ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა. როდესაც ჯერი მიდგა ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმის — ქართული ენის განმარტებითი რვატომიანი ლექსიკონის გამოცემაზე, მისი პოლიგრაფული-ტექნიკური გაფორმება, რომელიც მშავალ სირთულესთან არის დაკავშირებული და რომლის გამოცდილება ქართულ პოლიგრაფიას აქამდე არ გააჩნდა, სწორედ ერასტი წიფვიძაძემ იტვირთა. ახლა შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ ეროვნულ საქმეს თავისი დიდოსტატობის კვალიც დაამჩნია.

ახალგაზრდული ენერჯია, ენთუზიაზმი, საქმით გატაცება მუდამ ახასიათებს ერასტი წიფვიძაძეს. ამიტომაც ყოველთვის დიდი ნდობით და სიყვარულით ეკიდებოდა იგი ახალგაზრდობას, ასწავლიდა, აოსტატებდა, ახალისებდა და აწინაურებდა მათ, ღირსეული კადრებით ავსებდა ეროვნულ პოლიგრაფიასა და გამომცემლობებს. წლების განმავლობაში გახუნებულ გუნდებთან და ხალხით ლექციებს კითხულობდა სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მომავალ ჟურნალისტებისა და პოლიგრაფის ინჟინერ ტექნოლოგებისთვის.

ამჟამად ერასტი წიფვიძაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორის მოადგილე და მთავარი ინჟინერია. ახლა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მისი ღრმა ერუდიცია და პოლიგრაფი-

ული მუშაობის მდიდარი გამოცდილება პოლიგრაფომბინატის დიდი კოლექტივის იმ რთულ შრომაში, რომელიც ერთდროულად მშენებლობაში, რეკონსტრუქციასა და ესპლოატაციაში იხატება. რესპუბლიკის ამ უდიდესი კომბინატის რეკონსტრუქციის ტექნოლოგიურ პროექტში მან მნიშვნელოვანი კონტრიბუციები შეიტანა. მთავარი ინჟინრის უშუალო ხელმძღვანელობით აქ დამონტაჟდა ახალი სწრაფმეტრ დავი ურთულესი მანქანები, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღიჭურვა სამაქროები.

ეროვნული პოლიგრაფიული მრეწველობისა და წიგნის გამოცემის ხელოვნების აღმავლობაში თვალსაჩინო წვლილისათვის ერასტი წიფვიძაძე დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ დამსახურებულ ინჟინრის წოდება მიენიჭა.


საპატიო წოდების მიღებისა და დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის და პოლიგრაფომბინატის კოლექტივმა ამ ცოტა ხნის წინათ საწიემო საღამო გაუმართა ღვაწლმოსილ ინჟინერ- პოლიგრაფისტს. იუბილარს გულთბილად შეხვდნენ რესპუბლიკის გამომცემლობებისა და სასტამბო ხელოვნების მუშაკები, ჟურნალისტები, მწერლები, მხატვრები, მისი კოლეგები — ვეტერანი მუშები, აღზრდილები, სტუდენტები.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის კოლექტივი უერთდება მაღლიერ მეთხველებს, ჟურნალისტებს, პოლიგრაფისტებს, ერასტი წიფვიძაძის აღზრდილებს, რომლებსაც სურათო, რომ მისი დაუცხრომელი ენერჯია, ღრმა ერუდიცია, დიდი გამოცდილება, კიდევ მრავალ სიკეთეს მოუტანს მშობლიურ ხალხს, ქართულ წიგნს, ეროვნულ პოლიგრაფულ ხელოვნებას.

ანთიმოზ გორაძე

გაბაძე





ლონდონი. ვატიერლოს ხიდი

ფოტოები დემურ ხარაძისა

დღეები ინგლისში*

ნოდარ გურაბანიძე

ქოველ მოგზაურს, ცხადია, მძაფრი ვნებების გამოვლენის ხილვა სურს. ლონდონში პარლამენტის დათვალთვლების შემდეგ უკვე ვიცოდით, რომ ორივე პარტიის ამფითეატრის წინ, იატაკზე გავლებულია ხაზი, რომლის გადალახვა აკრძალულია. გამოდის ორატორი, დგება ამ ხაზთან, მას შეუძლია გააბიჯბრუსი მოწინააღმდეგე, შეიჭრას როლში, მიმართოს ყოველგვარ ხერხს, ასავსავოს ხელები, მრისხანედ აღმართოს მუშტები, ჩავარდეს ტრანსში, მაგრამ რამდენიმე სანტიმეტრიც რომ გადასცილდეს ამ ხაზს,

ამით არღვევს ყოველგვარ ეტიკეტს (თუკი შეიძლება იმ დროს ლაპარაკი ეტიკეტზე, როცა პარტიები ერთმანეთს „ყელს ღადრავენ“) და მაშინ თავმჯდომარეს უფლება აქვს — თუნდაც წესის ეს დამრღვევი პრემიერ მინისტრიც კი იყოს — უმკაცრეს ღონისძიებას მიმართოს. ბუნებრივია, ჩვენ ამგვარი მომენტის ხილვა გვაინტერესებდა, მაგრამ ბელფასტელი ორატორები არ აპირებდნენ არც გახელებას, არც ამ ხაზის გადალახვას და ჩვენც შეუმჩნევლად (თუმცა არც ჩვენი შესვლისას შეუბურტყია ვინმეს ყური) დაგტოვეთ ჟურნალისტებისა და სტუმრებისათვის განკუთვნილი იარუსი...

... ბელფასტის მერი ჩვენს შესახვედრად ჩვეულებრივი

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 1



ლონდონი. საზეიმო ცერემონიალი ბუკინგემის სასახლის კარიბჭესთან

კოსტუმით გამოვიდა, მკერდზე დაიხედა და შეცუნდა, მას ძველებს ჩამომბა დაევიწყებოდა, ვაწითლდა, ბოლოში მოიხნადა, მეორე ოთახში გავიდა და უმაღლესი შემობრუნდა გაბრწყინებული სახით... ახლა იგი უკვე ნამდვილი მერი იყო. სხვათა შორის ამ მერს „სპუტნიკი“ ვაჩუქეთ, მეორე დღეს გაზეთებში დაიბეჭდა წერილი სათაურით — „საჩუქარი — „სპუტნიკი“ — მაგრამ რატომ არა „ეოლდა““. ეს კეთილი ტონი იყო ჩვენს მიმართ, მაგრამ, ალბათ—ირონია მერის მიმართ, რომლის საკმაოდ დაუღაგა სახე და მხიარული ზნე ამჟღავნებდა, რომ მაინცდამაინც არ უნდა სტულებოდა მაგარი სახსენებელი...

ს. აფიანს მრავალი ლექსი აქვს მიძღვნილი ბავშვებისადმი. ამ ლექსებში პოეტი შეჰპარის ახალ თაობას, მათ ბედნიერ აწვევს, იფრენს თავისი ყრმობის მძიმე წლებს და გმავიფილვებას გამათქვამს, რომ ასეთი ხედილი წოლად არ ხვდეთ სამჭოთა ბავშვებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მის მიერ თარგმნილი პოეზიის ნიმუშები. ს. აფიანი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელი სომხურიდან ქართულად და პირიქით, ეს განსაკუთრებული ხუნდა ითქვას ნ. ბარათაშვილის „მერანის“ თარგმანზე. „მერანი“ სომხურ ენაზე თითქმის ისეთივე პოეტური სიძლიერით ედგის, როგორც ქართულად. მასში მძაფრად იგრძნობა ბარათაშვილის ლექსის რიტმი და ექსპრესიულობა.

ასეთივე მაღალი ოსტატობითაა თარგმნილი ი. ჭავჭავაძის „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ნანა“, ა. ვიქტორის „გაზაფხული“, „მუხამაზი“, მდიდარს ღარიბისაგან“, ა. აბაშვილის „საათნოვა“, „სომხეთის“, „დიდის წერილი“, ა. ჭავჭავაძის „გოგის ტბა“, ს. შანშიაშვილის „დიდისერთა ლენინთან“, ი. ვვლდომილის „ქირიშალი“, თ. ჯანგულაშვილის „რანდანის პირას“ და სხვ.

ქართული ელასიკური პროზიდან სომეხი მკითხველი მისი თარგმანებით გაცნობა „ქრისტინეს“, „ისნის ცისკარს“, „მამის მკვლელს“, „პატარა ვახს“, „ქაჯანას“, „მაგდანას ლურჯას“ და სხვებს.

ს. აფიანი მრავალი კრიტიკულ-მბობიოგრაფიული სტატიის ავტორია. ამ წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართველ-სომეხთა კულტურული ურთიერთობის საკითხების გარკვევაში. ს. აფიანმა გააცნო ქართველი მკითხველს რუსთაგელის „ფიფისიკაისნის“ სომხურ ენაზე პირველი მთარგმნილი ვინაობა. ფრიალ მნიშვნელოვანია მისი წერილი საიათნოვას ვინაობისა და საფოჯის შესახებ და სხვ.

ს. აფიანი გამომიჩევა გულისხმიერებით, დარბაისლობით, მაღალი კულტურით. ასეთი იყო ასპარეზზე გამოსვლისას და ასეთივეა ახლაც, როცა უკან დარჩა მისი სამწერლო და სახობაითობრივი მოღვაწეობის 40 წელი. თთხი ათეული წლის მანძილზე მას მხნად ეჭობა ქართველ-სომეხთა მეგობრობის ღროშა და ამ წმინდა საქმის ალაღმართლად ემსახურებოდა როგორც კალმით, ისე მთელი თავისი ცხოვრებით.





ნარიყალა და ძველი თბილისის რეკონსტრუქციის ზოგიაერთი საკითხი

თინათინ ჩიჩუა

საქართველოს ღრიალ მდიდარ არქიტექტურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ციხე-სიმაგრეებს, მათ შორის ერთ-ერთ უძველეს და საინტერესო თავდაცვით ნაგებობას — თბილისის დედა-ციხეს, ნარიყალას. ვრცელი და მდიდარია ამ ციხის პოლიტიკური, სამხედრო და სამშენებლო ცხოვრება. ლიტერატურულ და გრაფიკულ წყაროებში ის სხვადასხვა სახელწოდებითაა მოხსენიებული. არსებობს პირველ წლებში იგი კალად იწოდებოდა, დღეს კი ნარიყალას სახელწოდებით არის ცნობილი. ფეოდალური საქართველოს სისხლისმღვრელი ომები გა-

რეშე მტერთან თუ შინაფეოდალური, ძალიან ხშირად თბილისის ზურგზე გადადიოდა. ხაზარების, არაბების, მონღოლების, თურქ-სელჯუკების, სპარსელების, ოსმალების და სხვათა მრავალთა ბრძოლების მომსწრეა თბილისი, მისი ქუჩები, მისი ციხეები. თბილისის გამაგრება-თავდაცვა — ეს იყო ერთ-ერთი შთავარი ამოცანა. ამიტომ არის, რომ ძველი ქართველი და უცხოელი ისტორიკოსები თუ მოგზაურები თბილისის აღწერისას განსაკუთრებული ყურადღებით თბილისის ციხე-სიმაგრეებს იხსენიებენ და აღწერენ. ასეთი ციხეებია: დარიჯელი, თაბორი, მეტეხი და კალა. მათ შორის ნარიყალა გამოირჩევა



ფრანგენტი ჩუიკოს მიერ შესრულებული 1800 წლის თბილისის გეგმიანი

თავის გეოგრაფიული, სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობით, თავდაცვითი ნაგებობის გააზრებული არქიტექტურული შინაარსით და სიდიდითაც. მიუხედავად ამ ციხის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა, მისი სტრუქტურის ანალიზი, დაცემარეზიტი და არქიტექტურულ-მხატვრული სახის აღდგენადღეისათვის სრული სახით არ ვაგვიჩნია.

მისი აშენების პირველი წლები ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეს ეკუთვნის. ამას „ქართლის ცხოვრება“ ადასტურებს. იქ მის შესახებ შემდგომი წლების ამბებიცაა მოთხრობილი. მაგრამ მარტო ლიტერატურული წყაროები ძველის სრული წარმოდგენისათვის საკმარისი არ არის, მაშინ როდესაც ეს ნანგრევების სახითაა ჩვენამდე მოღწეული.

ალა-მამად-ხანის 1795 წლის შემოსევას ცოტა რამ გადაურჩა იმდროინდელი ქალაქის მემკვიდრეობიდან. განსაკუთრებით დაზიანდა ან მოლიანად განადგურდა საერო ნაგებობანი და ციხე-სიმაგრეები. ასეთი ბედი ეწია თბილისის მთავარ ციხეს-ნარიყალასაც. XVIII საუკუნის გრაფიკული მასალების საფუძველზე შეიძლება აღვადგინოთ ამ ძველის პოლოპერიოდის არქიტექტურულ-დეკორატიული სახე. ამის შემდეგ კი, უკვე ციხის ნანგრევების გასუფთავებისა და სამშენებლო ფუნქციის გამოკვლევის საშუალებით, წინა პერიოდის ნარიყალაზედაც უფრო ზუსტი მსჯელობა იქნება შესაძლებელი. ჩვენი წერილი კი მხოლოდ XVIII საუკუნის ნარიყალას კვლევას ეძღვნება.

XVIII საუკუნის თბილისის გეგმიებიდან დღეისათვის ცნობილია: ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შესრულებული 1735 წლის თბილისის გეგმა, უცნობი ავტორების მიერ საკმაოდ პრიმიტიულიად შესრულებული, ფრანგულ და რუსულ წარწერებითანი, დაუთარილებელი ორი გეგმა, პიშჩიჩის ფრანგულ ექსპლიკაციანი 1782, 1785 წლების გეგმები და კაპიტან ჩუ-

იკოს მიერ შესრულებული 1800 წლის თბილისის გეგმა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელი წინა პერიოდის გეგმებთან შედარებით, ის გამოირჩევა არაჩვეულებრივი სიხუსტითა და ყოველგვარი წვრილმანების აღნიშვნით. კაპიტან ჩუიკოს ეს გეგმა ტოპოგრაფიულ საფუძველზე აქვს შედგენილი. მას ეწოდება: „План города Тифлиса резиденции царства грузинского с описанием его частей и в них главных публичных строений“. გეგმა ალამამად-ხანის საშენილო დარბევიდან ხუთი წლის შემდეგაა შედგენილი. ქალაქის აობრებული ნაწილები ავტორის გამოყოფილი აქვს და ფერებით შესრულებულ გეგმაზე ნაცრისფერი ლაქებითა აქვს დაფარული. ექსპლიკაციაში განმარტებაა: „кварталы черною краскою покрытыя означают разоренные строения“. ქალაქის ასეთი განადგურებული ნაწილები საკმაოდ ბევრია: ნარიყალა, მეტეხი, ავლაბოს უბანი, მეფისა და დიდბულების სასახლეები და მათ ახლო-მახლო ტერიტორია (აწინდელი ერეკლეს მოედნის უბანი), მოზრდილი ფართობი გარეთუბანში ქვაშეთის ეკლესიიდან მეფის ბაღებამდე (აწინდელი ლენინისა და კოლმუერნეობის მოედნების უბანი), განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1800 წლის გეგმაზე ნარიყალას კოშკების, ბურჯების და იქ მდებარე სხვა ნაგებობათა გულდასმით განიხილვა. როგორც გეგმის განმარტებიდან ჩანს, ნარიყალა ნანგრევებად ყოფილა ქაქული, მაგრამ ავტორის იქ არსებულ შენობათა კონფიგურაციის მოხაზვა კვლავ შესძლებია. კარგ დამხმარე მასალას წარმოადგენს იმდროინდელი ჩანახატებიც, რომელთა უმრავლესობა გვიანდელი პერიოდის გრაფიკურების სახითაა ჩვენთვის ცნობილი. შეფუძლით ამ მასალების საფუძველზე აღვადგინოთ და წარმოვიდგინოთ ძველი თბილისის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი, უფრო სწორად, თბილისის ამ თვითი ციხის დაცემარეზიტი ფუნქციური შინაარსი და მასთან დაკავშირებით მისი არქიტექტურული სახე XVIII საუკუნისათვის.

ვახუშტი ბაგრატიონისა და 1800 წლის გეგმების განხილვა-შეადარება ციხის დღევანდელ ნაწილებთან ნებას გვაძლევს XVIII საუკუნის ნარიყალა იარუსებიან, სხვადასხვა დონის ტერასებზე გაშენებულ ნაგებობად წარმოვიდგინოთ. ციხის თვითიული ჩანს, ცალკე გალაგნებითა და კომპიკით ყოფილა შემოფარგლული. მათ დათოკივებული შესასვლელები ქონდათ და იქ ნადავლებულ ნაგებობათა რაოდენობისა და ნარიყალაზედაც ჩანს, რომ ისინი დანიშნულების მიხედვითაც განსხვავდებოდნენ.

ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის გეგმის მიხედვით ნარიყალა ოთხი დონის ტერასაზე აშენებული ციხეა, 1800 წლის გეგმის მიხედვით კი სამი. ციხის ტერიტორიალი განსხვავება XVIII საუკუნის დასაწყისისა და დასასრულისათვის გამოწვეულია შემდგომი ცვლილებებით; ციხის პირველი კვდა ნაწილი, რომელსაც ვახუშტი დაბლა ციხეს უწოდებს, მტკვრისპირა მისახლებაა. როგორც ჩანს, შემდგომ წლებში ციხის ამ უბნის შემომზღუდავი დასავლეთის გალავანი მოშლილია და ეს დასახლება ქალაქის დანარჩენ ნაწილს უშუალოდ შეერთებია. ასე, რომ, ვახუშტისეული დაბლა ციხის ტერიტორია ქალაქის მთლიანი დასახლების ნაწილად გადაქცეულია და მისი აღმოსავლეთის კედელი კი ქალაქის აღმოსავ-

ლეთის მხრიდან შემომსაზღვრებელ გალავნად. ამიტომაც შემდეგი დროის გეგმებზე დაბალი ციხის ეს უბანი ცალკე, გამოყოფილად აღარ არის აღნიშნული და ციხე უკვე სამი ძირი-ადი ნაწილისაგან შედგება. ესენია: პირველი ქვედა ნაწილი, რომელიც უშუალოდ მტკვრისპირა დასახლებას შემადგენულად ესაზღვრება ციხის აღმოსავლეთით, წვეკის წყლის პარალელურად, ვიროვ ზოლად მისდევს, შემდეგ კი ფართოდება ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხარეს და საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს. არცერთ გეგმაზე მას ცალკე სახელწოდება არა აქვს მეორე, შემდეგომ ზედა საფეხურზე მდებარე ნაწილი, ვახუშტის მიხედვით მაღალი ციხეა 1800 წლის გეგმით კი უზრაოდ ციხედ იწოდება. მესამე, ყველაზე ზედა ნაწილი, შედარებით მცირეა ფართობით და ციხის დამაგვირგვინებულ უბანს წარმოადგენს. ვახუშტი მასაც მაღალ ციხეს უწოდებს. 1800 წლის გეგმის ავტორი კი ნარინ-კალეს მიხედვით განტკბობით: „На татарском языке значит главная крепость“.

განვიხილოთ ნარიყალას ზემოთ ჩამოთვლილი ნაწილები ცალ ცალკე, ქვეყნიდან, იმ თანმიმდევრობით, როგორც ის გარედან მოსულ ამსვლელს წარმოუდგებოდა.

საერთოდ, ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელ გალავანშემოვლებულ ქალაქებში ტიპურების განლაგებას და გარედან მომავალი გზების მიმართულებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ციხესიმაგრეების ურთიერთობა გზებსა და ქალაქის მთავარ მისადგომებთან სამხედრო სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა. სწორედ აქ ირინდა თავს ადგილობრივი ხუნძორები პირობების მნიშვნელობა და მათი გამოყენება თავდაცვითი საკითხების გადაწყვეტისას. ასეთი თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა ძველი თბილისის მთავარი გზა და ციხეების ადგილი ამ გზაზე. XVIII საუკუნის თბილისში ერთ-ერთი მთავარი გზა სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან მოდიოდა. ეს ე. წ. განჯის გზაა. ვახუშტის ის პუნქტირით აქვს გამოყოფილი. 1800 წლის გეგმაში კი მის შესახებ ნათქვამია: „ганджинская дорога на кою выходит дорога от многих персидских городов и из анадоллии“.


ეს გზა მოდიოდა სეიდაბადის ბაღებით მტკვრის პარალელურად (აწინდელი ბოლნისის ქუჩის მიმართულება). აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი: 1800 წლის გეგმაზე ამ ბაღებით დაფარული ტერიტორია ცალკე ნაკვეთებადა დაყოფილი და ხეების აღნიშვნულ პირობით ნიშნებს გარდა, გარკვევით ჩანს ვაზის გამოშობატეული ნიშნებიც. მის მიხედვით სეიდაბადის ბაღები—ძირითადად ვენახებია, სადაც არბივ კი ყოფილა გამოყვანილი წვეკისის წყლიდან. სეიდაბადის ბაღების გავლის შემდეგ განჯის გზა აბანოების უბანთან მიახლოებისას ორ მიმართულებად იყოფოდა. ერთი პირდაპირ დაღმართზე ეშვებოდა და აბანოს კართან მთავრდებოდა. მეორე კი, მთავარი გზა სამხრეთისაკენ უხვევდა (აწინდელი მირზაშაფი ვაზახის შესახებ). ვახუშტი ბაგრატიონსაც ეს მეორე მიმართულება აქვს პუნქტირით აღნიშნული, როგორც მთავარი გზა. სწორედ ამ მთავარ გზას გადმოჰყურებდა თაბორის ციხე და ნარიყალასთან პირველ მისადგომებს ყარაულბოდა. სასურადღებოა ერთი ამბავი. ამ ციხეს საქართველოს სხვადასხვა ბრძოლების აღმწერი ისტორიკოსები თაბორის

სახელწოდებით ხშირად მოიხსენიებენ, მაგრამ ამ დასახლებით ციხის გრაფიკული გამოსახულება ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებულ გეგმებზე არსად არ არის მოცემული. ვახუშტის იქ მხოლოდ ერთი ტაბარი აქვს დასახტული და უწერია მთაბარი. თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსში“ მას ნათქვამი აქვს: „აქ, თაბორს ყოფილა ციხე არამედ აწ შემუსვრილი არს“. 1800 წლის გეგმაზე ზუსტად იმ ადგილას, სადაც ვახუშტის მთაბარი აქვს აღნიშნული, ციხეა გამოსახული გალავნითა და კოშკებით. იქვე არსება: „разернное укрепление Корча-Калее“.

XVIII საუკუნის ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი ერეკლეს მიერ აბდულბეგის დამარცხებას და თაბორის ციხის აღებას აღწერს. პლატონ იოსელიანი კი ამავე ბრძოლების აღწერისას ციხეს კორჩა-კალეს სახელწოდებით იხსენიებს. ვფიქრობთ, რომ აქ ერთიდაიმავე, სხვადასხვა დროს დაწერულ და ისევე აღდგენილ ციხეზეა ლაპარაკი, რომელიც უფრო ადრეულ წყაროებში თაბორის სახელწოდებითაა ცნობილი. თაბორის ციხე დღეს ისეა განადგურებული, რომ მიწის პირზე ციხის გაურკვეველი ფრაგმენტებია და რჩენილი ძალიან პატარა კედლის ნაწილების სახით.

თაბორის ციხის შემდეგ განჯის გზა ჩრდილოეთისაკენ უხვევდა და ნარიყალას ძირას წვეკისის წყალზე გადადებულ ხიდან მთავრდებოდა. ამ ადგილას, ახალი ხიდის მასლობლად დღესაც ჩანს ძველი ხიდის ნარჩენები. აქ თავს იყრიდა აგრეთვე კემისიდან და ტაბახმელთან მოსულ გზებიც. ეს მი-

ფრაგმენტი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შესრულებული 1735 წლის თბილისის გეგმიდან





ტოვებული გზებიც დღეს ბილიკების სახით იკითხება რელი-
ევში.

ხილის გადაღმა, იქვე პირველი შიშვარი იყო ბურჯებს
შორის მოთავსებული; 1782, 1785, 1800 წლების გეგმების
მიხედვით განჯის კარი ვახუშტი ბაგრატიონის გეგმაზე ეს კა-
რი არ არის გამოხატული. მისი განჯის კარი იქვე ახლოს სხვა
მიმართულებით მდებარეობს და 1800 წლის გეგმით მეორე
შესასვლელის ადგილი უკავია, სადაც ნახევარწრიული მოხა-
ზულობის დიდი ბურჯია გამოხატული. ვფიქრობთ, ეს ვახუშ-
ტისეული განჯის კარის ბურჯია. ბოტანიკური ბაღის შესას-
ვლელთან ამ ორივე კარის ნაწილი ბურჯები დღესაც დგანან.

მეორე კარის შემდეგ ქალაქის ქუჩა იწყებოდა (აწინდელი
ბოტანიკური აღმართი). იქვე სხვა შესასვლელით კი გზა უკვე
თვით ციხეში მიდიოდა, აღმოსავლეთის კედლის ძირას, მცირე
აღმართის სახით. ეს გზა ვახუშტის გეგმაზე ორ პარალელურ,
ზედა და ქვედა კედლებს შორისაა მოქცეული აღმოსავლეთის
მხარეზე. შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში კიდევ ერ-
თი კარის გავლით გზა ციხის პირველ ქვედა უბანში შედიოდა.
1800 წლის გეგმაზე ციხის ეს უბანი თითქმის ცარიელია, მხო-
ლოდ საჭურვლის საწყობი და სამბრძოლო იარაღის ადგილებია
აღნიშნული. ვახუშტი ბაგრატიონს ნარცყალა პერსპექტიული
ნახაზით აქვს მოცემული. მას ხედვის ისეთი წერტილი აქვს
არჩეული, რომ ციხის ეს ნაწილი სამკუთხური მოხაზულობით
ჩანს. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში კარია, ჩრდილო-და-
სავლეთის კუთხე კი ღიაა, საიდანაც გასასვლელია ქვემო ციხე-
ში. აქ მხოლოდ ერთი ნაგებობა არის გამოხატული, როგორც
ჩანს ციხის ეს უბანი, ზედა ორ ნაწილთან შედარებით, ნაკლებ
მნიშვნელობისა და ნაკლებ დაცულიც ყოფილა. ციხის ამ უბ-
ნიდან ზედა უბანში ასასვლელი გზა ჩრდილო-აღმოსავლეთის
კუთხის კოშკში ყოფილა მოთავსებული. 1800 წლის გეგმაზე
ამ კუთხის კოშკში კარია ნარჩენები და იქვე პუნქტირით მი-
წისქვეშა გასასვლელიც ექსპლიკაციაში განმარტებულია:

„Крепостные ворота с подземным ходом“. XVIII
საუკუნის დასასრულის ერთ-ერთ ჩანახატზე განსაკუთრებით
ამ კუთხეშია ყველაზე მაღალი, მონუმენტური კოშკები დახა-
ტულია. შობებულება რჩება, რომ ეს ციხეში მოავარი შესას-
ვლელია და გულისყურითაც არის დამუშავებული თავდაცვის
თვალსაზრისით. XIX საუკუნის მიწურულის ერთ-ერთ ფო-
ტოზე ეს კოშკია გადაღებული და ამ კოშკის ძირში დაბალი
შესასვლელი ჩანს. ასევეა ჩერნეცოვის XIX საუკუნის ოცდა-
ათიანი წლების ჩანახატებშიც. ეს მასალები ნებას გვაძლევს
ვიფიქროთ, რომ ციხის მოავარი კარი აქ მდებარეობდა და
შეიძლება ის მხოლოდ მიწისქვეშა გასასვლელის სახით იყო
გადაწყობილი. მისი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სახის
სრული წარმოდგენა ძნელია, რადგან ციხის ამ ნაწილის დღე-
ვანდელი მდგომარეობა მეტად რთულ სურათს წარმოადგენს.
კოშკში შესასვლელი ამოწროლია. ამ კოშკს გვირდით ჩა-
მონგრეული ნაწილიდან შეიძლება შიგ შესვლა და აღმოჩენ-
ილით ციხის მოავარი კარის პირველ სათავსოში. თუმცა შიგ
ნანგრევები და ღორღია, მაგრამ გარკვევით ჩანს ცილინდრუ-
ლი გამართი გადახურული სივრცე. ცილინდრული კამარა
ნახევარწრიული მოხაზულობის თაღს ეფუძნება, საიდანაც
ასასვლელი იწყება. მიწისქვეშა გვირაბის, თაღების დანგრეუ-
ლი და ამოშენებული ნაწილების გაქმენდისა და გასუთათავე-
ბის შემდგარ შესაძლებელი გახდება ამ კარის აღოჩენა, რომლი-
თაც გზა მეორე, უფრო მაღლა მდებარე კარისაზე ადიოდა.
იქ კი ციხის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილი იყო. სადაც
მოთავარი ადგილი ჰქონდა ეკვა- კაპიტან ჩუიკოს მოხსენიებულ
აქვს, როგორც აოხრებული ქართული ეკლესია ფარსიანოე-
ბისა, ვახუშტის იბის საყდარი მისივე გვირგვინი ჩანს, რომ
გუმბათიანია. 1800 წლის გეგმით ციხის ამ უბანში მრავალი
სწორკუთხი კონფიგურაციის შინაბაა გამოხატული. უმეტეს
მათგანი საცხოვრებელი დანიშნულების ყოფილა. აქ არი-
წყალსაცავიც.

გვემაზე პუნქტირითაა ნაჩვენები მიწისქვეშა გასასვლელები. ერთი მათგანი ჩრდილოეთის კედლიდან იწყებოდა და მტკვრის პირამდე ჩადიდა, და წაყვისის წყლის პირას მთავრდებოდა. მეტად საინტერესოა ციხის სულ ზედა, მაღალ ტერასაზე ასასვლელი კარის კომპოზიცია. 1800 წლის გვეგით მას საკმაოდ რთული მოსაზრებლობა აქვს, ისე ჩანს, რომ გასასვლელი გზა კედლებს შორისაა მოთავსებული და მის თავსა და ბოლოში კომპიკაა აღმართული. ამ შესასვლელის ადგილი დღეს კედლებისა და სხვა ნანგრევების ისეთ დახვავებას წარმოადგენს, რომ ძნელია იქ რაიმეს წარმოდგენა სპეციალური სამუშაოების ჩატარების გარეშე. ამ ნანგრევებს შორის მივაგვინთ თაღოვანი მოსაზრებლობის ოხრილს, შიგ წყალსადენის მილით. 1800 წლის გვეგმა ეს ოხრილი ერთი სახითაა მოცემული და მაღალი ციხის ზედა ნაწილიდან ქვემო ნაწილში გადმოსვლისას სწორედ ასასვლელის ერთ-ერთ კედელს კვეთს. ამ ორიენტორის საშუალებით მივებნეთ ასასვლელი გზა, რომელიც შეიძლება პანდუსის სახით იყო გადაწყვეტილი. ეს გზა პაერში ჩამოკიდებული გამოვივიდა, რელიეფის ჩანჩრების გამო. ასასვლელი ბოლოში არსებულ კოშკის ნაწილები შემორჩენილია, გარე კედლისა და კომპიკების კვალი კი არა ჩანს.

1800 წლის გვეგით მაღალ ციხეში ანუ „ნარინ-კალეში“ ორი მთავარი კოშკი ყოფილა. ერთი „კარგადის“, რომელსაც გახუმტი სტამბოლის გიოლოს უწოდებს, მეორე თავიანთის. მაღალ ციხეში ყოფილა მოთავსებული არტილერიის საჭურჭლის საწყობი, წყალსაცავი და კიდევ რაღაც უსასულ ნაგებობა. აქ შემოდიდა წყლისათვის სპეციალურად გამოყოფილი თხრილი, რომელიც შაისტახტის გარეთ, წაყვისის წყლიდან იწყებოდა. ერთი განტოლება გარეთუბანში არსებულ მეფისა და დიდებულების ბაღებისაკენ იყო მიმართული, მეორე კი ციხისაკენ. აგატორის განმარტებით: „водяной ров проведенный из речки Цавкиси для пушания воды водоохранилище в крепости находившейся“ თხრილი მოდიოდა სალააკის ქედის კეხის გასწვრივ, ქალაქის გალანის შიგნით (აწინდელი კომკავშირის ხეივანის მიმართულება), და სტამბოლის კოშკის გავლით მაღალ ციხეში, „ნარი-კალეში“ შედიოდა, ავსებდა იქ მოთავსებულ წყალსაცავს, შემდეგ ქვედა ტერასაზე მდებარე ციხის უბანში ჩადიოდა და იქაურ წყალსაცავსაც ემსახურებოდა.

როგორც ხედავთ, ნარიყალას ზედა ნაწილში მოხვედრა არც თუ ისე იოლი იყო. განჯის კარის ჩათვლით, ექვსი მეტრამდე გამაგრებული შესასვლელის გავლა იყო საჭირო მაღალ ციხეში მოსახვედრად. ასეთნაირად ნარიყალა საგულდაგულად დაცულ და გამაგრებულ ნაგებობად წარმოვიდგინებ. ამიტომ გასაგებია, რომ ძველ ისტორიულ ამბებში თბილისის მთავარი ციტიადელი — ნარიყალა მოხსენებულია, როგორც წლობით ჩაკეტილი და ძნელად ასაღები ციხე, და თუ არა ლაბატი, მტრები მის დაძლევის ვერც კი წარმოიდგენდნენ.

XVII საუკუნის სპარსელმა ისტორიკოსმა ისკანდერ მუნშმა ასეთი მოგონება დავიჭოტვა ამ ციხეზე: „ციხის კოშკები ისეთი მაღალია, რომ ცის სფეროს უთანასწორდებიან, ვეყენის ვერც ერთ ხელმწიფეს ვერ წარმოუდგენია ამ ციხის დაპყრობა, რადგან სამი მხრიდან მას ცამდის აღმართული მაღალი

მთები აკრავს და ერთ მხარეზე მდინარე მტკვარი ჩამოედის, ამიტომ ისეთი ადგილი, რომ იქ ჯარი დადგეს, არ არის. კუმ-მარიტად ასეთი მაგარი ციხის ველში ჩაგდება, რომელიც სასპარტოვლოსა და შირვანის ვილაიეთების ბურჯა, ზეციური დახმარების გარეშე შეუძლებელია“¹.

ციხის სამხრეთი მხარე ციხაბო ფერდობს წარმოადგენს. როგორც 1800 წლის გვეგმიდან ჩანს, ციხეს ამ მხრიდან მინაშენები ჰქონია ფერდობის ნაწილი, სამკუთხური მოსაზრებობით, გალანით შემოზღუდული ყოფილა და სწორეუბნი კომპიკები ჰქონდა. ეს კომპიკები დღემდე კარგადაა შემონახული და ბოტანიკური ბაღის მწვანე მასივში, სამხრეთის კედლის ნანგრევების ფონზე დიდებულ სანახაობას ქმნის. ამ სამკუთხოვანი ნაწილიდან, წაყვისის წყლის პარალელურად, მეორე გარეთა კედელი ყოფილა აშენებული, რომელიც ქალაქის სამხრეთის გალანის პარალელურად მიემართებოდა. ამ ორ კედელს შორის მოქცეულ ფართობზე კი მწვანე ნარგავები ჩანს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რადგან იქ მოხვედრა მხოლოდ ციხიდან იყო შესაძლებელი, ეს ციხის ბაღი იყო და ციხეში მყოფნი სარგებლობდნენ ამ დაცული ბაღით, საკვებით მომარაგებისათვის, გარემოცვისა და მშვიდობიანობის პერიოდშიც.

ასეთად წარმოვიდგინებ თბილისის ეს უძველესი ციხე, კარგად გააზრებული თავდაცვითი ნაგებობა, ტერასებად აშენებული მთის ბორცვზე, როგორც ქართული არტილერიის სხვა მრავალ ძეგლში, ისე აქაც შესანიშნავად იქნა გამოყენებული რელიეფის თავისებურება უტილიტარული ამოცანის გადასაწყვეტად. არტიტექტურული ნაგებობის შექმნისას სწორად გაგებული ადგილობრივი ბუნებრივი პირობები კი ორგანული არტიტექტურის შექმნის საწინდარია. ეს ციხე იმდროინდელი ქალაქის განსახიანებაში არტიტექტურულ ღონისძიანტს წარმოადგენდა. XVIII საუკუნის დასასრულის ჩანახატების

¹ შ. მესხია, დ. ვარიტიშვილი, შ. დემბაძე, ა. სურგულაძე „თბილისის ისტორია“, თბილისი, 1958 წ.

ნარიყალა აღმოსავლეთის მხრიდან. XIX სუკ. დასასრულის ფოტო





ნარჩევალ სამხრეთ-ალმოსავლეთის მხრიდან. XIX სოეკ. დასასრულის ფოტო

მიხედვით, თბილისის ამ ნაწილის სივრცობრივი არქიტექტურული კომპოზიცია შექმნილია შემდეგი კომპონენტებისაგან: დაბალსართულიანი დასახლება, საკულტო ნაგებობების გუმბათებით და სამრეკლოებით გამოყოფილი ვერტიკალები, შემდეგ შეტების პლატო, იქ განლაგებული კომპლექსით და ნარჩევალ დამაკვირვებელი მოცულობით. ასეთი თანდათანობით ამაღლებას მთელი ქალაქის არქიტექტურულ სილუეტში თვით ნარჩევალს თანდათანობით, საფეხურებიანი კომპოზიცია შეესატყვისებოდა. ამდენად ნარჩევალს იარუსებიანი არქიტექტურული კომპოზიცია მხატვრულ-დაგეგმარებითი თვალსაზრისითაც, გარემოცვის მასშტაბში საუცებით გამართლებულია.

მტკვრის ვიწრო ყელთან შექმნილი თავისებური რელიეფი მხატვრულ-სივრცობრივი კომპოზიციის კარგ საფუძველს წარმოადგენდა. ისტორიულმა ვითარებამ და სოციალურ-ეკონომიკურმა მოთხოვნებამ თავდაცვითი და სამეფო-ადმინისტრაციული ამოცანა დაუსახა სურთომოდგერებსა და მშენებლებს. ამ ფაქტორების შერეთებამ კი განაპირობა არქიტექტურული ანსამბლის ისტორიული ჩამოყალიბება. როგორც შევით ადენიშეთ, მრავალმა ომმა გაანადგურა ფეოდალური თბილისის მონუმენტური ნაგებობანი. ამიტომ ნარჩევალ-შეტების ანსამბლის ცალკეულ ნაგებობათა არქიტექტურულ სახეზე მსჯელობა ძნელია, მაგრამ ანსამბლის ღირსება მისი მთლიანი სივრცობრივი სახის, მასშტაბურობის და ქალაქის სილუეტის თვალსაზრისით უდაოა. სწორედ ეს შერწყმა რელიეფისა, ციხეებისა და სხვა ნაგებობების ქმნიდა თბილისის განუმეორებელ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სახეს.

არა ერთი მოგზაური თუ მხატვარი მიუხიბლავს ნარჩევალსა და მისი გარემოცვის ლამაზ სანახაობას. ამას მათი ჩანახატები და აღწერილობანი ადასტურებენ.

დღეს, როდესაც ქალაქის ახალი რაიონების მშენებლობას ასეთი დიდი მასშტაბი აქვს მიღებული, თბილისის ძველი უბნის რეკონსტრუქციის საკითხი აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ძველი საცხოვრებელი უბნები აღარ შეესაბამება ჩვენი ეპოქის მოთხოვნებს, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ამოცანას. ისტორიული ქალაქების რეკონსტრუქცია თანამედროვე ქალაქმშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია თავისი სპეციფიკებით, სადაც მთავარია თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამე მემკვიდრეობასთან, ტრადიციებთან. თბილისის ძველი ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია მწვავედ აყენებს ამ საკითხებს: საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ქალაქის სხვა საინციტესლო ფაქტორების ამაღლება დღევანდელი დიდი ქალაქის დონეზე და ამავე დროს, არა მარტო ცალკეული არქიტექტურული ძეგლების კონსერვაცია, არამედ თბილისის ამ ნაწილში ისტორიულად ჩამოყალიბებული იერის შენარჩუნება, მასშტაბისა და სილუეტის შენახვა. თბილისის ძველი ციტადელი და მისი მიმდებარე უბნის რეკონსტრუქცია ფაქტი მდგომარეობს მოთხოვს, ამის უფლებას კი მას მრავალსაუკუნოვანი და საინტერესო საქალაქმშენებლო ისტორია ანიჭებს.

ცნობილია, რომ როდესაც რელიეფზე გაშენებულ ქალაქებს ხატვანი პანორამა და ცვალებადი სილუეტები ახასიათებს და მათი აღქმა სპეციფიკურია, ამის მრავალსაზოვანია. თბილისის ასეთი ქალაქების რიცხვს ეკუთვნის. განსაკუთრებით ნარჩევალს უბნის სივრცობრივი არქიტექტონიკის სიმდიდრე საყურადღებოა. დღევანდელი თბილისის დიდი ტერიტორიის სხვადასხვა კუთხიდან ის მრავალნაირი სახით წარმოგვიდგება და აღიქმავს. ის შორი მისადგომებიდან და ახლო მანძილიდანაც ნარჩევალური ხედებით მოჩანს.

ქალაქის ძველი რაიონის რეკონსტრუქციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ადგილებს, საიდანაც ამ ციხის ყველაზე უფრო მდიდარი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სანახაობა იშლება თვალწინ. ასეთებია: ბარათაშვილის აღმართი, და მისი შობიდაპირე მტკვრის სანაპირო. მეტეხის პლატო, გორგასალის ქუჩა, ლესელიძის ქუჩა, ბოლნისის ქუჩა, ბოტანიკური ბაღი და სხვ. საყურადღებოა ისიც, რომ თვით ნარჩევალ შესანიშნავ ადგილს წარმოადგენს გარემოცვის არქიტექტურული პანორამის აღმსისათვის ამიტომაც, ყველა ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნარჩევალ-მეტეხის ანსამბლის ვერტიკალური კომპოზიცია თავისთავად საქალაქმშენებლო ხელოვნების ძეგლს წარმოადგენს და ისეთივე გასაფრთხილებელი და მოსავლელია, როგორც ქართული არქიტექტურის ზოგიერთი სხვა ძეგლი.

ძველებულ შაშხანებს და საომრად აღჭურვილი მწკრივად ეწყობოდნენ მტკვრის სანაპიროზე.

ჯარისკაცთა მეორე ჯგუფი კი ნაირფერ ჩოხებს ირგებდა, წოწოლა ფაფახებს იხურავდა, მთიელების იარაღს ისხამდა, გადადიოდა მტკვარზე გადებულ საცალფეხო ხიდზე და მსატყვარ ფრანც რუბის ცნობილი ნახატის მიხედვით ფერდობზე გაშენებულ აულ ახუგოს დამცველებში ერთოდა.

სამეგრელოს პოლკის ახალგაზრდა პორუჩიკი გიორგი სიამაშვილი ცხენდაცხენ დაჰქროდა ოცეულებს შორის, უსწინდა ფელდფებლებსა და უნტეროფიცირებს შეტევის გეგმას... ბოლოს ორივე ბანაკი საომრად მოეწყო... გამორჩა თეთრ ცხენზე ამხედრებული გენერალი გრამე ადიუტანტების თანხლებით, — ყველაფერი მზადაა ბრძოლის დასაწყებად — მიიღო მოკლე პატაკი, გაისმა განგაშის ნიშანი და დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა შამილის უკანასკნელი ციხე-სიმაგრის — ახუგოს ასაღებად.

ბრძოლის ყიფინა, თოფებისა და დამბაჩების გრილი მოეფინა მცხეთის მიდამოებს. მუხუე ლაპლაპებდნენ ხმლები, ხანჯლები, ხიმტები... დახოცილები ეცემოდნენ, დაჭრილები ტყიულისაგან იტანჯებოდნენ — წინ მიიწვავდა რუსეთის არმიის სამხედრო შენაერთი, თანდათან უკან იხევდნენ მთიელები.

სულ უფრო ხშირად სკდებოდა უყმაბრეო აულის შუაგულში... გაისმა მძლავრი „ურა“ — რუსეთის არმიის სამხედრო შენაერთმა ახალი ძალით შეუტია აულის დამცველებს.

მთის წვერზე გამორჩა ცხენზე ამხედრებული იმამი შამილი, აქედან ადევნებდა თვალყურს ბრძოლის მსვლელობას. როდესაც აულის დამცველებს გაუჭირდათ რუსეთის არმიის სამხედრო შენაერთის შეტევის მოგერიება, იმამმა ერთ-ერთ მთიელ მებრძოლს თოფი გამოსტაკა და ტყვია დაუშინა გააურებს. ცეცხლი გაუჩნდა ხილს, მაგრამ რუსი ჯარისკაცები არ შეუშინდნენ და მამაცურად გადარბოდნენ აღმოდებულ ხიდზე.

ერთბაშად გაისმა სასტვენის გამყიფანი ხმა და ბრძოლა შეწყდა. „ყველამ დასტოვოს ბრძოლის ველი“ — იყო მეთაურების განკარულება. სწრაფად გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს ორივე ბანაკის მებრძოლები. მათ მიყვნიენ „დაჭრილები“ და „დახოცილები“. აული უცებ დაცარიელდა და გაისმა კიდევ მძლავრი აფეთქების ხმა — ცეცხლის ენებთან ერთად ცაში ავარდა მიწა და ღორღი, ბოლოს ბოლქვებში გაეხვია მთა. პირველ აფეთქებას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე — აული ნახევრებდა იქცა, მხოლოდ რაღაც სასწაულით გადაარჩენილი მინარეთი კიაფობდა თეთრად.

ბრძოლა დამთავრდა... ბრძოლის ყიფინის შემდეგ ურევულ სიჩუქე ჩამოვარდა... ერთმანეთში აირიფნ რუსი ჯარისკაცები და მთიელი მებრძოლები, ლაყობდნენ, ხუმრობდნენ... შემდეგ უკანვე ჩააბარეს ძველებური ტანსაცმელი, იარაღი, იქვე გაკეპე მოეწყვიენ და სიმღერით დაბრუნდნენ ბანაკში...

ჩვეუს მიერ აღწერილი სცენა წარმოადგენდა შამილის უკანასკნელი თავშესაფარის, აულ ახუგოს ადგილსათვის ჩატარებულ ბრძოლის ინსცენირებას, რევოლუციამდელი კინოს ცნობილ ოპერატორს ნიკოლოზ კოზლოვსკის და მის თანამემუწეებს სამ სხვადასხვა ადგილზე დადგმული კინოგადამღები აპარატით ფირზე უნდა აღებჭმად ბრძოლის მსვლელობა. რომელიც წარმოადგენდა კინოსურათ „გუნების ადების“ ცენ-

რევოლუციამდელი კინოს ისტორიის ერთი ფურცელი

ნიკო ნიკოლაძე



გვისტოს ერთ მცხუნვარე დღეს, 1913 წელს მცხეთის მოსასწიობა ურევულ სანახაობის მოწვევა გახდა.

რეინიგზის საღვურის უკან, მტკვრის სანაპიროზე დილაადრიან შეგროვდა ხალხი. უზარმაზარ ყუთებთან მიდიოდნენ ოცეულებად დაწყობილი ჯარისკაცები. არჩევდნენ ძველებური ჟადის სამხედრო ტანსაცმელს, იქვე იცვამდნენ, „საპარიკამზეროში“ კი ორი ხელოსანი-გრიშიორი მათ ბაკენბარდებს აკრავდა, შემდეგ ზურგზე მოიდებდნენ ძველებურ ზურგჩანთებს, რევიზიტიორისაგან იბარებდნენ ტულაში დამზადებულ

ტრალურ ეპიზოდს. ეს იყო ერთ-ერთი პირველი დიდი კინო-გადაღება, რომელიც ჩატარდა საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ფილმში, რომელსაც შემდეგ დიდი წარმატებით უჩვენებდნენ ვერანზე რუსეთის მაშინდელი იმპერიაში — უმთავრესად ქართველი მსახიობებით მონაწილეობდნენ.

ფაღვანიან გუნია ორ როლს ასრულებდა: ერეკლე II-ისა და შამილის როლს. ეს მისი პირველი გამოსვლა იყო კინოში და სიცილიამდე აღარ ჩამოლოცებია მას. მასთან ერთად ფილმში მონაწილეობდა მსახიობი ალექსანდრე იმედაშვილი, რომელსაც შემდგომ მრავალი შესანიშნავი კინოსაზე შექმნა ახალ წვერულავაშვილებული შაქრო ბერიშვილი რეჟისორის ასისტენტად მუშაობდა და სწორედ მასინ უცაიარა პირველად კინოგადაღების ხელოვნებას, პირველად მასინ ნახა როგორ კეთდება კინოს გიმები და პარკი ახლა ცნობილმა მხატვარმა-გრიშობამ გრიგოლ მხეიძემ...

საგულმისშია ისიც, რომ ფილმის უმეტესი ნაწილი საქართველოშია გადაღებული. კერძოდ, საქართველოს რუსეთთან შეერთების სცენა გაუთამამებელი ქაშის ხეობაში, ახალგორში, თავად ნიკო ერისთავის მამულში.

კინოსურათში „გუნების აღება“ ნაჩვენებია იყო დიდი რუსი პოეტის ლერმონტოვის მონაწილეობა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებაში, განმეორებული იქნა ნიევეროდის პოლკის ოფიცრის, პოდპოლკოვნიკ ზაქარია ჭავჭავაძის გმირობა მდინარე სულაზე ბრძოლის დროს, როდესაც იგი ცხენით გადაახტა მთის აჭაფებულ მდინარეს და მამაცურად შეუტია შამილის რაზმს... ამჯერად ზაქარია ჭავჭავაძის გმირობა მისმა შვილმა, როტმისტრმა დაგით ჭავჭავაძემ გაიმეორა.

ფილმში ნაჩვენებია იყო აგრეთვე სცენები ქართველი ხალხის ცხოვრებიდან, კერძოდ გადაღდა ხალხური დღესასწაული „სამება“. რა თანაშემდე კაცს შეუყვია თავი სამების მთის ძირში, გამართულა სახალხო თამაშობანი და ჯიროთობა ძველთა ძველი წესის მიხედვით.

მკითხველი წარმოიდგენს თუ რა კოლოსალური ენერჯია იქნებოდა საჭირო მაშინდელი გადაღების ტექნიკის პირობებში ასეთი რთული ბატალური და მასობრივი სცენების გადასაღებად.

1913 წელს, როდესაც მეფის რუსეთი რომანოვების დინასტიის 300 წლისთავს აღნიშნავდა, დრანკოვ-ტალიძინის კინოსაქციო საზოგადოებამ გადაწყვიტა გამომავრებოდა ამ აღნიშნობას და შეექმნა ფილმი კავკასიის ომების შესახებ. პირველყოფილისა შეუდგნენ კინოსურათის საფუძვლის — სცენარის ძებნას. მათი ყურადღება მიიქცია ამხმედრო ისტორიკოსმა და კავკასიის ომების დაუღალავმა მკვლევარმა სიმონ ესაძემ, რომელსაც მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა დიდ რუს მწერალს ლევ ტოლსტოიმ „ჰაჯი მურატზე“ მუშაობისას — გაუჭაზვნა საჭირო, ძნელად ხელმისაწვდომი ისტორიული ხმა მიურიდიზის, კაზი-მოლას, პამუბატ-ბეგის და შამილის შესახებ არსებული დოკუმენტურისა.

„Не знаю, как благодарить, Эсадзе, приславшего мне столько выписок, сделанных своей рукой. Я никак не ожидал, что он положит столько труда на это, и мне теперь очень совестно перед ним. Не

прислать ли ему мои сочинения с надписями...“ სწერდა ლევ ტოლსტოი თავის მეგობარს ილია ნაკაშიძეს და მართლაც სიმონ ესაძემ მალე მიიღო დიდი მწერლის მადლობის ნიშნად ნაწარმოებების კრებული ავტორის გულთბილი წარწერით.

1912 წელს გამოვიდა ს. ესაძის ნაშრომი „გუნების აღება და შამილის დატყვევება“, რომელსაც გამოსცემდა კინოწარწელებმა დახარკვება და ტალიძინმა დაიანხეს მომავალი ფილმისათვის საჭირო და საკმარის მასალა, საშუალოდ მიიწვიეს კინოსათვის მანამდე უცნობი ადამიანი და უყოყმანოდ მიანდეს მას სცენარის შექმნა.

სიმონ ესაძე მისთვის ჩვეული გულმოდგინებით მოჰკიდებია ახალი, უჩვეული სამუშაოს შესრულებას და როგორც მოსალმდნელი იყო, სცენარის საფუძვლად თავისი ეს ნაშრომი გამოუყენებია. ცენარია დაუწყია საქართველოს რუსეთთან შეერთების სცენა და დუმიტაყრებია გუნების აღებით და შამილის დატყვევებით.

ახლა უკვე ვუჭეს არ იწვევს ის გარემოება, რომ ესაძე არის პირველი ქართველი კინოსცენარისტი.

სცენარის ავტორობის გარდა სიმონ ესაძეს მხურავლე მონაწილეობა მიუღია ფილმის შექმნაში. როგორც კავკასიის ხალხთა ცხოვრების ზედმიწევნით მცოდნეს ფილმის რედაქტორობაც უტვირთია. გაზეთ „Новое время“-ს ერთ-ერთ კორესპონდენციამ აღნიშნულია, რომ „Руководит и надлежит за исторической точностью редактор военно-исторического отдела штаба военного Кавказского округа подполковник Семен Эсадзе — известный военный историк, кавказовед, сотрудник графа Льва Николаевича Толстого, предоставлявший в распоряжение великого писателя архивные материалы „Хаджи-Мурат“. Артистам делались указания режиссером Черни, помощником Макса Рейнгарда“.

ახლა ორიოდ სიტყვა ფილმის რეჟისორის ლიუდვიგ ჩერნის შესახებ.

დრანკოვსა და ტალიძინს თავდაპირველად ფილმის გადაღება რეკლუვიამდელი კინემატოგრაფიის ერთ-ერთი გამოჩენილი რეჟისორისათვის ივანოვ-გაიასათვის მიუხდვიათ, მაგრამ შემდეგ თავიანთი გადაწყვეტილებით შეუცვლიათ და ფილმის რეჟისორად მოუწვევიათ მიონჰენის თეატრის რეჟისორი, ცნობილი მაქს რეინგარდტის მოწაფე ლიუდვიგ ჩერნი, რომელიც სუსტად იცნობდა კავკასიის ხალხთა ცხოვრებას, თან ვერმანულად ვერც ერთ ენაზე ვერ ლაპარაკობდა. მცხეთის რეჟისორის შაქრო ბერიშვილის არქივში მომხანხულია ლიუდვიგ ჩერნის პორტრეტი, რომელიც მას მიუძღვნია თავისი მაშინდელი თანაშემწისთვის შაქრო ბერიშვილისათვის, წარწერა კი ვერმანულ ენაზე გაუკეთებია. გაზეთ „იაკვანთი“-ს ერთ-ერთ კორესპონდენციამ ვკითხულობთ: „რეჟისორი ჩერნი ხან ვერმანულად, ხან მთარგმნელის დახმარებით, ხან დამტკრულ რუსულ ენაზე იმღევა განკარგულებებს“.

საგულმისშია კიდევ ერთი ფაქტი: რეჟისორ ლიუდვიგ ჩერნის იმავე ხანებში ოპერატორ ნ. კოსლოვსკის და მხატვარ

ფრანგ რუმის დახმარებით გადაუღია მსატრული ფილმი ლერმონტოვის პოემის „აულ ბასტუნჯის“ მიხედვით — „აკბულატის შელასული ღირსება“. ფილმი ეკრანებზე გამოვიდა 1913 წლის 28 ნოემბერს, მაგრამ იმდენად სუსტი გამოდგა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ იგი ხელახლა დაამონტაჟა რეჟისორმა პეტროვმა და მიხეილ ლერმონტოვის დაბადების 100 წლისათვის იუბილეს დღეებში ხელმოკრედ გამოუშვეს ეკრანზე „აულ ბასტუნჯის“ სახელწოდებით.

ასეთ პირობებში სიმონ ესაძე, როგორც რუსეთისა და კავკასიის ისტორიის მკვლევარი და დიდი შემოქმედებითი ენერჯის ადამიანი თანდათან ჩაება ვადამდები ჯგუფის მუშაობაში და გაცილებით დიდი სამუშაო შეასრულა, ვიდრე ვებზეა სცენარის ავტორსა და ფილმის რედაქტორს.

იმ დროს რუსეთის იმპერიაში კინომრეწველთა ორ სააქციო საზოგადოებას შორის — დრანკოვ-ტალდიკინისა, ერთის მხრივ, და ხანჟოკოვისა, მეორეს მხრივ, — გაჩაღებული იყო დიდი კონკურენცია. როდესაც ამთვან პირველმა დააპირა გამოხმაურებოდა რომანოვების დინასტიის 300 წლისთავს და გადაწყვიტა შეექმნა ახალი კინოსურათი კავკასიის ომების შესახებ — ხანჟოკოვის სააქციო საზოგადოება შეეცადა გადაეღო ანალოგიური ფილმი. სცენარის დაწერა ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს მამონტოვს მიენდო. შამილის როლის შემსრულებლად მიიწვიეს ცნობილი სომეხი მსახიობი

შახტუნი და ფილმის გადაღებას შეუდგნენ ალავერდის მიდამოებში.

ორივე ფილმი რუსეთის მაშინდელი იმპერიის ეკრანებზე ითიქმის ერთდროულად გამოვიდა — 1913 წლის 8-9 ოქტომბერს და, როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, „დრანკოვის ფილმს თამამად შეჯიჟილია მიჯულოთით ბრწყინვალე გამარჯვება“, ეს კინოსურათი ერთ-ერთი საუკეთესოა რუსეთში (გაზ. „საკავკაზიე“).

ლიხაჩოვი კი თავის „რუსეთის კინოს ისტორიაში“ აღნიშნავს: „ეკრანზე ერთდროულად გამოჩნდა ორი აბსოლუტურად ერთგვარი ფილმი და უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად დრანკოვმა შესძლო შეექმნა ჭეშმარიტად საყურადღებო კინოსურათი“.

დრანკოვისეული „გუნების აღების“ ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა თანამემამულემ, ერთ-ერთმა პირველმა ქართველმა კინემატოგრაფისტმა, სცენარისტმა და რედაქტორმა სიმონ ესაძემ.

მას შემდეგ იგი არც სამეცნიერო მუშაობას ჩამოსცილებია და არც კინოსტუდიებისათვის დაუნებებია თავი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი საქართველოს სამხედრო-ისტორიული არქივის გამგედ მუშაობდა და სამხედრო კონსულტანტად ემსახურებოდა თბილისის კინოსტუდიას.

ვ. შჩეგლოვი

წინარი ლამე



(განსაკუთრებით გამოირჩევიან ე. წ. ახალციხური სარტყელუბი, რომლებიც უმთავრესად ფილიგრანული ხელობით იყო შესრულებული). ამ მოსაზრებით ჩვენში გავრცელებულ ლითონის სარტყელებს შეიძლება „თბილისური“ ვუწოდოთ.

ვერცხლის სარტყელების ხმარებამ XIX საუკუნის ბოლოსთვის მასობრივი ხასიათი მიიღო. ხანშიშესულ მოქალაქეებს ასეთი სარტყელი ჩვენი საუკუნის 20-30 იან წლებამდეც კი შემორჩათ. ბოლოს ეს სარტყელები თანდათან გავიდა ხმარებიდან, მაგრამ ისინი ღირსნი არიან სავანებო შესწავლისა, ვინაიდან წარმოადგენენ ქართული ჭედური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს.

ტერმინი „სარტყელი“ ქართულ ენაში ძველი დროიდან არის დამკვიდრებული. საფიქრებელია, რომ მას ქართველები ხმარობდნენ მანამდე, ვიდრე შემოვიდა სიტყვა „ცისარტყელი“. რაც შეეხება სიტყვა „სარტყელს“ ლიტერატურული ფიქსაციის სიძველეს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი გვხვდება როგორც ძველ ქართულ, ისე კლასიკური ხანის ძეგლებში „ამირანდარეჯანისა“ და „ვეფხისტყაოსანში“.

ვახუშტი ბაგრატიონი ქართული ტანსაცმლის აღწერისას ხმარობს მხოლოდ და მხოლოდ „სარტყელს“ როგორც ქალის, ისე მამაკაცის შესამოსელის შემადგენელ ნაწილს, ოღონდ იგი ქსოვილისგანაა შეკერილი.

1712 წლის ხელნაწერში, ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში, „სარტყელთან“ ერთად იხმარება, როგორც ტოლფასიანი სინონიმი, „ქამარიც“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი № 2111).

XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში ჩაწერილ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში ვხვდებით „სარტყელსაც“ და „ქამარსაც“, ხოლო იმ ნიმუშებში, რომლებიც სიუჟეტის გამო არტყულად ითვლება, ყველგან მხოლოდ სარტყელი იხსენიება.

XIX საუკუნეში და დღესაც აღმოსავლეთ საქართველოში „ქამარი“ უკვე ისეა გავრცელებული, რომ „სარტყელი“ იხმარება თითქმის მხოლოდ ნაწარმებ სიტყვაში „სარტყელ-გულისპირი“, რომელიც აღნიშნავს ქართველი ქალის ტანსაცმლის აუცილებელ ნაწილს, ქსოვილისგან გაკეთებულს, ვერცხლის სარტყელს კი, რომლებსაც XIX საუკუნეში მამაკაცები ატარებდნენ და ნაწილობრივ ქალებიც, „ქამარს“ უწოდებდნენ.

ტერმინი „ქამარი“ ითვლება საშუალო სპარსულიდან ანუ ფალაქიდან მომდინარე. იგი ქართულში სპარსულიდან უნდა შემოსულიყო XV-XVI საუკუნეებში სპარსული იარაღის, ქამართან მუდამ მჭიდროდ დაკავშირებული ხანჯლის შემოსვლასთან დაკავშირებით. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით „ხანჯალი“ მე-15 საუკუნემდე სრულიად უცხო სიტყვაა ქართული-სათვის, იგი სპარსულიდანაა შემოიხიზნული. ძველად ამას მახვილი ეწოდებოდა“. (ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, ნაკვეთი 3-4, 1962 წ., 262 გვ.) საფიქრებელია, რომ ამ იარაღის გავრცელებასთან ერთად შემოიხიზნა ტერმინი „ქამარიც“, როგორც ლითონის სარტყელის აღნიშვნელი და მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ადრინდევ ატარებდნენ ლითონის სარტყელებს ხანჯლთან ერთად, სპარსული „ქამარი“ დამ-

თბილისური ვერცხლის სარტყელაბის ჭედური ხელოვნება

მარიამ ხუციშვილი



აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნეში, განსაკუთრებით 60-70-იანი წლებიდან დიდად იყო გავრცელებული სხვადასხვა სახის ვერცხლის სარტყელები, რომელთა შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ტანსაცმლის ისტორიის, ისე ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისითაც, რადგან ამ სარტყელებზე აღბეჭდილია ქართული და კავკასიის ხალხთა ოქრომჭედლობისა და სურთომომჭედების ტრადიციული ელემენტები.

ლითონის სარტყელს უმთავრესად აკეთებდნენ თბილისელი ოსტატები, მათი წაბაძეთი კი პროვინციული ოსტატებიც.

კვირებულა და ახლად შემუშავებულმა კომპოზიციამ „ქამარ-ხანჯალმა“ დიდი გავრცელება ჰპოვა აღმოსავლეთ საქართველოში. ხოლო რადგან ხანჯალი საბრძოლო იარაღი იყო, მასთან ერთად შემოსული ტერმინი „ქამარი“ მამაკაცის კოსტუმში მიისაკუთრა და ქალის კაბის სარტყელს ისევ ძველი ქართული სახელი შერჩა.

„შეთთხმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენში ხმარობდნენ სახინაი ქსოვილებიდან დამზადებულ სარტყელს“¹. მეცხრამეტე საუკუნეში გრძელდება წარსლის ტრადიციები და მამაკაცები ატარებენ როგორც ქსოვილის, ისე ვერცხლის სარტყელებს („ვერცხლის ქამარი“) და ვერცხლის ვარდულეებით და საკიდებით შემკულ ტყავის სარტყელს. ამ უკანასკნელის ხმარება გავრცელებული იყო ძირითადად დასავლეთ საქართველოში და ამიტომ მას შეიძლება „დასავლური“ ეწოდოს, რის უფლებასაც იძლევა თვით ჩასაცემელი, რომელზედაც ამ ტიპის სახატეული იხმარებოდა².

ტყავის ვარდულეებიანი და საკიდებიანი სარტყელი ნაწილობრივ იხმარებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ბარსა და მთიანეთშიც, მცვაეს სარტყელს ხმარობდნენ ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი ტომებიც.


ლითონის ვარდულეებითა და საკიდებით შემკულ ტყავის სარტყელის შორეულ პროტოტიპებს ვხედავთ, როგორც პროფ. შალვა ამირანაშვილი აღნიშნავს, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე. „მცხეთის ჯვრის ტაძრის რელიეფზე გვხვდება ტყავის სარტყელი შემკული ნაჭედებით (6-7 საუკ.) აშოტ კუხს კაბა შერკული აქვს ტყავის სარტყელით, რომელსაც ამზინდი აქვს და ნაჭედი სამკაულები“³.

მცხეთის ჯვრის ამ რელიეფზე გამოსახულ სტიფანოზ ერისთავის სარტყელს ვხედავთ აქვე. იგი ჯავახიშვილი დამოუკიდებელ ნაშრომში წერს: „მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ამ ქანდაკებაზე სარტყელია, რომელსაც თოხი ენა აქვს ძირისკენ ჩამოშვებული, ისე როგორც ჩვეულებრივ წმ. გიორგის სატყვენ ხოლმე“. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ამგვარი ენები, მომცრო ფორმის, გამოყენებულია დამხმარე შესაკრავად XIX საუკუნის ვერცხლის სარტყელზე, ხოლო სამკაულად ტყავის სარტყელზე.

გარდა რელიეფური გამოსახულებისა, საკიდებიან სარტყელს ვხედავთ ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებზეც, მაგ. ხირსონისის ხატსა და წვირის ხატზე⁴.

ლითონის სარტყელებს ჩვენში აკეთებდნენ უმთავრესად თბილისელი ოქრომჭედლები, მაგრამ საქართველოს პროვინციის მოსახლეობასაც ყავდა თავისი ოსტატები, რომელთაც ქართულ მცირე ხელოვნების შემოღუნებს ლითონის მხატვრულად დამუშავების უძველესი წესები და აგრეთვე სათანადო ტერმინოლოგია.

ვერცხლის სარტყელებს უმთავრესად შეკვეთით აკეთებდნენ, დამკვეთი თავის გამოყენებისამებრ ირგვდა სასურველ სახეს. სარტყელის ზომა წელზე ზუსტად უნდა აეღოთ-როგორც



სამგულბათიანი სარტყელი დაბალი ვარდულეებით

იტყოდნენ, „მშვიერ კუჭზე“. როდესაც საქმე სარტყელის შეკვეთას ან ყიდვას ეხებოდა, ყოველთვის ისმოდა საკითხი თუ რამდენი „თავისაგან“ ან „ნაჭრისაგან“ უნდა ყოფილიყო იგი შემდგარი. სამგერელოში მაქსიმალურად შეკვეთ სარტყელად ითვლებოდა „13 თავისაგან“ შემკული ტყავის სარტყელი.


ოქრომჭედლის სახელისნის არც თუ ისე დიდი ფართობი სჭირდებოდა, შიგ გამართული იყო ქუჩა და საბურველი. ოსტატები მხარობდნენ სხვადასხვა ხელსაწყო — იარაღს, მათ შორის უმთავრესი იყო ლითონის გადასადნობი თხის ჭურჭელი „ბუთა“. იგი ძველი ოსტატების გადმოცემით, შემოქმედდათ ქ. სამბოლიდან. ბუთა მალე ტემპერატურაზე არ სკდებოდა და უძლებდა ვერცხლის ოცვრს გადადნობას. ბუთა მარწუხით ეჭირა შევირდს ცეცხლზე, ვიდრე გამდნარ ლითონს ბუთიდან გადმოსასმადნენ ყალიბებში მოთავსებულ ცომისებურ მასაზე (ზეთში მოხუცილი სილაზე ან აგურის ფეკილეზე). ამ უკანასკნელზე გამოყვანილი იყო გასაკეთებელი საგნის „დედა“, ხევესურულად „ალი“ და მასზე ასხამდნენ ბუთის ყვილიდან გამდნარ ლითონს, შემდეგ გახსნიდნენ ყალიბს „დარიჯას“ და ამოიღებდნენ გაციებულ ნაწილს, რომელსაც გასუფთავებდნენ და მოსახატავად თუ მოსაწვეურთმებლად გააშუადმდნენ. ლითონის დამუშავების ეს პროცესი ხევესურეთში აღწერილი აქვთ. გ. ბარდუღულიძესა და გ. ჩიტაიას ნაშრომში „ქართული ხალხური ორნამენტი, ხევესურული“, 1939 წ. მათი მასალების მიხედვით ირგვევა, რომ ხევესურები სახელოსნო მოწყობილობას და იარაღების აღსანიშნავად ხმარობდნენ არა უცხო, არამედ ქართულ ტერმინებს — „სადნობი კოპოზა“, „საყალიბი ხისა“ და სხვა. ზემოთ აღწერილი წესით ხდებოდა ვერცხლის სარტყელის ბალთების, გუმბათების და სხვა ნაწილების ჩამოსხმა, სარტყელის ბალთების მოსარავად იყენებდნენ მოსუვადებას, მორფორეგებას, მოიჭროვებას და სხვა. ზოგი ბალთა კი ცივი კვრების ტექნიკით არის შესრულებული.

სვედის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: ვერცხლი, სპილენძი, გოგირდი და ტყავი. ამ მასალას გარკვეული პროპორციით ადნობენ ერთად, აცივებენ და გაციებულ მასიდან აკეთებენ ფხვნილს. ამ უკანასკნელს ურევენ ტბილ წყალში ან ზეთში და მით ფარავენ მიელ სახეს, რომელიც წინასწარ



სამგულბათიანი სარტყელი

¹ შ. ამირანაშვილი, „ქართული ხელოვნების ისტორია“, 1961 წ., 370.
² Народы мира. Народы Кавказа, т. II, стр. 304.
³ შ. ამირანაშვილი, იქვე.
⁴ გ. ჯუბინაშვილი — „ქართული ოქრომჭედლობა“, თბ., 1959, ტბ. 34, 35 და 169.



ერთგუმბათიანი სარტყელი ნახევარბურთისებური ბალითი.

ყალიბით არის მოხაზული. ყალიბით ხან ოდნავ ხაზავენ საზღვრებს, ხან კი დრმად. ზოგი ბალთა ისეა მოსყვადებული, რომ ყალიბის მიწაზე არ ეტყობა და სვედაა ჰაეროვანი, ნაზი და ნატიფია.

მოსყვადების ტექნიკა საქართველოში აგრეთვე შორეული დროიდან არის ცნობილი. სიანურ ოქრომჭედლობას შინაარსუნებულ აქვს სვეადის დამზადების უძველესი რეცეპტები, სევალით შემეკულია არქეოლოგიური ნივთები: ვერცხლის თასი ამომჩენილი ცხინვალში (ახ. წ. ა. III საუკუნე), კავშითში (რაჭა) ამავე პერიოდისა, აგრეთვე უდის განძი (ადიგენის რაიონი), რომელიც თარიღდება ძვ. წ. ა. XI-X საუკ.

სვეადის გარდა ბალთებს ამკობდნენ ცერებით, რაც გრეხილურის იმიტაცისა წარმოადგენს, მაგრამ, რადგანაც იმიტაცია ხშირად დამნიღვად გრეხილურს გაეს, ამიტომ შევსებით გრეხილურის ტექნიკასაც გრეხილისთვის ვერცხლის მავთულს ან სინს ატარებენ „აღიდაში“, რომელსაც სხვადასხვა ზომის ნასვრებები აქვს. სინს ჯერ მსხვილ ნაჩრებებში გაატარებდნენ და „ქალფათინით“ (ვაზის მავარი იარაღი) გასწვედნენ, შემდეგ მას თანდათანობით აწვრილებდნენ მომცრო ნაჩრებებში გატარებით. მავთულს თანაც ცხიმს წასცხებდნენ, რაც აღვილებდა აღიდას ნაჩრებებში მის გატარებას და ხელს უწყობდა დამუშავებას.

გრეხილისთვის წინასწარ კეთდება სახის ესკიზი, ჯერ აყილებენ გეგარსას (გეგარსა შედარებით მსხვილი მავთულია, ნახევარი მილიმეტრის სისქისა, რომლის ერთ მხარეზე გააოჭედლილია პატარა ბურთულები), შემდეგ გრეხილს ჩაირთი. შუაში დარჩენილ ველს ახსებენ დაგრეხილ ძაფებით. იმავე სუფთა ვერცხლისაგან კეთდება საუანტივით წმინდა კაკლები. ამ კაკლებს ხმარობდნენ ბრტყელი გრეხილის ჩსვლტელების ამოსავებად. ამას ყველაფერს ამაგრებენ მოსართავ საგანზე ე. წ. ვერცხლის კავშირით, რომელიც შედგება ვერცხლისა და თითბისაგან⁷.

ბალთების შესამკობად ხშირად გამოიყენებოდა აგრეთვე „მორფორების“ ანუ „დაჭიკიკიების“ ხერხი, რომლისთვი-

საც ოსტატები ხმარობდნენ ხელსაწყო „მორფორს“. მორფორება ეხებოდა როგორც ბალთების გულს, ისე გვერდებს, განსაკუთრებით კი იყენებდნენ მოსყვადებული ბალთების გვერდების შესამკობად.

როგორც აღვნიშნეთ XIX საუკუნის ვერცხლის სარტყელეები დასასრულთა და შეიცავს დედალ-მამალ და რიგით ბალთებს. ყოველი სახსარი ანუ რიგითი ბალთა სხვადასხვა სიდიდისაა და ერთმანეთს უკავშირდებიან სიმაღლეზე ან სიგანეზე მოზრდილ ბალთებს (5-7 სმ სიმაღლისას) ზურგზე თეთრი ლითონის ან ვერცხლის ფირფიტები აქვთ მიმაგრებული, რომელშიც ტყავი იყრება ბალთების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. ამ ბალთების ზურგის ფირფიტებს თავისთავად თითო ან ორ-ორი ვიწრო ხიდი აქვთ მიმაგრებული სხვა ტყავის გავატარებულად, რომელიც უფრო მტკიცედ აკავშირებს ბალთებს ერთმანეთთან. ეს ტყავი უმარავლეს შემთხვევაში წითლადაა შეღებილი.

ვიწრო ბალთები (1,5 ან 2 სმ. სიმაღლისა) პირდაპირ ტყავზე არიან ასხმული, ზოგი კი ძლიერ მჭიდროდ არის ტყავზე დამაგრებული.

რიგითი ბალთების რაოდენობა სარტყელების დიდ უმრავლესობაზე კრეტია, გვხვდება სარტყელები: 15, 17, 19 და ა. შ. 113, 117 ბალთისაგან შემდგარი.

XIX საუკუნის ვერცხლის სარტყელების უდიდესი ნაწილი ძირითადად მცენარეულ-ყვავილოვანი ჩუქურთმით არის შემკული. მცენარეულ ჩუქურთმას (ორ სქემატურ შტის) წარმოადგენს აგრეთვე კუწურთმის არხი, რომლითაც შემეკულია სარტყელების უმრავლესობა. იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება ნაყოფის-მტევნის გამოსახულება ვაზის ფოთლოვანი ერთად. ამ სარტყელეებზე მცირე ადგილი უკავია ადამიანის, ფრინველისა და ცხოველის გამოსახულებას, რომლებიც საჩენ ადგილას იშვიათად არიან მოთავსებული.

ადამიანის გამოსახულება გვხვდება ერთგუმბათიანი სარტყელის დედალ ბალთაზე ან დამზარე შესაკრავის ენაზე. ადამიანის პროფილი იშვიათ შემთხვევაში მოთავსებულია რიგითი ბალთების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ვარდულის ნაცვლად.

ცხოველოვან სარტყელზე გამოსახულია გარეული კატის თუ ვეფხვის მავარი ცხოველები ადამიანის სახეებით. სამგუმბათიანი სარტყელის დროზე კი გამოსახულია პირში ისარგარტობილი ყველუშაძი. მხოლოდ ერთსა სარტყელზე შეგვხვდა მცენარეულ-ყვავილოვან ჩუქურთმასთან დაკავშირებული თაყის, ცხოველის (ცხენის) და ფრინველის გამოსახულება, სადაც ცხენი და ფრინველი მოძრაობაში არიან მოცემული. ერთი შეხედვით დაგრეხილი ჩიტის ფრთების ან მგანარის სტილიზებულ ორ შტოდ შეიძლება ჩაითვალოს რიგითი ბალთების სახეობა ე. წ. ხეხულულ ყაწვისა და სარტყელზე, რომელიც უმთავრესად XIX საუკუნის პირველი ნახევრის სარტყელებზე იხმარებოდა და სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება მეორე ნახევრის სარტყელებზეც. ამ ორნამენტის ერთ-ერთ სახეობას ხეხულულში „რქებიან ყაწვის“ უწოდებენ (გ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია-დამოწმებული ნაშრომი, ტაბულა 32.) ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილსაც ეს ორნამენტი მიაჩნია ცხოველთა თარეელის სქემატურ გამოსახულებად („ქარ-

⁷ მის. ჩართოლანი. „სიანური სველი და მისი ადგილი ქართულ ოქრომჭედობაში“, საქართველოს სახ. მუზეუმის მომხმე, 18-19, 1962, გვ. 152.
⁸ საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოყენის გზამკვლევი. 1958, გვ. 26.
⁹ ირ. უნხაე-ქართული ხალხური სახითი ხელთნება (მეო. წერილი) 196¹ გვ. 21.

თულ-კავკასიური გრებილი რკინის ხელაღი⁸; დაუბეჭდავი ნაშრომი⁹. ამ ელემენტით აღნიშნული ორნამენტა ქართულ-თა უძველესი კულტივის გამოსახულების უკავშირდება.

ყვავილის გვირგვინის იმიტაციას წარმოადგენს XIX საუკუნის იერცხლის სარტყლების დიდალ-მამალი ბალთები¹⁰, რომლებიც შეიძლება დაიყოს სამ ძირითად სახედ: 1. ფურცულაქებიანი ვარდული (ოთხ, ექვს, შვიდ, რვა და ათ ფურცულაქიანი), თითოეულ ფურცულაქს ბოლო ნაწიელი ყვავილითი მობრტალელებული აქვს და ძირის არის დამზობილი. ზოგჯერ თავზე ბუმბული აზის. ჯარდულები ერთ ნაწილს მოკლე ფურცულაქები ერთ სიბრტყეზე აქვთ განლაგებული. ფურცულაქებიანი ვარდულები სხვადასხვა სიდიდისაა, როგორც დამატარის, ისე ფურცულაქების რელიეფურობის მიხედვით. XIX საუკუნის მთორე ნახევრიდან ფურცულაქებიანი ვარდული იქცა მოზრდილ პირამიდულ ვარდულად, რომელსაც ან ბუმბუკი აზის თავზე, ან გლუვი თავი აქვს. ამასთან დაკავშირებით პირამიდულმა ვარდულმა დაეკარგა ის სინაზე და სინაკაიდი, რაც ადრეული ხანის ვარდულებს ახასიათებდა. ის მოზრდილი ვარდული მოგვგვინებს ქართულ საეკლესიო ხუროთმოძორებაში გავრცელებულ გუმბათებს, ამით აიხსნება, რომ მას ქართულში გუმბათს უწოდებენ (თბილისში მას გობაი, ხლოო კახეთში ტაბაი ეწოდება, რაც სხვა წყაროთან უნდა მომიხიწარებოდეს). პირამიდული გუმბათი დაყრნობილია არა უშუალოდ სარტყლის რიგით ბალთებზე, არამედ ლითონის ბირთვზე, რომელიც სწორკუთხა ყუდფით უკავშირდება რიგით ბალთებს. პირამიდული ვარდული — გუმბათი ერთი ცალი იხვიათად უკიდობს სარტყლს, უმრავლეს შემთხვევაში სამი და დიდ-მამალ ბალთად გამოყინებული. რაც შეეხება ადრეულ მომცრო და დაბალ ვარდულებს, იშვიათად, მარამ მაინც გამოყინებულად წყვილად, მავალითად სარტყელზე, რომელიც სპეციალურად ხმლის დასაკვიდად იხმებოდა.

2. ნახევარბურთობი ვარდული, ზოგჯერ ბოლქვისებური მოყვანილობისა, თავბუმბუკიანი ან მახვილწვერიანი. ეს გუმბათებიც, როგორც აღვნიშნეთ, ყვავილის სტილიზებული გამოსახულებას წარმოადგენს. ასეთ გუმბათზე მცენარეული ჩუქურთმი (ძლიერ იშვიათად ცხოველის გამოსახულება) ირავლეთ არს განლაგებული. ეს ფორმა XIX საუკუნის მთორე ნახევარბურთობის ხნარებაში და ზოგი გრუმბლარის სინაღლე 10-15 სმ. უდრის, ვარდულის ყილი ხან სწორად, ხან დაფანჯრულად უკავშირდება რიგით ბალთებს.

3. კამაროვანი¹¹ ვარდული, გვერდითან ნახევარბურთობის ფორმა აქვს და მეტწილად შეიქმალა რელიეფური, ყვავილოვანი ჩუქურთმით, ზოგი კი მარტაში, სტილიზებული ფოთლებით. ქართულ ხუროთმოძორებაში დამკვიდრებულ გუმბათს უწოდებენ.

უპირველეს ყოვლისა შევხებით სამგუმბათიან სარტყლს, მის აღნაგობას, გუმბათებისა და რიგითი ბალთების ჩუქურთმას.

როგორც აღვნიშნეთ სამგუმბათიან, პირამიდისებური წახანაკოვანი გუმბათის პირველ სახეს წარმოადგენდა მომცრო, თანაბარ ფურცულაქებიანი ვარდული, რომელიც შეიცავდა ხეცსურული ყაწყის ან მის ანალოგიური ფორმის რიგით ბალთებს. XIX საუკუნის მთორე ნახევარში კი, როდესაც გუმბათის

ფორმა გაიზარდა, ერთგუმბათიან სარტყლებსაგან განსხვავებით, ისინი ყოველისა შეიცვენ ორგვარ რიგით ბალთებს: წელვიწროს ან ბაფთისებურს და მუცელგანიერს ან ჯვრისებურს.

მუცელგანიერი ბალთები თავის მხრივ ორგვარია: ბოლქვისებური და მუცელმრგვალი. ბოლქვისებურს და მის მონაცვლე წელვიწრო ბალთას ზედაპირი გლუვი და მოსვადებული აქვს, ოღონდ წელვიწროს მოსვადებული თავმრგვალი ვარდული აზის, ბოლქვისებური ბალთის შუაგულში კი ნაზი ყვავილია გამოსახული.

მუცელმრგვალი ბალთის სამკაულს წარმოადგენს მის ცენტრში ამოზიდული თავმრგვალი ვარდული, რომელსაც ირავლე იმიტირებული გრებიული წრე შემოსდებს, რაც ხაზს უსვამს მის რელიეფურობას. ამგვარ ბალთას ზევიდა და ქვევიდა ნაწილები ძლიერ ვიწრო აქვს ისე, რომ მათზე მხოლოდ მცირე შტოები ამოჩუქურთმებული. მუცელმრგვალის მონაცვლე წელვიწრო ბალთა შეშეკულია პირამიდისებური ვარდულით. საერთოდ ეს ბალთები რელიეფური ჩუქურთმისაა, რაც მეტად განსხვავებს მათ ბოლქვისებურ ბალთებისაგან.

რელიეფური ვარდული ქართულ ხელოვნებაში ადრინდევ დამკვიდრებული დეკორატიული ელემენტია. რელიეფურ ვარდულებს შეიცავს ქართული ოქრომჭედლობის ისეთი საუკეთესო ნიმუშები, როგორცაა ხახულის ხატი (1125-1154 წ. წ.) და ანრის, ხატის კარების ვარჯთა მოჭედლობა (17 საუკუნე)⁸. ოღონდ როგორც ხახულის, ისე ანრისხატის მოჭედლობაზე რელიეფური ვარდულები დამოუკიდებლად კი არ სხედან, არამედ ამოზიდული არიან საერთო ფუძიდან. რელიეფური ვარდულებით არიან შეშეკული მეთერთმეტე საუკუნის ჯვრები: ფხუტერისა, ლახყალისა, ცხუმარისა და სხვა⁹. განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-16 საუკუნის ე. წ. კალცვასტომის ღვთისმშობლის ხატი (დაცული ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში) შეშეკული დამოუკიდებელი, რელიეფური ვარდულებით, რომელთაც თავზე წითელი ქვეი უხით¹⁰. რომ რელიეფური ვარდული ქართულ ოქრომჭედლობაში ძლიერ გავრცელებულ დეტალს წარმოადგენდა, იშვიათ მტკიცდება, რომ ხატებზე გამოსახული წმინდანების, გიორგისა და კვირიკეს ფაგები რელიეფურ ვარდულებს წარმოადგენენ.

ვარდა ოქრომჭედლობისა რელიეფური ვარდულები როგორც ფურცულაქებიანი, ისე თავმრგვალი, გამოყენებულია

⁸ შ. ამირანაშვილი, დამოწმებული ნაშრომი, ტაბ. 39 და 205.
⁹ გ. ჩუბინაშვილი, დამოწმებული ნაშრომი, ტაბ. 348, 357, 359.
¹⁰ იქვე, ტაბ. 559.

ერთგუმბათიანი სარტყელი «კამაროვანი» ბალთით.





ქართული ხუროთმოძღვრების მრავალ ძეგლზე, კერძოდ კი ბაგრატიანთა და იკორთის ტაძრების ფასადებზე¹¹.

რელიეფურ ვარდულებს ვხვდებით ქართული ხევისკვეთი-ლობის ნიმუშებზეც, ლაშას, ვანის ღვთისმშობლის, ფხუტერის მთავარანგელოზის, სვიანის წმ. გიორგის, ჩუქელის მთავარანგელოზის (XI საუკუნე) და უფრო მოგვიანო პერიოდის: ნინოწმინდის, ყირანისის, ბრეთის და სხვა კვლასიებზე¹².


რაც მთავარია ოდნავ რელიეფური თავმრგვალი ვარდულებით არის შემკული ძველი ხევსურული სარტყელიც. აქ ვარდულები ცენტრალურ სამკაულს წარმოადგენენ. რელიეფური ვარდულებით იყო შემკული აგრეთვე დასავლური ტყავის სარტყელები. ამგვარად ქართველმა ოქრომჭედლებმა ტრადიციულად მომდინარე რელიეფური ვარდულები ჯერ სარტყელის ამკაულად გამოიყენეს, შემდეგ კი წინა პლანზე გადასწორდნენ და დედალ-მამალი ბალთის დანიშვნულმა მიანიჭებენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისელმა ოსტატებმა კი რელიეფური ვარდულების ზომა უფრო გაადიდეს და გრეხილურით ან ცივი კვერვით გამოყვანილი მომცრო ვარდულების ნაცვლად გამოიყენეს მასიური, წახნაგოვანი ვარდულები, რომლებიც გუმბათების სახელწოდებით დამკვიდრდა ხალხურ მეტყველებაში.

რელიეფური ვარდულების წინა პლანზე მოთავსება დამახასიათებელია ერთგუმბათიანი სარტყელების სხვადასხვა მოყვანილობის რიგითი ბალთებისათვისაც. ზოგი მათგანი შემკულია როგორც პირამიდული, ისე მოგრძო (წინის მაგვარი) ვარდულივით, რომლებიც ბალთების ერთმანეთთან დამაკავშირებლად გვეკვლინებიან. ზოგ ბალთაზე კი რელიეფურ ვარდულს ცვლის მოსევადებელი ან ოდნავ ამოწვდილი ვარდული.

სამუმბათიან სარტყელს ერთგუმბათიანისგან ანსხვავებს აგრეთვე ფოთლისმაგვარი სათაურა ბალთა, რომელიც გუმბათებს უკავშირებს რიგით ბალთებს. ფოთლისებურს რომ ვუწოდებთ, ამის საფუძველს გვამღვებს მისი დაკვირვული ნაპირები, ეს ბალთაც შესაბამისად გუმბათისა და რიგითი ბალთებისა შემკულია ჭედული ან სევადიანი ჩუქურთმით. ამ ფორმის,

¹¹ შ. ამირანაშვილი. დამოწმებული ნაშრომი, ტაბ. 145.
¹² ირ. ლუწაძე. XI საუკუნის დეკორატიული ძეგლ ლაშქვან, 1962 წ., 1, 2, 3, 4, ტაბულები.

სამუმბათიანი სარტყელის ბოლქვისებური ბალთები



ოღონდ მომცრო ბალთები გამოყენებულია ამავე დანიშნულებით ბისათვის საპირისმართის ყაწმწმ-პორტუბეზე. ანალოგიური ფორმის ნივთებს ვხვდებით ხევსურეთში ე. წ. „ქამრის ალის“ და „სავარაგე ალის“ სახით. „ქამრის ალი“ ხევსურული სარტყელზე მოთავსებულია თავმრგვალი ვარდულების გვერდით. სტილიზებული ფოთლისმაგვარი, კუწუბიანი დედალ-მამალი ბალთები გამოყენებულია ქალის სარტყელზეც საქართველოს მთიანეთში, ჩრდილო-კავკასიის ზოგიერთი ტომებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

საერთოდ კი საქართველოში ოქრომჭედლების მიერ სტილიზებული ფოთლის გამოსახულების გამოყენებას უძველესი ტრადიციები აქვს. მაგალითად, მცხეთის გვიან-ანტიკური პერიოდის სამარხებში ხშირად გვხვდება მიცვლებულია ოქროს ვეირავივინები, რომლებიც ფოთლებისაგან შესდგება¹³. სტილიზებული ფოთლი გამოყენებულია XVII-XVIII საუკუნეების საველესიო დანიშნულების სარტყელების ბალთებზეც.

სამუმბათიანი სარტყელების მუცელგანიერი რიგითი ბალთების ანალოგიას წარმოადგენს ხევსურული სარტყლის სამკაული „კბილია“ (ე. ბარდაველიძე და გ. ჩიტია, დამოწმებული ნაშრომი, ტაბულა 32), რომელიც სარტყელზე ზოგჯერ დედალ-მამალი ბალთების დანიშნულებას ასრულებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ორნამენტი წარმოადგენს პირველ სახეს XIX საუკუნეში გაგრძელებული მუცელგანიერი რიგითი ბალთებისა, რომელიც მრავალი ვარიანტი გვხვდება საუკუნის მეორე ნახევარში. მსგავსი ფორმის ბალთები მოსევადებელი წესზე რელიეფური ვარდულით გამოყენებულია დიდესტნური სარტყელების სამკაულადაც.

როგორც XVIII საუკუნის სარტყელებიდან ჩანს, მუცელმრგვალი ორნამენტი თავდაპირველად დამოუკიდებლად იხმარებოდა სარტყელების სამკაულად, შემდეგ კი მას შეუქმნეს საპირისპირო (ანტიპოდი) ორნამენტი და მოთავსეს ერთმანეთის გვერდით ტყავზე მჭიდროდ ასხმის მიზნით.

სამუმბათიანი სარტყელი შეიცავს ქართული მჭედური ხელოვნების ტრადიციულ ელემენტებს, რომელთა მსგავსი სახეები დამახასიათებელია აგრეთვე კავკასიის სხვა ერებისა და ტომების ხელოვნებისათვისაც, რომელთაც მჭიდრო კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან და კერძოდ თბილისთან.

სამუმბათიან სარტყელებს მუდამ ახლავს შესაყარად გველისთავიანი კავი, დამზარე შესაყარავები, ჩუქურთმიანი ყულფები და კუწუბიანი არხი. გველისთავიანი ნივთების ხმარება საქართველოში უძველესი დროიდან მომდინარეობს, რასაც მრავალი არქეოლოგიური აღმოჩენა ცხადყოფს. ასეთი ნივთები დამადსატურებელთა ძველ საქართველოში გველის კულტის არსებობისა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ თბილისელი ოსტატები, ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში მომუშავენი, სარტყლის კავს აძლევენ გველის თავის ფორმას და ამ მხრივაც უძველესი ტრადიციების გამგრძელებლად გვეკვლინებიან.

აქვე უნდა მოვიყვანოთ რამდენიმე სარტყელის გუმბათების

¹³ მცხეთა I არხაზისხევის ძეგლები, გვ. 49, ტაბ. 42, 8, 9, სურათი 25, 8-11.

ღეროზე გამოსახული, პირში ისარგარჭობილი გველი, რაც წარმოადგენს წმ. გიორგის მიერ დალახვრული გველეშაპის გა-
მოსახულებით შთაგონებულ მოტივს.

სარტყელს, გარდა ძირითადისა, აქვს ორი დამხმარე შესაკ-
რავი. მარტივი თავლია ბალთა და ბლოჯგვრისანი, წვერმხაზი-
ლი ენა შექველი სვეადით ან რელიეფური ჩუქურთმით. ეს შე-
საკრავი საჭირო იყო მძიმე დიდგუმბათიანი სარტყლებისთვის.


მეორე დამხმარე შესაკრავია ე. წ. „გასადლომი“, რომე-
ლიც წარმოადგენს წყვილწყვილი რგოლებისგან შემდგარ
ჯაჭვს და მიმაგრებულია დედალ ბალთაზე. „გასადლომი“.
შედგება 9, 11, 12, 13, წყვილი რგოლისაგან. 9 წყვილზე ნაკ-
ლები არც ერთ სარტყელზე არ შეგვხვედრია. დილით სარ-
ტყელს ბალთებით იკრავდნენ, სასუხმის შემდეგ გადაუნაცვლებ-
დნენ „გასადლომის“ რგოლზე და ა. შ. ზოგი კი „გასადლომს“
წილიანად იყენებდა.

სამგუმბათიანი სარტყელებს და ერთგუმბათიანს იშვიათ
გვხვდვართ მარცხინდან მესუეთე და მეთორმეტე წელ-
ვირთ ბალთაზე ჩუქურთმისანი ყულფებით აქეთ, რომლებიც
ძველად იარაღის ჩამოსაკიდებლად იხმარებოდა, შემდეგ კი,
როცა ვერცხლის სარტყელს ყველა სოციალური ფენის წარ-
მომადგენელი ირტყამდა, ჩუქურთმისანმა ყულფებმა თავისი
პირვანდელი დანიშნულება დაკარგეს და მოქალაქე თუ ყარა-
ჩიხელი მათზე საათის ძეწკვს ან ყათთან ამაგრებდა (ერმა-
კოვის ფოტო № 9017).

მსავალი ჩუქურთმისანი სარტყელები ჩანს XI საუკუნის
წინადა გიორგის ბეერი გამოსახულების ოქრომჭედლობის
ნიმუშებზე ¹⁴ აღსანიშნავია, რომ ეს კუწები, ვიდრე ოქრომჭედ-
ლები მას წმ. გიორგის სარტყელად გამოიყენებდნენ, იხმარე-
ბოდა X საუკუნის ქართული საეკლესიო ნივთების და შატბის
ჩარჩოს საეკლესიოად ¹⁵.

მეორე გვარი კუწებით შემკულია როგორც სამგუმბათიანი,
ისე ერთგუმბათიანი სარტყელების ბალთები. ასეთი დეტალი
გამოყენებულია იმხანის ჯვისის შემკულობაში (937 წელი) ¹⁶.
უკეთ რომ ვთქვათ, XIX საუკუნის კუწებიანი არშია ამ დე-
ტალის ზუსტნი გამეორებაა. ზოგ სარტყელზე ეს კუწუ-
ბი წვერმხაზილია. ამ კუწების გადმოღება XIX საუკუ-
ნის ოსტატებს გარდა ოქრომჭედლობის ნიმუშებისა, შეეძლოთ
ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებიდანაც, როგორცაა: ვა-
ლეს ეკლესია (XI საუკუნისა) ¹⁷, კაცხი (XI საუკუ-
ნის ხუხუე (მე-12-13 საუკ.) ¹⁸.

ამგვარად XIX საუკუნის ოსტატებს საშუალება ჰქონდათ
ვერცხლის სარტყელების დეკორატიული სამკაულის გასაძიდ-
ებლად გამოეყენებინათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში
არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე დაცული მრავალი
ელემენტი და, როგორც აღვნიშნეთ, ქართული ოქრომჭედლო-
ბის მრავალფეროვანი დეტალები.



სამგუმბათიანი სარტყლის მუცელმრავალი ბალთები.

სარტყელის მოხმარება-გამოყენების ხასიათი წოდებრიობი-
სა და პროფესიათა მიხედვითაც სანტერებსა. ვერცხლის სარ-
ტყელს მოხმარებენ ბალთებით ატარებდნენ დაბალი სოცია-
ლური წრის წარმომადგენლები: ხელოსნები, ვაჭრები, გლეხე-
ბი, თბილისის მკვიდრი „ყარაჩიხელები“ ¹⁹, წერილი ვაჭრები-
კინტები. თავად-აზნაურთა კი ირტყამდა ვერცხლის წერილ
სარტყელს, მომცრო გუმბათიანს. XIX საუკუნის ბოლოს ჩნდ-
ება აგრეთვე ახალი სოციალური ფენა მუშებისა, რომლებიც სა-
ტინის ხალათზე (პიჯაკის ქვეშ) ატარებდნენ საშუალო ზომის
ვერცხლის სარტყელებს.

მოხრდილი გუმბათების ხმარების პერიოდს ემთხვევა „ვაჭ-
რულ-ხელოსნური“ ჩოხის გავრცელება, რომელიც პირისპირ არ
იკვროდა და მოსახლეობის მდებრი ნაწილს საშუალება ეძლე-
ოდა გამოეჩინა სარტყელის გუმბათები, თუმცა ისინი დიდგუმ-
ბათიანი სარტყელს ჩოხასზე ხმარობდნენ.

ვერცხლის სარტყელებს ხელოსნები და გლეხები ირტყამდ-
ნენ უზთავრებად შაბათ-კვირას და უქმე დღეებში. ვაჭრებს და
ხელოსნისა იმ ნაწილს, რომელთაც ერთ ადგილზე უძებნო-
დათ მუშაობა, ვერცხლის სარტყელები მუშაობის დროსაც ერ-
ტყათ.

ვერცხლის სარტყელთან ქალაქად თუ სოფლად დაკავში-
რებულია მრავალი ადათი და წესი. ვერცხლის სარტყელი
ძვირფასი ნივთი იყო და მისი შექმნა ყველას არ შეეძლო, იგი
ყარაჩოხელებს, „სამარხი კასა“ იყო. „ძველად ქარაგლს ყუ-
ლაბა უნდა დაეღვა, სადაც წლობით გროვებოდა ვერცხლის
ქამრის შენაძენი თანხა“ ¹⁹. ეს მარტო ყარაჩოხელებზე არ ითქ-
მის, ასევე ძნელი იყო მისი შექმნა ხელოსნისა და გლეხისთვის.

თუ ახალაზრდა ვაჟს ვერცხლის სარტყელი არ ჰქონდა,
სასრველი სასიძო ვერ იყო. ამიტომ ვაჟის პატრონი გლეხის
ან ხელოსნის ოჯახი ადრინდნე ცდილობდა შეიღობისთვის ვერ-
ცხლის სარტყელი შეეძინა. ღარიბ გლეხს იშვიათად ეღირსებ-
ოდა ამ ბედნიერ დღეს საკუთარი ვერცხლის სარტყელი და
ჩოხა ჰქონოდა, ისინი ერთი თვით ან სამი კვირით ადრე თხო-
ულობდნენ ან ქირაობდნენ სარტყელს და ტანსაცმელს.

ვერცხლის სარტყელით ზოგჯერ სასიძოს დაბეჭება ხდე-
ბოდა; ზოგი ვერცხლის სარტყელს იძენდა, როგორც ძვირფას
ნივთს და ოჯახის არც ერთი წევრი მას არ ხმარობდა.

¹⁴ ვ. ჩუბინაშვილი, „ქართული ოქრომჭედლობა“, ტ. 2, ტბ. 153, 156, 288.


¹⁵ იქვე, ტბ. 14, 15, 34, 35.

¹⁶ იქვე, ტბ. 60-61.

¹⁷ რ. მელისაშვილი, „ველოს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი“, „ქართული ხელოვნება“, № 3, 1950, გვ. 44, ტბ. 9, 10, 11.

¹⁸ ქართული ხუროთმოძღვრული ობიექტები, ტექსტი, მასალის შერჩევა და ნახატები რ. შიშინიძისა, 1954 წ. გვ. 45, 13.

¹⁹ ი. გრეშინაშვილი, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, გვ. 51.



ხეცსულო სარტყელი

ვერცხლის სარტყლის ვალში მიცემა ან იძულებით მისი გაყენება, სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ ადამიანებს²⁰.

ხელთუხნელი გლეხების (გორის რაიონი) გადმოცემით, ვერცხლის სარტყელს მიცვალებულს არ ჩაატანდნენ, სამარის კარზე ახსნიდნენ და დარჩენილთაგან უფროსს გადასცემდნენ. ეს შეიძლება ნაწილობრივ მაინც შეეფერებოდეს სიმათლეს, რადგან სარტყელები მუზეუმებში დიდი რაოდენობით არის დაცული და მოსახლეობაშიც კვლავ მრავლად მოიპოვება. ვერცხლის სარტყელის სამარეში ჩატანება შეპირობებული იყო უთუოდ ოჯახის ეციონომიურ მდგომარეობასთან. თუ ოჯახი ღრინერი იყო, მიცვალებულს იოლად ჩაატანდნენ ვეგზო საყვარელ ნივთს. მაგრამ სარტყელი როგორც „სამარხი კასა“ იყოთბოდა და ოჯახი მით ისტუმრებდა სიკვდილისგან მიყენებულ მრავალ სარჯს. ვერცხლის სარტყელის ამ დანიშნულებაზე მოგვიხსრობს ცნობილი ხალხსანი მწერალი სოფრომ მგალობლი-შვილი თავის მოთხრობაში „დემეტრეს სასლობა“.

ვერცხლის სარტყელზე ხელის დადებით ვაკეკი იფიცებოდა და თავის სიტყვის სიმათლესი არწმუნებდა მოსაუბრეს.

სარტყელის დიდ გუმბათებს, ძველი „მოქალაქეების“ გადმოცემით, იყენებდნენ სასმისად და ყანწივით უჭირათ ხელში.

როდესაც ვერცხლის სარტყელიანი მოქცივები სუფრას უსხდნენ, ყანწს ან მინის სასმის გამოსცლიდნენ და ცარიელ ჭურჭელს მოხდენილად გაეხებდნენ სარტყლის რეფიფეურ ვარდლებს, ჭურჭელი გაიწვიათებდა და სასიამოვნო ხმას გამოსცემდა. ამას უთუოდ დაოსტატებული ხელი სჭირდებოდა და თავისებურ ლაზათის აძლევდა სუფრას.

გლოვის დროს მამაკაცი ვერცხლის სარტყელს იხსნიდა.

სარტყელი, როგორც საგანძური, წარმოადგენდა ძვირფას საჩუქრასაც, რომელსაც თვალისჩინივით უფროსიღიდებოდა პატრონი, ეს დამოკიდებულება ქამარ-ხანჯლის მიმართ ჩანს ბალავაში „შემომეყარა ყიფილი“, რომელიც გაანალიზებული აქვს პროფ. მ. ჩიქოვანს:

„მე ცოლს ვერას გაგატანდი, ხათრ მქონდა სიღდერისაო, წილს მერტყა ქამარ-ხანჯალი, ნაწუქარ ცოლის ძმისაო“.

ქართული ტრადიციულად ქალის დიდი პატივისმცემელია. არამც თუ თავის ცოლს, არამედ, საერთოდ არავის ქალს არ გააქვლივინებდა მოძალადე, მით უმეტეს ნაწუქარი ქამარ-ხანჯლის პატრონი ყმა“²¹.

ქამარ-ხანჯლით დასაჩუქრება რომ გავრცელებული ყოფილა საქართველოში, მოწმობს გარეკახეთში ჩაწერილი ხალხური ლექსი „ნათლია და ნათლიდედა“:

ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ბედედელო
კაი კვასს მოგიტან
კარგ სარტყელსაც ზედაო.
ჩემო ნათლიდედაო,
ჩემთვის რასა ბედედელო
კაი ჩხასს მოგიტან,
კაი ქამარს ზედაო.²²

ქამარ-ხანჯლის მნიშვნელობა ქართველი ადამიანის ცხოვრებაში კარგად არის დახასიათებული ხალხურ „იანგანაში“:

„ნანი-ნანი ყმაწვილი
თეთრი პურის წაწლილი
მამის ოქროს გუთანი
დედის ჩიქილ-მანდალი
ბიძის ქამარ-ხანჯალი
ძალის წითელი ვაწლი“²³

აქ ქამარ-ხანჯალი შედარებულია პურთან, გუთანთან და დედის მანდალთან. ეს გამომდინარეობდა ქართველი ხალხის იმ შერწყმული ბუნებიდან, რომელიც განაპირობებდა მათ შრომის, თავდაცვის, ქალისადმი პატივისცემის და მოხდენილ ჩაცმა-დახურვას.

ხანჯალი რომ თავდაცვის იარაღი იყო და უიარაღო ვაკეკი კი ფასი არა ჰქონდა, ეს განსაკუთრებით საპატივსაცემოდ ხდოდა იარაღის ტარებას. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი დამოწმებულ ნაშრომში წერს, „შემორტყმული ხმლის ტარება ყველაზე უფრო საპატიო იყო მიწვევით, გადაკიდებული კი ყველაზე უფრო დაბალხარისხიანად“. ალბათ აქედანაც მოდიოდა სარტყელის დიდი როლი ადამიანის ყოფაში.

მაგრამ ვერცხლის სარტყელის დიდი მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ განისაზღვრებოდა. ასეთ პატივს უფრო ღრმა და არქაული ფესვები აქვს. „საზოგადოდ რგოლისებრი საგნების „სიწმინდის“ რწმენა ჩვენში უძველესი ხანიდან უნდა მომდინარეობდეს“ (ვ. ბარდაველიძე — „ქართველთა უძველესი სარწმუნეობის ისტორიიდან“) ღვთაება ბარბარ-ბაბარი“, (გვ. 65). რგოლისებრი საგნები დაკავშირებულია მზის გარეგნულ გამოსახულებასთან. ამასთან ცნობილია, რომ საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა ლითონის საგნების კულტი, მთ ადამიანი მიაწვრდა მაგიურ ძალას ავი თვალის და ბოროტების წინააღმდეგ. ამაზე მიუთითებს ქართული ჩაწერილი მასალებიც „აუკანადგარული“ ბავშვის მკურნალობის საშუალებებზე. ასეთი სწავლებით შეპყრობილ ბავშვს სამჯერ გააძვირდნენ რკინის ჯაჭვის რკალიმ, ან ორ ნამკაღს შორის. ეს სხვა მხარეა ლითონის სარტყელების მნიშვნელობისა და ჩვენ აქ მოვისწინივით იმდენად, რამდენადაც სარტყელიც ლითონის რკალს წარმოადგენს.

²⁰ ი. გრემავილი. დამოწმებული ნაშრომი, გვ. 51.

²¹ მის. ჩიქოვანი „ქართული სიტყვიერების ისტორია“ 1956, გვ. 337.

²² ძველი საქართველო, ტ. III, 1913—1914 წწ. 213—214 გვ.

²³ „ძველი საქართველო“ ტ. II, გვ. 76.



კლარი ფილმიდან „თეთრი ქარავანი“

მ თ ე ბ ი, ბ ზ ე ბ ი, შე მოქმედე ბ ა... ოთარ სეფიაშვილი

ოთარ სეფიაშვილი



უმთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ფილმი „თეთრი ქარავანი“ — სურათ „დავით აღმაშენებლის“ ერთად — თამამად წარსდგა კანის XVII საერთაშორისო კინოფესტივალზე და მსოფლიო ასპარეზობაზე იცავდა საბჭოთა კინოსელოვნების ღირსებას..

მსოფლიო კინოსელოვნებაში კვლავ გრძელდება კამათი ადამიანის ბუნების გამო. კამათი იმაზე, თუ რა იმარჯულებს ადამიანში — ბნელი თუ ნათელი საწყისები, ბოროტი, ცხოველური ინსტიქტები თუ ამაღლებული ადამიანური გრძობები, დამნაგრეველი მხეცური ძალები თუ სწრაფვა შენებისა-

კენ, შემოქმედებისაკენ, სიკეთისაკენ. განსხვავებული იდეოლოგიის, მსოფლმხედველობის, მრწამსის მხატვრები კამათობენ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აისახოს ადამიანი ხელოვნებაში, კამათობენ ადამიანის დანიშნულებაზე, სულიერ სამყაროზე, იმაზე, თუ რა არის იგი — ქვეცნობიერი ძალები და „უსამართლობით აღსავსე სამყარო“ მონა თუ საზოგადოებრივი, სოციალური, რთული არსება, რომელსაც აქვს ბედნიერების, შემოქმედების, დიდი სიცოცხლის უფლება... საბოლოოდ, ეს არის კამათი ჰუმანიზმისა და ანტიჰუმანიზმისა, შერკინება რეალიზმისა და ანტირეალიზმისა. დღევანდელი მსოფლიოს გამაფრთხილებელი ვითარებაში კი იგი იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ ბრძოლად იქცევა. და თუმცა კაპიტალისტურ ქვეყნებში გამართული კინოფესტივალების მესვეურები არაფერს იშურებენ ხოლმე იმის დასამტკიცებლად, რომ, თითქმის, მათ მიერ მოწყობილი საერთაშორისო კინოდათვალიერებები ყოველგვარი პარტიულობის გარეშე დგანან, მიუკერძოებლები არიან და მხოლოდ რეკლამას, კომერციას, გაართობას ისახავენ მიზნად, ისინი სულ უფრო ნაკლებზე ახერხებენ თავიანთი რეაქციული ტენდენციურობის შენიღბვას. ეს ერთხელ კიდევ თვალნათლივ გამოვლინდა კანის XVII საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომლის ქვირში თავმოყრილი ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და რეაქციული ესთეტიკის აპოლოგეტები წინაღუდგნენ ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშებს, რეალისტურ, ჰუმანისტურ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან კინონაწარმოებებს. და რა გასაკვირია, თუ ამ ფესტივალზე პრემიებით არ აღინიშნა არც სახლგარეგნოთის პროგრესული კინოსელოვნების ოსტატთა ნამუშევრები, არც საბჭოთა ფილმები, რომლებიც როგორც პრესამ, ისე საზოგადოებრივობამ ერთხმად აღაარა მოწინავე, ნიჭიერ ნაწარმოებებად.

თუმცა კრიტიკოსს ნაკლებად აპატიებენ ხოლმე ციტირებას, მაინც მინდა გაგაცნოთ „თეთრი ქარავანი“ გამო უცხოელ



მარტია — სპარტაკ ბალაშვილი

კინომიმომხიველთა ზოგიერთი გამოხატვაში, რომლებიც ფრანგულ პრესაში გამოქვეყნდა: „ამ ფილმის დიდი ღირსებაა სიმართლე, კეთილშობილება... რეჟისორები ავლენენ ბუნების ღირსეულად განცდის უნარს, ხოლო მწყემსები, თავიანთი ნაკლის მიუხედავად კი, ძლიერ სიმბათიური ადამიანები არიან...“ (გაზეთი „პეტროტი“). „ეს ორიგინალური საბჭოთა ფილმი არავითარ პროპაგანდისტულ მიზანს არ ისახავს, ბევრგან ბალანს დამაზიან და დოკუმენტურად მოგვიხიბრობს მწყემსებზე, რომლებიც მთიდან ცხვრის ფარას მიერეკებიან...“ (გაზეთი „ორთი“). „იხილვებით, როცა უყურებთ ამ სურათს. „თეთრი ქარავანი“ არ არის შედევრი, მაგრამ მასში არის სუფთა გრძობები, რომლებიც სასიამოვნოდ და არაწვეულებრივ ტაქტიითა გამოხატული“... (გაზეთი „კომბა“). „სუფთა, მაგრილობელმა ნიაგმა დაუქროლა ფესტივალს. მაგრამ ეს ახალი პაერი მხოლოდ იმტომ კი არ შემოჭრილა, რომ ფილმში ნაჩვენებია მთის მკაცრი პეიზაჟები და კასპიის ზღვის ვრცელი სანაპიროები. იგი, ძირითადად, ამ ფილმში გატარებული აზრიდან, სიმართლითა და გულწრფელობით აღბეჭდილი სახეებიდან მოქროლავს... სურათი დოკუმენტურია, ყველა ქართული მსახიობი შესანიშნავია...“ (გაზეთი „ლუმინატ“). „მელოდრამა პირობითა, საშაგე-

როდ იშვითი პოეტური ღირსებისა რეპორტაჟი. იგი დიდი ძალით გამოხატავს ბუნებისა და ადამიანთა თავისებურებას, მიტრეიტებოვანი ხალხის ჯანმრთელ მორალს, მის მკაცრ მზარულებას, სასიამოვნო ჩვევებს... ფილმი მიზანს აღწევს და შეუძლებელია გულგრილად უსკიროთ მეცხვართა მძიმე, მაგრამ კეთილშობილურ შრომას. გამახსოვრდებათ ძლიერ ფერწერული კადრები...“ (გაზეთი „ფიგარო“). „აქ გამჟღავნებულია კეთილი გრძობები, გამოყვანილი კარგი ადამიანები...“ (გაზეთი „ფრანს სურანი“). და ბოლოს — ჟორჟ სადული: „ძლიერ მიქვს როგორც გაი დაწვლიას „დეიარები მისკოვში“, ისე ეიზენშტეინის მიმდევრისა და მეგობრის, ქართველი კინორეჟისორის შვილის ელდარ შენგელიას ნაწარმოები „თეთრი ქარავანი“, რომელიც ამ ახალგაზრდა რეჟისორმა თამაშ მელიავასთან ერთად გადაიღო... ქართული კინო საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე სიტყვებისუნარიანია. აქ ჯერ კიდევ 1955 წელს აღმოცენდა „ახალი ტალღა“, რომელმაც განაახლა ნახევარსაუკუნოვანი ეროვნული კინოს ტრადიციები... „თეთრი ქარავნის“ გმირები ქართულად მეტყველებენ... სცენარი არ შეიძლება ჩაითვალოს ფილმის საუკეთესო ნაწილად, რადგან ადამიანთა ხასიათები საკმაოდ გამოკვეთილი არ არის... რამდენიმე დრამატული, ან ნახევრადდოკუმენტური ეპიზოდი გიტაცებთ ჩინებული კადრებითა და დინამიზმით. თუმცა იგი ამ ორი რეჟისორისათვის ე. წ. „პირველი დიდი მეტრაჟი“ არ არის, ფილმი ჩვენს ყურადღებას იპყრობს უფრო იმედებით, ვიდრე სრულყოფით. მაგრამ ფესტივალზე მას მაინც გაცემული ადგილი ჭირია...“ (გაზეთი „ლე ლეტრ ფრანსე“).

ასეთი იყო ხმა პრესისა და ხმა ერისაც, მაგრამ არაბო-გეტურობის, წინასწარხასული მიკეძობის ატანსაფეროში იგი დარჩა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“.

მთები და გზები — ხიფათიანი, ძნელადსავალი...
მთები და გზები... მთა არ უყვარო სუსტნი, და მერყევიანი. დასაბამიდან მოდის ასე — ვინც მთას შეუდგება, ვინც გზაზე ფეხს შედგამს, რწყენა უნდა ჰქონდეს მტკიცე, მიზანი ნათელი, ნებისყოფა შეურყეველი. თუ არა და — მთა გადაულახავია, გზა — გაუვლელი...

ჭეშმარიტი ხელოვნებაც მუდამ ფიქრია, მუდამ განსჯა ცხოვრებაზე, ადამიანთა სავალ გზებზე, იმაზე, რომ გზა დიდი და უსასრულო, აღსასვთა ხიფათითა და მოულოდნელობით, რომ გზა გაუვლელი რჩებათ სუსტთა და მერყევი.

ეს სიტყვები „თეთრი ქარავნის“ პირველად ნახვის შემდეგ ჩავიწერე უბის წიგნაკში, ისე უბრალოდ, ჩემთვის. მაშინ არც მიფიქრია, რომ ამ ფილმის გამო პრესაში ვიტყვი რასმე, არც ამჯერად მინდა მივმართო ტრადიციულ რეცენზიას, განაჩენივით — „მართალია“— „მტყუნანია“ — ფორმისა. და ეს იმიტომ კი არა, რომ — ერთი კრიტიკოსის თქმისა არ იყოს — ეს ფილმი ძნელად ემორჩილება რეცენზენტის კალამს. უბრალოდ კვლავ შეძალდა ფიქრი მთების და გზებზე, ადამიანთა სავალ გზებზე... ფიქრსაც ამ ფილმში უდევს სათემე. მასში კინეტიკურად და ემოციურად გამჟღავნებულა სურნელება და

მადლი მიწისა, ხალხისშვილობის ამაღლებული გრძნობა, ბუნებასთან ახლო მდგომი და ბუნებასაკით მართალი, უშუალო, გამრეჟ კაცის სილამაზე, მთებისა და გზების რომანტიკა...



კადრი ფილმიდან

და მაინც — რაზე მოგვითხრობს „თეთრი ქარავანი“?
— შრომაზე, მწყემსების ვაჟკაცურ, მძიმე, კეთილშობილურ შრომაზე; ტემპარიტად უანგარო მამაკაცურ მეგობრობაზე; ხალხთა ძმობაზე, სიყვარულზე, და კიდევ — ერთი ძეგუთომილისა“ ამაოების გზაზე...

დაბ, ეს ყოველივე არის ფილმში. მაგრამ მარტო ამის თქმა იგივე იქნებოდა, რომ დაგვეხატა გამოფიტული ჩონჩხი, გაღმრევეცა შუქრდილებისაგან და ემოციებისაგან დაცლილი სქემა ეს კი ჩვენივე გრძნობების, ჩვენი ფიქრის გაქურდვის ტოლფასი იქნებოდა. ფილმში კი არის ცოცხალი აზრი, ხელთების ფორმით გამჟღავნებელი მოუსვენარი ფიქრი ადამიანსა და მის საგალ გზებზე, იმანზე, რომ გზები ვრცელა და უსასრულო, აღსახვე მოულოდნელობებითა და ხიფათით, რომ გზაზე გვხვდება გზაჯვარედინები...

და რა საოცარია — ფილმი ევრანზე გამოვიდა არა თაგის პირველყოფილი სათაურით — „გზები და გზაჯვარედინები“, რომელიც ერთ მწყობრ მწერაიად კრებდა ყველა ასოციაციას, არამედ სხვა, არაფრისმთქმილი სახელწოდებით — „თეთრი ქარავანი“. რატომ? მე მითხრას, რომ კინოგამჭირავებლობმა მოითხოვოს ასე, მათ „გზები და გზაჯვარედინები“ ანაოზრაციულად მიუჩნევიათ. მაგრამ მხატვრების პოზიცია? პინციები?..

ხედება, მართალი და ახლობელია, აღბეჭდილია უტყუარობით. ეს ჩვენი მშობლიური პეისაჟი — მთები, ბილიკები, დაბალი, ქვით ნაშენი და ქვითვე გადახურული სახლები, ტერასებად შეფენილი სოფელი, არსად ხეხილი და ხასხასა მწყანე, ფერები დაბინდულია, ჭარბობს რუხი და შავი. ადამიანთა სახის მკვეთრ, რელიეფურ ნაკვთებშიც გამჟღავნებულა სიმკაცრე ბუნებისა... და ბოლოს ცხვრის ფარა — აქაფებულ მთის მდინარესაკით რომ დამრულა სოფლის ორღებებში. ეს ყოველივე დანახულია სიყვარულით, განცდილია დიდი გულით. ფილმის აგორები აღწევენ, რომ ყოველდღიურში, ჩვეულებრივში დაგვანახონ და განგაცდვიინონ ამაღლებული, პოეტური.

ბრწყინვალედ (მე არ შემიძლია ამ სიტყვით) არის გადაღებული ფილმის დასაწყისი: ადრიანი შემოდარმავა, ხეობის სოფლი. რომლის ძირითადი აქტიონაჟი და მარჩენალიც — ცხარია, ხლოლ ყველა მამაკაცი — მწყემსი. სამ თვეს ძლივს ასწრებენ საჯუთარი ლოგინის გათობას მთებზე და გზებს დამბობილებული ვაჟკაცები. და შემდეგ ისევ გზა — უსასრულო, გაუთავებელი. მიდიან და თან მიაჭთ თავიანთი წილი სისარული და დარდი, სასრუნავი და საფიქრალი, სიყვარულიც და სახელგაუტყტლად შინმობრუნების რწყენა. ჩაუშქრალად ინახავენ კერას მხოლოდ მოხუცები, ქალები, ბავშვები. ერთი დიტალიც — ამ სოფელში ბავშვები ერთ დროს იხადენ ხან, „რადა თქმა უნდა, ესეც ამ გზის ბრალი უნდა იყოს“...

რალაც საოცარი ანტიკური სიდიადით არის გაქვლილი კადრი, როცა სოფლის ბოლოში ლომისას ტაძრის სამრეკლოზე შემომდგარი ასი წლის ზოზირა ზარის რეკით მიაცილებს გზადამდგარ მწყემსებს. კადრის მარცხენა ქვედა კუთხეში მონუმენტური მარტიას მსხვილი პლანია, კადრის სიღრმეში კი მადლობზე შემომდგარი პატრიარქალური მოხუცის ფიგურა. მას და მარტიას შორის იმართება პათეტიკური საუბარი:

და აი, ახლაც აყრილან სოფლის თავგონებები, ცხვარს მიჩრებიან კასპიისპირეთს, ყარა-ნოლას ზამთრის საძოვრებზე, სადაც ბალახი ნოყიერიცა და მარილიანიც...

საოცარი მთლიანობით გადმოგვიყვინ აგორები სოფლის ცხოვრებაში ამ მინიშნელოვანი მოვლენით გამოწვეულ ამდლებულ განწყობილებას. და თუმცა ისინი, თითქოს, განსაკუთრებით წინ არაფერს წამოსწყვიენ, ხაზგასმით არ აღნიშნავენ და ყველაფერს ჩვეულებრივობის ჩარჩოში ატყვენ, გაცილების ყველა ეპიზოდში ძალუმად იგრძნობა პათეტიკური ფლერა. და არსად უბრალო მინიშნება კი არ არის ყალბ ეგზოტიკურობაზე. ყველაფერი, რაც კინოკამერის ხედვის არეში

კადრი ფილმიდან





მარია — არიადნა შენგელია

ზოზირა — ჰაი დედასა, დედასა... თქვენთან ვეღარ მოვალ სამწყემსად, თავჩოხლები, თქვენი ჭირიმე!

მარტია — ჯერ კიდევ მედგარადა ხარ, ზოზირა!

ზოზირა — თქვენი თავი ნუ მომიშალის, შვილებო... ჯერ მწყემსებს ვაუფრთხილდით, თავჩოხნებო... ბიძარას უთხარი — ზოზირა დგას, ჯერ არ წაქეუულათო. ბატანი ჭედილა გექცით, ყველდაბელებო...

მარტია — ნაფულარზე ქარმა არ დაგკარას, ზოზირა... მშვიდობით იყავ, მშვიდობით!

ზოზირა — მშვიდობით გეკლოთ, ახლოურებო!

თუ პირველ ეპიზოდებში პათეტიკა ერთგვარად ეფარებო-

გელა — იმედა კახიანი, მარია — არიადნა შენგელია



და ლირიკას და, უფრო მეტად — იუმორს, აქ იგი უკვე თავისი ნამდვილი სახით წარმოდგენილია. შემდეგ ეს პათეტიკა ერთხელ კიდევ შეუფარველად გამოვლინდება გარინდებში, როცა გზისპირას, უცნობი მეცხვარის საფლავეზე აღმართულ ჯვართან შედგებიან მწყემსები და თავდახრილი პატივს სცემენ მშრომელი კაცის ღირსებას. არაჩვეულებრივი, ძლიერი განწყობილების კადრი: დაბალი ჰორიზონტი, დაბინდული ცის ფონზე წინა პლანზე უხეშად შეკრული რკინის დიდი ჯვარი და იქვე — თითქმის სილუეტებამდე დაყვანილი ფიგურები გარინდებული მწყემსებისა... ფიქრში წასული მთხრობელის ხმა: „რამდენჯერ არ მიკითხია მამინემისათვის — ვინა მარხია მეთქი, სულ ერთს მეუბნება — მწყემსიათ. ვინ არის — ჩვენებურია?... ლეკია?... რუსია?...“ შემდეგ ახალბედა პირტიტელა ვაჩიას გულბრწყვილოდ ნათქვამი: „ვისი საფლავია, მამი?“ და იქვე — დაგუდული, თითქოს მაღალი ტაძრის თაღებქვეშ დაძრული ტრაგიკული ხმა მარტიასი: „მწყემსისაა, შვილო“.

ეს ეპიზოდები ფილმის დასაწყისში, თავიანთი დიდი შთამბეჭდაობის მიუხედავად, ჯერ კიდევ, თითქოს, ჩვეულებრივობის ფარგლებში რჩებიან. შემდეგ სცენები: პირველი ბატკნის დაბადება — დოლის დასაწყისი და ამ მოვლენის აღსანიშნავი მამა-პაპური წესის შესრულება; გელას და დედესტენელი მწყემსების შეხვედრა და შეჯახება მარხის სასადილოში, რომლებშიც, ჩემი აზრით, ასევე დაუფარავად ვლინდება ავტორთა პოზიცია... ყველა ამ ეპიზოდის შეხიანება არ ხდება უცებ, მოულოდნელად. ისინი მხოლოდ ბოლოს, სურათის მილიანად აღქმისას ლაგდებიან მხატვრულ სახეთა მწკრივში და საბოლოოდ კიდევაც განსაზღვრავენ მის პოეტიკას.

ფილმის თითქმის ყველა გმირს სურათის ექსპოზიციაშივე ვეცნობით. იგი ერთგვარად გაგრძელებულია და კადრსმიღმა მთხრობელის ტექსტი მთლიანად დოკუმენტურ კადრებს ახლავს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სინამართლის, უტყუარობის შეგრძნებას. რამდენად პრინციპულია ავტორებისათვის გადაღების ასეთი მანერა, ნაწილობრივ უკვე აღვნიშნეთ. მაგრამ ამჯერად მთავარია, რომ ექსპოზიციაში უკვე მიცემულია როგორც პერსონაჟთა სასაბავშვო, ისე ნაწარმოების კონფლიქტის ძირითადი ნიშნები. სხვა საქმეა შემდგომ ფილმში როგორ ვითარდებიან ისინი. ყოველშემთხვევაში, მთხრობელის ნათქვამს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაც თავს ნებას მივცემ და შევასხნებო (მთხრობელია გელა):

„...ისევე ავიყარეთ და მივედივართ კასპისპირეთს, ზამთრის საძოვრებზე, ყარა-ნოღაი რო ჰქვია. შემოდგომის ნახევარს გზას ვანდომებთ, მთელ ზამთარს და ვაზაფხულის ნახევარს ყარა-ნოღაისა ვტკეპნით, მერე ისევ ჩვენი მთებისაკენ ვიზივთ პირსა... რას იზამ, ხეობის მთავარი საქმე ცხვარია“.

კადრსმიღმა მთხრობელის ეს ტექსტი მთლიანად ცხვრის გადარკვევის ამსახველ შესანიშნავ კინორეპორტაჟს ემთხვევა. და თუმცა იგი აქ არ მთავრდება და გარკვეულ უტყუარობის შეგრძნებაც უწყვეტი რჩება, კინოკამერა უკვე შეუმჩვენებლად იწყებს ადამიანთა სახეების — ფილმის მთავარ პერსონაჟთა

გამორჩევას. კადრსმიღმა ხმა კი თხრობას განაგრძობს და მათ ცალ-ცალკე გვაცნობს, რაშიც ლაკონურად გამჟღავნებულია როგორც თვითუცლის წინასიტორია და ხსიათის ძირითადი ნიშნები, ისე ყოველ მათგანთან მთხრობელის შინაგანი დამოკიდებულება.

ჩვენს კოლმეურნებაში შეიძინა ბრიგადა. ჩვენში ბრიგადას ბინა ჰქვია. ჩვენი ბინიდან შეიძინა ვართ: მამაჩემი მარტია, გლახი, ყვიანა, ბალთა, დღვირა და ჩემი ძმა ვაჟია.

ჩემი ძმა პირველად მიგვყავს ცხვარში და სიხარულისაგან აღარ არის. ვაგვიჩინა — ამ გზის ბოლოს ზღვა ართი და მაგასა ჰგონისა საბანად მივდივართ. გონია და ეკონოს. ალბათ ყველა ვერ ეგონა თავის დროზე.

ეგ ყვიანა, ჩაფიქრებული რომ მიდის და დანა პირს არ უხსნის. ყვიანა — ზედმეტი სახელია. თავისი ნამდვილი სახელი, მგონი, თვითონაც აღარ ახსოვს. სამი გასათხოვარი გოგო შინ უბერდება და ამიტომ არის ვერ დაღვრემილი.

არც გლახის აქვს მაგაზე უკეთესად საქმე, მაგრამ გულგატუტული კაცია და არხეინად არის... ჩვენი ხეობის კაცს ერთი ცოლისთვის ვერ მოუვლია და ვიწველი ცოლიც არი ორ ოჯახს პატრონობს.

ოთხი გოგო რომ ასხდა კისერზე, ეს ჩველი ბინის შოფერი. დღვირა ჰქვია სახელად. არც ეგ არი უიმედო კაცი. მანინე ბიჭის მოლოდინშია...

კინადაც ბალთას ვინაობა ვეღარ ვთქვი. ჩემი ტოლი ბიჭია. ვუშინაწინ მაგის ქორწილში გავტრიალდით. ცოლი შერთეს. ე მაგ წერილებსაც იმასთან აჯვანავს. ღმერთივით გუნებაზე ვეცქ ვერ უნდა იყოს. როგორი საქმეა ორი დღის შერთული ცოლის რვა-ცხრა თვით მოშორება და ცხვარში ბაკუნია.

ჩვენი ბინის თაყობანია და მთავარი მოსამართლე მამაჩემია. ცოტა არ იყოს, ამ ბოლო დროს ვეღარ ვრიგდებით ერთმანეთში. ალბათ მაგასაც სიბერე ეპარება და იმის ბრალი. თუ ეგრეა, ეპატოსი ჯაჯლანი..."

დარიანის ხეობაში შემოყრებათ ტურისტთა მანქანა, რომელიც ძლივს არღვევს ცხვრის ნაკადს. თვალუბარბწყინებული, ცნობისმოყვარე სახეები, მხიარული შემახილო, ერთი-ორი რეპლიკა... და ისევე ფიქრში წასულ გელას ხმა:

„— სახლი ქვეყანას უფლის, ათას რამესა ხედავს, ჩვენ კი ჩვენს ფარას უნდა ავედევით... კი, რაც თავი მახსოვს, ამ ცხვარს დაედევ, ამ გზის მეტი არაფერი მინახავს, ყველაფერი განზე მჩრჩბა. სულ პირდაპირ რომ მივლო და უკან აღარ მოვბრუნებულაიყავ, ვინ იცის სად ვიქნებოდი ჩასული, რას არა უნახავდი. მე კი ყველი ამომივიდა ამ გზაზე ხეტიალი და, სხვისი არ ვიცი!...“

აი ყველა ისინი, ვიხეც უნდა მოგვითხროს სურათმა. შემდეგ ამ გალერეაში პოეტური ფერებით ჩაიწერება მარიას სათელი სახე და იმატებს ლირიკა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ იგი მხოლოდ პათეტკასთან თანასწორი უფლებით შემიძღის ფილმში და ვერ ჰპარბობს მის ქლერადობას.

წინა პლანზე მანინე ორი გმირი იწვევს: გამჭრიახი და გულისმხიერი, მუხლმაგარი და კუნთგაქალებული, მთებსა და გზებზე გამობრძემილი, მწყემსთა ზნეობრივ მაგალითად

ქცეული მარტია ახლოური და მისი „ქმეშეთილი“ გემო-ფილმის მთავარი კონფლიქტი — მისი ფაბულური გამოხატვა — სწორედ მათი შეჯახება.

მაგა და შვილი ერთ გზაზე დღანან.

მარტიასათვის ეს გზასავალი ნაცადი და ნაცნობია, მაგრამ მანინე მრავალი შეუცნობელი სიხალისი შემეგვლი. მისთვის ეს არის კაცურ-კაცობის, ბრძოლის და შერკინების, ჭირისა და ლხინის, შემართებისა და არდანებების გზა, გზა შემხარტებისა...

გელასთვისაც ნაცნობია ეს გზა, მაგრამ იკვე ჩვეულებრივი, ამაოუბად ქცეული და მომეცნეული. იგი ვეღარაფერს ხედავს მასზე ახალს, აღმოსაჩენს, შესაცნობს. თვით მარია, მისი ნათელი სიყვარულიც კი ვერ იქცა მისთვის ამ გზაზე აღმოჩენილ დიდ სიხარულად. გელასათვის ეს გზა დაკმაყოფილებულ სურვილს გავს, იგი აღარაფერს პირდება, მისი ერთფეროვნება და უსასრულობა კი ერთგვარად კიდევაც ამონებს. აკი თვითონვე ამბობს, როცა მარიას გულს გაუხსნის და ზრახავს გაუმუხლს: „მარტო ჩვენი ხელობა და მწყველი. ჩვენი გზის ბოლოს ვერა ვხედავ. მთიდან ჩამოვდივართ, ამ გაუთავებელ გზას ვაკვირვართ. მერე ისევე უკან შემბრუნდება გზა...“

მარტიასათვის ეს არის მაღალი მოვალეობისა და ღირსების გზა. როცა შვილი გაუმუხლს — აღარ მინდა ცხვარში სიარული, უნდა წაივდიო, — მოულოდნელობით ჩაფიქრებული და წარბშეკრული მარტია მკაცრად კითხავს: „შენს მოსავლელ ცხვარს ვინ მოუვლის?... მისთვის წარმოუდგენელია სიცოცხლესთვის შეწყველი საქმისაგან განდგომა, მოვალეობის არიდება, მამა-პაპათა გზიდან, მწყემსთა მკაცრი თითქური ნორმებიდან გადახვევა.“

გელასთვის კი მოვალეობა დაბრძოლებად ვერ იქცევა, რადგან ამ გზაზე მიზანს ვეღარ ჰჭერტეს. ხოლო როდესაც უკან გახედავს განვილი გზას, ვერც იქ ხედავს რასმე და ამბობდება: „მორჩა, გათავდა, საყოფია რაც ცხვარსა ვსიდე! გელა ახლოურმაც უნდა იცხოვროს თუ არა, რაკი განჩნდა ამ ქვეყანაზე... სამი პირი ჰქოვაკი გამოიცვალა ჩემს მწყემსობაში. ძაღლმა ვეღარ გასძლო ამ გაუთავებელ გზაზე... ქვეყნის პური და ხორცი, სორცი და პური... არ დაიძინო, არ გაიღვიძო. წაიქევილი და ხის ჯვარი უზად არის გზისპირა საფლავეზე. აღარ მინდა!...“

გელამ უნდა გადაუხვოს გზიდან. მაგრამ საით? — ქალაქისაკენ იცის მარტია წინ აღუდგება. მაგრამ როდემდე უნდა ატაროს „მგლის კისრით“ მისმა შიშმა? — სულერთია, მინც წავა! — არც მარია გაჰყვება? — მაშინ კვლავ დაუბრუნდეს საერთო საცხოვრებლის გოგოებს. უმისოდაც წავა! — მწყემსები, უფროსებიცა და ტოლებიც, განზე გაუდგნენ, თათობის მხარე დაიჭირეს? — სულერთია, მათთან დამდებოდი აღარ არის, მანინე წავა!.. ქალაქი!.. ქალაქი!.. თითქოს-და რა არის ამაში ცელი? რატომ უნდა იქცეს გელასათვის ფატალურ გარდუვალობად მამა-პაპათა გზა, სასჯელივით რატომ უნდა ატაროს მწყემსის ტვირთმომობა? ნუთუ უფლება არა აქვს ახალგაზრდა კაცს თავისი სავალი მოზანბოს, თავისი წილი მოთხოვოს ცხოვრებას? ვერც გელას და ვერც ჩვენ ვერაფერში გვაჯერებს ახალგაზრდა ახლოურის

ამბოხების გამო ერთ-ერთი მწყემსის ნათქვამი: ჩვენი ხელობა ქრისტეს იქიდან მოდის, ამაზე დავა სიგლაზე და მეტი არაფერი. უფრო სამართლიანად და დამაჯერებლად გაისინის ამის პასუხად გელს შემძებნა: — კაცი უფრო ძველი!

მაგრამ როგორია ქალაქი, რომლისკენაც გელა მიიღობის, რას მიზნად იგი ჭაბუკს?

...სახსრავალი ქუჩები, ავტომანქანები, თავბრუსმხვევი მოძრაობა... დამნებნი ცხენის ნაცვლად — ტაქსი, სულადგმული ბუნების მაგიერად — ვიტრინის თაბაშირის მანკეები, უსიცივლო სახეზე ყალიბი ღიმილით თავისკენ რომ გეპატივებინან, დაცვარული ბალახისა და მიწის სურნელების ნაცვლად — ასფალტი და ბენზინის ბუღი, მზის წილ — ნების შუქი... ღამით კი ათასფრად აცემიციმებული რეკლამები არმოციფით გიწვევენ კაფეში, სადაც შეეცქვიან ნაყინს, წირუბავენ კოკტეილს, ცეკვავენ ქალიშვილები, რომელთა მიწვევ კაბეში გათიჩინილი ფეხები სქესს ამღვანებენ და ვეგბათაღვლისკენ გიბიძგებენ... სხვა ქალაქს გელა არ იცნობს (ყოველშემთხვევაში ასეა ფილმში), სხვა უფრო ნათელი მიზანი, ამაღლებული იდეალი მას არ გააჩნია (ყოველშემთხვევაში ამის გამო არაფერს გვეუბნებიან არც გმირი, არც სურათის ავტორები).

ფილმში ქალაქი შემოდის როგორც ცხიერი, როგორც მარადიული ბუნების საწყისებს დაპირისპირებული „ამაოება“ ამაოებათა“. ანან კი საბედისწირო შედეგობის ელფერი მიაყენა გელას სწრაფვას, მოქმედებას... ყველაფერი ემორჩილება გაუცნობიერებელ სურვილს, ეწირება გაურკვეველ მისწრაფვას — მშობლიური ვერაც, მამისკული გზაც, ქალის ნათელი სიყვარულიც, ღონისა და ჭირში ნაცადი მეგობრებიც, თვით მწყემსის ღირსებაც კი... გაეცხნეთო სცენა ბაზრის სასადილოში, დაღესტნულ მწყემსებთან, როცა გელა უარს ამბობს ცხარ-შეცხვარის სადღერძელის შენსაზე. როგორ უცებ იბადება მწყემსთა ამაყ სულში განმდგარი მოყვასის შერჩენების სურვილი! აღარც ძველ ძმობას დაგიღვევენ, არც წუთის წინ მასთან მიღებულ პურ-ღვინოს. პირველი ჯაბალა შეიმარტება ზვიადად: „ — რას გაძლევდა დილანდელი მუშ-

ტარი შენს შუაყში?“ მერე ბეჭირა: „—საკას უნაგირი დამიძველდა. შენ მაინც აღარ გინდა, დამითმე“. და ბოლოს — რასულა: „აღარც ვე ტყვიან-წამალი დაგჭირდება ქალაქში, დამითმე, ჩემი ენაზე შევამა“. და როცა ერთგვარად შეეცბარა და გაკვირებული გელა ჟიუტად იტყვის — წაიღეთ, მომართო, რა საითათოდ მევაჭრებითო, პასუხად მწარე სიტყვას გააგონებს დაღესტნელი თავგონიანი ჰაკი: „ — ზოგი რამ მაინც დაიტოვე, მარტაას ლეკოო...“

ვინ დააყენებს „ძემეტოილილს“ ჭეშმარიტების გზაზე?...

ის ფაქტი, რომ სურათის ფინალში გელა ფარეხში, მწყემსებთან ამოვა, ჩემი აზრით, სრულადაც არ ნიშნავს თითქმის მან თავისი მისწრაფების, გადაწყვეტილების უსწორობა შეიგნო. ამ დროისათვის მარტაა უკვე მკვდარია. იგი გააგებულ სტიქიასთან შეერთების ილუზება, როგორც მებრძოლი, სასალხოდ დილოვანს დამცველი. ეს საბედისწირო შემთხვევა ტრავმატულ ელფერს აყენებს გელას მოქმედებას. ცხადია, მარტაას სიკვდილი მას ბრალი არ მიუძღვის. სტიქია იმის სტიქიაა, რომ იგი არაფერს ემორჩილება, და გელა იმ ავადი თ წუთს რომ მამის გვერდითაც ყოფილიყო, ეს მაინც მოხდებოდა. და მაინც მისთვის ვერ უპატიებიათ... მაგრამ რა, რა ვერ უპატიებიათ? ის, რომ მამა-პაპათა გზიდან გადაუხვია? ის, რომ დაარღვია, თვით კაცობრიობასავით ძველი, დაუწერელი კანონი მწყემსებისა? ის, რომ ამ სიკვდილსიცივლის შერჩენების ვაშს იგი ყველასთან ერთად არ იყო?... მაშ, რატომ შესვენით უღმიბული ღმერთით? უკმეხედ ბრალს რატომ სდებს ახალზედა ვაჟია? მარტაას მუდამ აღურსინან თვალბეჭედი რატომ ჩაადგარა სიცივე?... კაცმა რომ თქვას, გელა მათთან ზომ თანაგრძობის სამეხნელად, პატიების სათხოვნელად არც მისულა... მაშ რილასთვის მობრუნდაო, იკითხვო.

ამ კითხვებზე კონკრეტულ პასუხს ფილმი არ იძლევა. ჩემი აზრით, ეს უფრო გელას შინაგანად მერყევი ბუნების გამოვლინებაა. დარწმუნებული ვარ, თუმცა ავტორები გელას წინააღმდეგობრივი ხასიათის გახსნისკენ კი მიისწრაფოდნენ, მაგრამ მასში სუსტსა და თავის თავში, საკუთარი გზის სისწორეში დაურწმუნებელ ადამიანს მაინც ვერ ჭვრეტდნენ. გაიხსნეთო, როგორი სიჯიუტით ცდილობს იგი მარტაას სიყვარულს მოაოგებას, როგორი მტკიცე, შეუვალა მამასთან და მეგობრებთან შეხსისას და დაღესტნულ მეცხვარეებთან კამათიც, როგორი შეუპოვრობით მიიღობის ქალაქისამენ...


და მაინც მოზრუნდა... მოზრუნდა კია?... ერთხელ მარია ეუბნება გელას — შენ თვითონაც არ იცი რა გინდაო... ანდა თვითმ შემთხვევითია ის სცენა, უფრო ზუსტად — ერთი დეტალი იმ სცენაში, როცა ახალწლის ღამეს, გელასთან უთანხმოების შემდეგ, მეთვეჯეთა სოფელში დაბრუნებული მარია ქუჩაში გამართულ ფერხულში ჩაერთვება და ცეკვავს, ცეკვავს თავდავიწყებით, თითქმის ამ დაუოკებელ მოძრაობაში იპოვესო გამოსავალი მისმა სულიერმა შფოთვამ და ტკივილებმა, უარყოფილმა სიყვარულმა, ქალის შეღასულმა ღირ-

ბალთა (მარბა ელიოზიშვილი) და მარია



სებამ, ეჭვმა... ირველიც მყოფნი ვერაფერს ხვდებიან, მხოლოდ დღვირა გრძნობს, რაც მარიას სულში ტრიალებს. ამ დროს მარიას გამოთვამაშება ვიდაც ყმაწვილი, რომელსაც სახეზე აუფარებია ნიღაბი — ყაღბი, უსიცოცხლო... შემდეგ ეს ნიღაბი, სწრაფ მონტაჟში, რამდენჯერმე განმეორდება ეკრანზე: მოცეკვავე მარიას სახე... მეგარმონე... ნიღაბი... მერე ისევ მარია... ისევ ნიღაბი... მარია... ნიღაბი... დღვირა შემბრუნდება, მიდის... აცრემლებული მარიას სახე... არა მგონია, რომ ეს კადრები შემთხვევითი იყოს. მაგრამ რაზე მიგვანიშნებენ ისინი — მარიას შერყეულ რწმენაზე, თუ მის მიერ ამოკითხულ გელას შინაგანად მერყევე ბუნებაზე?..

ფილმის ავტორები ნამდვილი მხატვრები არიან და ამიტომაც ვერ დალატობენ თავიანთი გმირის ხასიათის ლოგიკას, თუმცა მათ სურთ, რომ გელა სხვა — უფრო მტიკიცე, ჭეშმარიტად მადიებული იყოს. სწორედ ამ გმირის ირველიც იყრის თავს განსაკუთრებით ბევრი კითხვა, უფრო მეტი, ვიდრე ეს მაყურებლის აზრის გააქტიურებისათვის არის საჭირო. მრავალი კითხვა კი პასუხაუცემელი რჩება. ხომ არ შერყენენ ახალგაზრდა ავტორები, ამ შემთხვევაში, ნახევარ გზაზე?.. ეს კია, რომ ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს, სათქმელი ბოლომდე ნათქვამი არ არის. ზოგიერთმა ეს გარკვეულ ორიგინალობადაც კი მიიჩნია, „ფილმი კითხვა“ უწოდა „თეთრ ქარავანს“. ნუ მივაწერთ ავტორებს იმას, რაც მათ აზრადაც არ მოსვლიათ. უბრალოდ, ეს ჩემი აზრით — სურათის დრამატურული საფუძვლიდან თანდაყოლილი ნაკლოვანებებია. საბედნიეროდ, ფილმის ჭეშმარიტი ღირებულება არ ამოიწურება არც მისი ფაბულით, არც კონფლიქტით. სურათის აზრი ბევრად უფრო ღრმაა, მნიშვნელობა — ფართო, მხატვრული სიმართლე — უფრო მაღალი.



მარია და მარტა ახლოური

ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებს მუდამ მოაქვს უცნობთან შეხვედრის, რაღაც ახლის აღმოჩენის სიხარული. „თეთრმა ქარავანმა“ ბევრი სიხარული გვარგუნა. პირველ რიგში, ეს იყო ჩვენს კინოში კიდევ ორი ნიჭიერი რეჟისორის — ელდარ შერვაშიაის და თამაზ მელიაგას მოსვლა. გახარებთ მათი პოეფსიონალიზში, შესანიშნავი ოსტატობა, ახლის გრძნობა და ქართული კინოს საუკეთესო ტრადიციებთან ორგანული კავშირი. ისინი არ ცდილობენ გაგვაოცონ რაღაც წრეგანაშუალო და ფუეე „ორიგინალური“ ხერხებით, აყირავებული კადრებისა და აზრდაბინდული მონტაჟის დემონსტრირებით. ამ ახალგაზრდა მხატვრებმა უკვე იციან ხელოვნებაში უბრალოების ფასი. ამიტომაც ასე ვიგრძენით მათ მხატვრულ მტრატაში მიწისა და მშრომელი კაცის მეზობეზნი. ისინი ნამდვილი პოეტური ფერებით, განწყობილებით გვისატყვენ ადამიანებს, რომელთა ყოფა ისევე უპრეტენზიო და უბრალოა, როგორც წყალი, ხოლო შრომა ისევე ჩვეულებრივი და ძნელი, როგორც მოპოვება პურის ჩვენი არსობისა. მათ დაგვანახეს ამ ადამიანებში ჩამდგარი და განსახიებრული ბუნების სიწინიდე და მგზნაირება. ამიტომაც, რომ ფილმი გავლევებთ, გაფიქრებთ, გზიხლავთ ეროვნული ხასიათის, ეროვნული ფორმის საუკეთესო გრძნობით.

ნამდვილ სიხარულად, მე ვიტყვოდი — ზემიად იქცა ჩვე-

ნი კინოსათვის სპარტაკ ბალაშვილის მეორედ აღმოჩენა. რაინდული სული, ძლიერება და ახოვანება, გამჭირბობა, სახალხო საქმისათვის თავდადება, თავისებურად მაკერი, მოყვარული გული და კიდევ ერთგვარი ტრაგიზმი, რომელმაც გამძვანებულა მისი სახის რელიეფურ ნაკვეთში, ღრმად ჩამუდარ თავაღებში, ხმაში — ეს ყოველივე ქმნის მარტიას ძლიერ შთამბეჭდავ ფიგურას. სპარტაკ ბალაშვილი — მარტია გარკვეულად დინჯა და თავშეკავებულია, მაგრამ მასში მუდამ იგრძნობა რაღაც დიდი შინაგანი დაძაბულობა, სულიერი ძალების საოცარი კონცენტრირება, რომელიც სწორედ ქარიშხალთან შეტაკებაში უნდა გამოვლინდეს.

დიდხანს არ დაგავიწყდებათ შესანიშნავი კადრები: გამძვინვარებულ ქარიშხალს თანაბარი სისასტიკით დაურეგული ხელი ზღვისა და ფარისათვის, გაშმაგებული ზღვა და შემოილი ცხვრის ფარა ბრმა თავგანწირვით, წამოცეკვად, შემზარავი ძალით დაძრულან ერთმანეთსაკენ... ეს არის ფილმის შინაგანი დინამიკის ლოგოკური კულმინაცია. რეჟისორებიცა და ოპერატორებიც — გ. კალატოზიშვილი და ლ. კალაშნიკოვი ნამდვილი მხატვრული ალღოთი და ტაქტიკურ გავხვედრებენ ამ მოახლოებულ კატასტროფას, მსახვერულად ტრადიციონალურად და ბოროტად დაძრულ სტიქიას, რომელსაც წინაღუდგება დიდი ადამიანური ძალა და ნებისყოფა. და გჯერათ, რომ ბნელი და ნათელი საწყისების — ავისქმნელი სტიქიისა და სიყეთის დამაპკვიდრებელი ადამიანური ნების-

ყოფის ამ შერკინებაში, სიკვდილ-სიცოცხლის ამ შეჯახებაში გამარჯვებული გამოვა ადამიანი, რადგან უკვე კარგად ვიცნობთ ფილმის გმირებს, მათ ინდივიდუალობით აღბეჭდილ ხასიათებს, შინაგან ბუნებას, რომელიც ასე შესანიშნავად გადმოგვცეს მსახიობებმა — დ. აბაშიძემ (დღვირა) და ვ. დონღუაშვილმა (გლახო), ა. კუპრაშვილმა (ყივანა) და გ. კიკაბიძემ (ვაჟია), სცენარის ავტორმა მერაბ ელიოზი-შვილმა (ბალთა). მხოლოდ გელას (მსახიობი იმედა კახიანი) და მარიას (მსახიობი არიანდა შენგელაია) სახეები დარჩა დაუსრულებელი, მაგრამ როლების შემსრულებელთა რა ბრალა, თუ ისინი ფილმის ლიტერატურულ საფუძველ-შივე არ იყვნენ ბოლომდე გამოკვეთილი. გელასა და მარიას სახეებში, ისევე როგორც მათ სიყვარულსა და კონფლიქტშიც ბევრი რამ სადავო და საკამათოა... ისე არ გამოვიტოვო, თითქმის „თეთრი ქარავნის“ სცენარში მხოლოდ ნაკლსა ვხედავდეთ. მართალია, მისი ტრადიციული ფაბულა ერთგვარად კიდევაც განსაზღვრავს და გარკვეული მიმართულებით უზიძვებს ნაწარმოების აზრის მოძრაობას, მაგრამ მას გააჩნია მრავალი ღირსება, პირველ რიგში ის, რამაც საშუალება მისცა როგორც დამდგმელებს, ისე როლების შემსრულებლებს გამო-

ველინათ გმირთა სულიერი სამყარო, ხასიათები, მსოფლიო-განი კავშირი, ის უხილავი ძაფები, მათ რომ ერთმანეთისაგან, გარემოსაგან, სინამდვილისაგან განუყოფელს ხდის. არსად ყალბი თეატრალურობისკენ, ბუნების ეგზოტიკური ჭერეტისკენ მიდრეკილება. ფილმის ლიტერატურულ პირველწყაროშივე გამგდანებული გარემოსა და შრომის პოეტური ხილვა და განცდა, რაც ასე სწორად იგრძნეს დამდგმელებმა, ოპერატორებმა, მხატვრებმა. აქვეა ის ცოცხალი და მარტვიანი ქართული ენა, სახიერი დიალოგები, რითაც ასე გამოირჩევა ეს სურათი და ამითაც საგრძნობლად ამაღლდა, უფრო მკვეთრად გამოხატული ეროვნული სული ჩაიდგა.

● ის, რაც ცოცხალია, ლაბორატორულ ანალიზს არ უნდა ემორჩილებოდეს. ნურც „თეთრი ქარავანი“ დანებდება მას. მთავარია, რომ იგი გაღვლეებით, აღვიძრავთ ფიქრს სიცოცხლისა და შემოქმედებაზე, მთებსა და გზებზე — ადამიანთა სავალ გზებზე, იმაზე, რომ იგი დიდია და უსასრულო, აღსავსეა ხიფათითა და მოუღონებლობით, რომ მხოლოდ სუსტთა და მერყევთა რჩებათ იგი გაუღვლეო.

თბილისის ხელოვნების მოღვაწენი დიდი სამაგულო ომის კერიოლში

შოთა ნოსაძე



იდი სამაგულო ომის პერიოდში საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება მძლავრ იდეურ იარაღად იქცა მტერთან ბრძოლაში.

6. ტიბონოვი წერდა: „ნათელი ვახდა, რომ მუხეტს დუმლი არ შეუძლიათ. საშინელ დღეთა მოწმენი ალაპარაკდნენ ლიტერატურისა და ფერწერის ენაზე: ისინი არ დაელოდნენ მომავალ დღეებს. ისინი ალაპარაკდნენ დღეს. ომი, სამშობლო, თავისუფლების სიყვარული, მტერზე შურისძიება — აი რა ცოცხლობის პროზაში დღეებს. შეიქმნა ახალი ფრონტი, ფრონტი ხელოვნებისა, რომელიც სულ უფრო ფართოვდება“.

ამ ახალი ფრონტის აქტიური მებრძოლები იყვნენ თბილისის ხელოვნების მუშაკებიც. უკვე 1941 წლის 24 ივნისს გაიმართა ხელოვნების მუშაკთა და სამხედრო შენაერთების წარმომადგენლების თაბიირი, რომელიც მიეძღვნა მუსიკალურ-ვოკალური რეპერტუარის შექმნის საკითხებს. ომის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში 25 კომპოზიტორმა საბჭოთა პოეტების ლექსებზე 32 მუსიკალური ნაწარმოები დაწერა. მათი უმრავლესობა მოიწონეს და სპეციალურ ბრიგადებს გადასცეს წითელი არმიის ნაწილებში ესტადებზე შესასრულებლად.

24 ივნისს ხელოვნების მუშაკთა და წითელი არმიის სახლის წარმომადგენელთა თაბიირზე გადაწყდა თბილისის თეატრების, ესტადის მსახიობების, სახელმწიფო კონსერვატორიისა და მუსიკალური ტექნიკუმების უფროსი კურსის სტუდენტების მონაწილეობით ბრიგადების შექმნა. ბრიგადებს



დაველათ სამხედრო ნაწილების, ჰოსპიტლების, მიზილიზებულითა გასაწვეი და შესაკრები პუნქტების კულტურული მომსახურება. 26 ივნისისათვის თბილისში უკვე შექმნილი იყო 27 ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანდა 238 მსახიობი და ხელოვნების მუშაკი.

28 ივნისს ხელოვნების საქმეთა სამმართველოში მსატკარა-თა მონაწილეობით გაიმართა თათბირი, რომელიც მიქცენდა თავდაცვით, სამხრეთ, ანტიფაშისტური და თანამედროვეობის ამასხველი ასალი პლაკატების შექმნის საქმეზე. იმავე თანხირზე მსატკარებმა — უ. ჯაფარიძემ, ს. კეცხოველმა, ვ. სიღამონ-ერისთავამ, ს. ნადარიშვილმა და სხვ. წარმოადგინეს ასალი ნაშრომებიც უცხოეთში. გადაწყდა მიღებული ისტორიების უახლოეს პერიოდში დაბეჭდა. იმავე დღეს მსატკარათა კავშირმა გადაწყვიტა თავდაცვითი, პატრიოტულ-საბრძოლო, ისტორიულ და ანტიფაშისტურ თემებზე შექმნილ ნაწარმოებთა მომარაგი გამოფენის მოწყობა.

ომის დაწყების გამო თბილისის თეატრების კოლექტივებმა უარი განაცხადეს 1941 წლის შეფხვებაზე და სურვილი გამოთქვეს საბჭოთა არმიის მებრძოლების მომსახურებისას. თბილისის თეატრთა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა გადაწყვიტა ივლისის თვეში მებრძოლებისათვის 12 წარმოდგენა გამართა. ამავე მინთში გრიზოიდოვის სახ. რუსულმა დრამატულმა თეატრმა იკისრა ხუთი წარმოდგენის გამართვა ივლისში. მუსიკალური კომპლდის თეატრმა უარი თქვა სახელმწიფო ოტაკოიაზე და სხვ.

სამამულო ომის პირველსავე დღეებიდან საბჭოთა არმიის დამცველთა რიგებში ჩადა ხელოვნების ასოშით მუშაკი. ფრონტზე წავიდა ფალაიაშვილის სახელობის თეატრისა და ბალეტის თეატრიდან 82, გრიზოიდოვის თეატრიდან 83, მოსკოლ მაყურებელთა ქართული თეატრიდან 30 კაცი. წასული შორის იყვნენ მსახიობები, გუნდისა და ბალეტის სოლისტები. რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტიდან 1924 წელს ფრონტზე წავიდა 24 კურსდამთავრებული.

გადაინახა თეატრების რეპერტუარი. მთავარი ყურადღება სამამულო ომის შესახებინ სპექტაკლების შექმნა მიექცა. ამ პერიოდის თბილისის თეატრების სპექტაკლები შეიძლება დაჯეროთ ორ ჯგუფად: ისტორიული ხასიათისა და თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლები.

რუსთაველის თეატრმა 1941 წ. 5 სექტემბერს დადავა ვ. აბასაძის „კვიკიძე“. სპექტაკლმა მაყურებლის დიდი ინტერესი დამსახურა. აღტაცება გამოიწვია სამოქალაქო ომის უღვეინდარული გმირის ვასილ კვიციანის თავდადება ამალ-ღაზრდა საბჭოთა სამშობლის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. აგრეთვე დიდი წარმატება მოიპოვეს სპექტაკლებმა: ფ. ვოლფის — „პროფესორმა მამლოქმმა“, მ. კაცისა და რეჟისის „ოლეო დუნდინმა“, დ. ერისთავის „სამშობლომ“, ს. შანთაშვილის „კრწანისის გმირებმა“, „ხევისბერმა გონამ“ (ყაზბეგის მიხედვით) და სხვ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ამ პერიოდში ისტორიული ხასიათის პიესებიდან დადავა: ლ. გოთაის — „მეფე ერეკლე“, ა. ხასონიას — „მგარტაინი“ და სხვ. ისტორიული ხასიათის სპექტაკლები იდგებოდა აგრეთვე თეატრისა და ბალეტის, გრიზოიდოვის სახელობის, სიმშური დრამის, ქართული და რუსულ მოზრდამაყურებელთა და სხვა თეატრების სცენაზე. მაღალი პარტიკული სულსკვეთებით გამსჭვალული სპექტაკლები მაყურებელნი კიდევ უფრო აღმოვიტინებდნენ სამშობლოსადმი სიყვარულს, თავდადებულ ბრძოლისა და შრომის სურვილს. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მიერ ა. ხასონიას „მგარტაინის“ დადგენის გამო რეცენზიაში დ. ჯანელიძე წერდა: „პირველი სამამულო ომის გმირის სახეს მ. დამბაშიძემ შეუნარაღა შოთაბრძენელი, ისტორიულ შეფხვებით ძალა და მნიშვნელობა... კეტუხოვის როლის ასეთი შოთაბრძენი ძალით განსახიერება მოწონებს, რომ ჩვენი სცენა წარმატებით ახერხებს ისტორიის ქედითი,

შემეცნებითი ძალის გამოყენებას მტერზე გამარჯვების შთაბეჭდილებული სპექტაკლების შექმნაში. (გაზ. „კომუნისტა“, 1940 წ. 20 თებერვალი).

ისტორიული ხასიათის პიესებთან ერთად თეატრები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ თანამედროვეობის ამსახველ, სურვილი ბოძობითი პაოსით აღსაყვ სპექტაკლების შექმნას. მატარას ადევ უნდა ახდინებოდა, რომ თეატრები რეპერტუარის სიღარიფე გახიცილდებენ, რომლის თავიერი მიხეში, — როგორც ამის შესახებ საბარტოლიანად აღიზნავდა ლ. ქიანელი, (1943 წლის 30 იანვარს მწერელთა კავშირით გამართულ დიალოგზე), — იყო ჩვენი დიდაბული მწერლობა. იგი სათანადოდ ფერს იყვებდა იმ უხვ მასალას, რააც იძლეოდა არა მარტო ვფროტი, არამედ სამამულო ომის სურვილი, დრამატურგები უშთავრესად ისტორიულმა თემატიკამ გაიტაცა.

თითუდაცა და ამისა, ქ. თბილისის თეატრულმა თეატრმა მანინ ფესოდ თანამედროვე თემაზე 3—4 და კიდევ მტერი სპექტაკლის შექმნა.

რუსთაველის თეატრმა 1942 წლის 1 იანვარს დადავა დიდა სამამულო ომის ამსახველი პირველი ორტიგნალური პიესა გ. მიციხის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, ამავე ავტორის პიესა „მოსკოვის ბჭესთახ“. თეატრმა განახორციელა აგრეთვე ნ. კლდიაშვილის „ირმის დედა“, რომელიც კავკასიის დაცვის ეტება და სხვ.

მარჯანიშვილის თეატრმა დადავა დიდი სამამულო ომის ამსახველი სპექტაკლები: გ. მიციხის „პარტიზანები“, კ. სიმონოვის „მელოდი“, კ. ფიხისა და მ. გულის „მერიონის განსადები“, გ. შატერიაშვილის „ფეიქის გორა“ და სხვ.

